საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№007 (12 077)

11 იანვარი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

## [illegible] რუსეთში არ უშვებენ...

კამერუნელებს სომხეთში 2

## ძმენდა რეალში

ბექჰემი მადრიდიდან მიდის, კასანო ინტერს მიაშურებს...

რონალდინიო მილანს უახლოვდება...

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

## სან ფერნანდო წარმოგიდგენთ ნიკოლოზს 13




# მაკლიში, საუნესი, დალგლიში...

## შოტლანდია უთავოდ დარჩა. ვინ იქნება სმიტის შემცვლელი?



ალექს მაკლიში



გრემ საუნესი



კენი დალგლიში

გუშინ ოფიციალურად გაცხადდა, რომ **უოლტერ სმიტი** შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ არის. 58 წლის სპეციალისტმა ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციას გადადგომის თხოვნით ორშაბათს მიმართა. თავიდან სმიტმა უარი მიიღო, თუმცა საბოლოო პასუხს აღარ დაელოდა, თვითნებურად დატოვა პოსტი და უმწვრთნელოდ დარჩენილ "რეინჯერსთან" უკვე 3-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა.

საფეხბურთო ასოციაცია გაოგნებულია. სმიტმა კარგად დაწყებული საქმე შუა გზაზე მიატოვა. ახლა, სკოტური ფეხბურთის მამებს ამ სპეციალისტის მოძებნა მოუწევთ, ვინც ამ საქმეს არანაკლები წარმატებით გააგრძელებს. ჭეშმარიტად რთული მისიაა. მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულების ვადამდელი განყვეტისთვის საფეხბურთო ასოციაცია სმიტს გარკვეულ სანქციებს დააკისრებს, ამას გარდა, "რეინჯერსი" ვალდებული იქნება, შესაბამისი ფულადი კომპენსაციაც გადაიხადოს. ამ მხრივ, მოვლენათა განვითარებას უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ.

სმიტი ზუსტად ორი წლის წინ ჩაუდგა სათავეში შოტლანდიის ნაკრებს, რომელმაც გასულ შემოდგომაზე ბრწყინვალე სტარტი აიღო ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე (B ჯგუფი), დაამარცხა ჩინებულ ფორმაში მყოფი საფრანგეთის ეროვნული გუნდი, თუმცა ბოლო შეხვედრა უკრაინასთან დათმო.

და მაინც, რა შეიძლება იყოს სმიტის ესოდენ მოულოდნელი ნაბიჯის მიზეზი? ეტყობა, მან ჩათვალა, რომ ამ ჯგუფში იტალიასთან და საფრანგეთთან ჭიდილი უაზრობაა და რომ იყო დიდი ალბათობა, შესარჩევის ბოლოს მისთვის თავად საფეხბურთო ასოციაციას მიეთითებინა კარისკენ. "რეინჯერსის" დარი ვარიანტი კი შემოდგომისთვის აღარ ექნებოდა. ჰოდა, მიხვდა სმიტმაც დღევანდელ კვერცხზე გააკეთა არჩევანი და პრესტიჟული სანაკრებო სამუშაო უფრო მაღალ ანაზღაურებად საკლუბო რუტინაზე გაცვალა. მისი ნებაა.

საქართველოს ნაკრებს კი 24 მარტს (გლაზგო) სმიტის ნაცვლად სხვა სპეციალისტი გამოცდის. იქამდე, შოტლანდიელები როგორმე მონახავენ, მაგრამ დიდია შანსი, ამ სამწვრთნელო ცვლამ ჩვენი გუნდის წისქვილზე დაასხას წყალი.

...ამასობაში, გუშინ ბი-ბი-სიმ სმიტის სავარაუდო შემცვლელთა სია გამოაქვეყნა...

5

## მალე, ბათუმში: საქართველოს ჩემპიონატზე

ლუკა კურტანიძე



VS



დავით მოძმანაშვილი

12

## დისკვალიფიკაცია

ხვალ, სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს გამართავს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები. ჩვენი მეტოქეა რუმინეთი, რომელსაც ორი დღის შემდეგ უკვე სტუმრად, კონსტანცაში ვეთამაშებით. ევროცერთ ამ შეხვედრაში მთავარ მწვრთნელს, მურაზ მეტრეველს ვერ დაეხმარება ასისტენტი ირაკლი ქელიძე, რომელმაც ევროპის ხელბურთის ფედერაციისგან ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ქელიძემ არასპორტული საქციელი ჩაიდინა, კერძოდ კი, შეხვედრის არბიტრების მიმართ გადაამეტა, რისთვისაც თამაშის 26-ე წუთზე წითელი ბარათი მიიღო. საქართველოს ხელბურთის ასოციაცია 250 ევროთი დაჯარიმდა.



სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ბადრი ბინაძე

## ბინაძე შეიძლება გადადგეს

ჩვენი სამბო გამუდმებულ ძიებაშია, წინსვლის გარანტიების ძიებაში. ეროვნული ფედერაციის მთავარი ბირთვი, სპორტის ამ სახეობაზე თავგადაკლული კაცის, ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ოლეგ იაძის** ხელმძღვანელობით, ვერ ეგუება ინერტულობასა და საქმის თვითდინებაზე მიშვებას. თან ქართული სამბო წარმატებებითაც გამორჩეულია - გნებავთ შარშანდელი შედეგები აილეთ, გნებავთ ადრინდელი...

ამ დღეებში გავრცელდა ხმა, რომ სამბოს ეროვნულ ფედერაციაში სოლიდური ცვლილებებია მოსალოდნელი. გუშინ, ფედერაციის პრეზიდენტმა **ბადრი ბინაძემ** მიანიშნა, რომ შესაძლოა, დაკავებული თანამდებობიდან გადადგეს, მოსალოდნელ ცვლილებებს ადასტურებს ოლეგ იაძეც. ხვალ ფედერაციის აღმასკომის გაფართოებული სხდომა გაიმართება და საბოლოოდ, ყველაფერი იქ გაირკვევა. "ლელოს" კორესპონდენტი ამ სხდომაზე მიწვეულია და შედეგებს დაწვრილებით გაცნობებთ.

13



მანუს დღიური სიახლე



ლოკომოტივი

# სტადიონი სამაისოდ

თბილისის "ლოკომოტივი" ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. გუნდს ღარიბი მესაკუთრე რომ არ ჰყავს, ეს ბავშვმაც კი იცის. "სილქ როუდის" დარ პატრონს ნებისმიერი ქართული კლუბი ინატრებდა, მაგრამ ახლა ხელმძღვანელობას მთელი ყურადღება საგურამოში ბაზისა და სტადიონის მშენებლობაზე აქვს გადატანილი. როგორც ცნობილია, მას ერთობლივად აშენებენ ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის "ლოკომოტივი".

გუშინ კლუბის პრეზიდენტ **ლექსო თოფურიას** გავესაუბრეთ: *"საგურამოში ბაზის მშენებლობას ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ვაფინანსებთ. ეს სერიოზული პროექტია და ჩვენი გეგმით, 2007 წლის მაისში დამთავრდება. ბაზა ეროვნულ, ახალგაზრდულ და სხვადასხვა ასაკის ნაკრებთან ერთად, თბილისის "ლოკომოტივსაც" მოემსახურება. ამას გარდა, საგურამოში ჩვენი საფეხბურთო სკოლის ბავშვებიც ივარჯიშებენ".*

როგორც ცნობილია, თბილისის "დინამო" და "ლოკომოტივი" მიხეილ მესხის სტადიონზე არენდით თამაშობენ და მოედნის საფარის გამოცვლა ერთობლივი ძალებით სურდათ. თუმცა სტადიონის რკინიგზის დეპარტამენტიდან თბილისის მერიისთვის გადაცემის საკითხი გაიწელა და ჩანაფიქრის შესრულება ვერ ხერხდება.

*"სანამ საფარს გამოვცვლით და იჯარის თაობაზე მოვილაპარაკებდეთ, მანამდე სტადიონის მეპატრონის ვინაობა უნდა გაირკვეს. ეს საკითხი კი ჯერ არ გადაწყვეტილა"* - ამბობს "ლოკომოტივის" პრეზიდენტი.

ამავდროულად, ცნობილია, რომ საგურამოს ბაზაზე პატარა, კოხტა სტადიონის წამოჭიმვაც იგეგმება. "ლოკომოტივიც" საბოლოოდ იქ ხომ არ აპირებს გადაბარგებას და თამაშების ჩატარებას? - ვკითხეთ ბატონ ლექსოს.

*"ვაკის სტადიონის საფარის შეკეთება საგურამოს პროექტზე არაა დამოკიდებული. "ლოკომოტივი" მაინც "მიხეილ მესხზე" ითამაშებს და მოედნის გაუმჯობესება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. საგურამოს ბაზას სავარჯიშოდ გამოვიყენებთ და პატარატრიბუნებიან სტადიონს მოვაწყობთ. ისიც არაა გამორიცხული, 5-ათასიანი არენა აშენდეს. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი".*

ამჟამად, კლუბის ფინანსების უდიდესი ნაწილი სწორედ საგურამოს ბაზისა და სტადიონის მშენებლობას ხმარდება. ჩვენი ინფორმაციით, ამითაა გამოწვეული, "ლოკომოტივი" ძვირადღირებულ ფეხბურთელებს რომ ვერ იწვევს.

თუმცა 2007 წლიდან ამ გუნდის სერიოზულ გაძლიერებას ელიან. ფინანსურად ღარიბ ქართულ ლიგაში კიდევ ერთი მდიდარი კლუბის გამოჩენა ფეხბურთელებისთვის ცხოვრებისეული შანსის ტოლფასია, გულშემატკივრისა სპეციალისტებისთვის კი, ეს ის იმედია, რომელიც უმაღლეს ლიგაში კონკურენციისა და საერთო დონის გაზრდას უკავშირდება.

"ლოკომოტივის" პრეზიდენტს საკადრო საკითხებზე ვკითხეთ: *"მომდევნო სეზონისთვის გუნდის გაძლიერდება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. სურვილი გვაქვს, მაგრამ, მთავარია, ამ დროისთვის როგორ შევსებას მივიღებთ ჩვენი საფეხბურთო სკოლიდან. ამას გარდა, განსახილველია სხვა საკითხებიც და საბოლოოდ, საკადრო საკითხებზე მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვყალიბდებით".*

**მერაბ მამულაშვილი**

მეორე წრის წინ

# ზესტაფონი და ახალი კონტრაქტები

ჩემპიონობისთვის მებრძოლი "ზესტაფონი", შესაძლოა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, რადგან გამოცდილი ფეხბურთელების ნაწილს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. თუმცა ყველაფერი იმერელთათვის სასიკეთოდ გადაწყდა. კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, გაუმჯობესებული პირობებით კლუბთან ახალი 2-წლიანი ხელშეკრულება გუნდის ლიდერმა და "ზესტაფონის" ისტორიაში საიუბილეო, მე-100 გოლის ავტორმა **ზურაბ იონანიძემ** გააფორმა. საქართველოში ეს პირველი შემთხვევაა, როცა 35 წლის მოთამაშე ასეთ ამბიციურ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს აფორმებს. მანამდეც იყო პრეცედენტები, მაგრამ თითოეული ხელშეკრულება ერთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებდა. იონანიძე წელს 36 წლის გახდება და გამოდის, რომ კარიერას სწორედ "ზესტაფონში" დაასრულებს.

გარდა ამისა, კონტრაქტი გაუფორმეს 16 წლის უნიჭიერეს მცველ **ცოტნე ბუკიასაც**. ის ხობის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, თამაშობდა იქაურ "კოლხეთში" და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა.

მანამდე, "ზესტაფონმა" ორი წლით დაიბევა მცველი **როინ ონიანი**. მართალია, ჯერ არ ცხადდება, მაგრამ შევიტყვეთ, რომ კონტრაქტს დღეს-ხვალ გააფორმებს კიდევ ორი ლიდერი, ცენტრალური მცველი **შალვა ლონდაძე** და მარცხენა მცველი **კახა ჩხეტიანი**. სხვათა შორის, ხმები ქუთაისის "ტორპედოში" დაბრუნების თაობაზე, კახამ ჩვენთან საუბარში უარყო.

აშკარაა, რომ ამ გაჭიანურებული საკითხის მოგვარებაში თავისი როლი მცირე ხნის წინ მომხდარმა ფაქტმაც შეასრულა. როგორც ცნობილია, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ხელშეკრულება გააფორმა ბრიტანულ კომპანია "სტემკორ ლიმიტედთან", რომლის თანახმადაც, მათ განკარგულებაში გადავიდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, "ჭიათურმანგანუმი" და "ვარციხეჰესი". აღნიშნულ კომპანიას წარმოადგენს "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაიაც** და ისიც გადაწყვეტილია, რომ ის საქართველოში დღე-დღეზე დაბრუნდება.

ცნობილი გახდა, რომ "სტემკორმა" საქართველოს ბიუჯეტში 112 მილიონი დოლარი ჩარიცხა, რაც ამ კომპანიის დიდ გაქანებაზე მიუთითებს. წინასწარი ინფორმაციის თანახმად, "სტემკორი" საფეხბურთო გუნდის პატრონაჟს აპირებს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ "ზესტაფონის" საჩემპიონო ამბიციები მყარდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# გიგიაძემ დარჩენა გადაწყვიტა



ვასილ გიგიაძე

**ვასილ გიგიაძისა** და კრივოი როგის "კრივბასის" ურთიერთობა, ფაქტობრივად, გარკვეულია. როგორც ცნობილია, ქართველ ფეხბურთელს გუნდთან კონტრაქტი მაისში უმთავრდება. ამის მიუხედავად, "კრივბასის" დატოვებას ვასიკო ზამთარშივე ჩქარობდა და ეს უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებისთანავე კრივოიროგელთა ხელმძღვანელობას განუცხადა.

თუმცა, მას შემდეგ "კრივბასში" პრეზიდენტიც შეიცვალა, მწვრთნელიც და გიგიაძეს კლუბთან ურთიერთობის გარკვევა კიდევ ერთხელ მოუხდა. მოლაპარაკებები რამდენიმე დღე გრძელდებოდა და მისი შედეგები გუშინ ფეხბურთელისგან შევიტყვეთ:

*" სამი დღის განმავლობაში საკმაოდ დაძაბული მოლაპარაკება გვქონდა. შეიძლება უკვე ითქვას, რომ დარჩენაზე დამითანხმეს. ეს უკვე 90 პროცენტით გადაწყვეტილია. გული მწყდება, რომ უფრო ძლიერ და ამბიციურ კლუბში გადასვლის შანსი ჩამიშალეს, მაგრამ სხვა გზა აღარ დამიტოვეს. "კრივბასთან" კონტრაქტი ნახევარ წელიწადში მიმთავრდება, გუნდმა კი ტრანსფერში იმხელა თანხა მოითხოვა, რომლის გადახდაც ჩემით დაინტერესებულ არც ერთ გუნდს არ შეუძლია. დასამალი არაა, რომ ყველაზე მეტად ოდესის "ჩერნომორეცი", მარიუპოლის "ილიჩევეცი" და სიმფეროპოლის "ტავრია" აქტიურობდნენ. იყო რუსეთის ვარიანტებიც, მაგრამ უკრაინაში დარჩენა მსურდა და მათზე უარი ვთქვი. დონეცკის "მეტალურგის" ვარიანტი კი გამოირიცხა, რადგან იქ ჩემი ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრე კოსევიჩი არ დანიშნეს. დაინტერესებულ გუნდებს "კრივბასის" მადის დაკმაყოფილება არ შეუძლიათ. ერთი სიტყვით, მიმახვედრეს, თუკი ნებით არ დარჩები, ძალით გტოვებთო. ამასთანავე, გაუმჯობესებული პირობებით ახალი, ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. მართალია, ხელი ჯერ არ მომიწერია, მაგრამ ეს უკვე ფორმალური საკითხია და, ალბათ, ხვალ ან ზეგ კონტრაქტს გავაფორმებ".*

გიგიაძის თქმით, "კრივბასში" მიწვეული ქართველი ფეხბურთელები, თბილისის "ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველი **გიორგი ფეიქრიშვილი** და "დინამოს" თავდამსხმელი **მიხეილ ბობოხიძე** გუნდში ვარჯიშობენ. მათი საკითხი უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მელქაძის ვარიანტები: უკრაინა, გერმანია, ირანი ან ოლიმპი



საქართველოს ჩემპიონატის ოდინდელ ბომბარდირ **ლევან მელქაძეს** მძიმე დროება დაუდგა. ნორვეგიის ჩემპიონ "ვოლერენგაში" გადასვლა კარიერული წინსვლის ნაცვლად, დაბრკოლებად გადაექცა და უკვე ერთი წელია უთამაშებელია. ბუნებრივია, ამან თავდამსხმელი უკან დახია და ახალი კლუბის ძიებაც გაუჭირდა. მას ნორვეგიელებთან კონტრაქტი ჯერაც არ დასრულებია და პრობლემას ეს უქმნის.

გუშინ ლევანს დავუკავშირდით, რომელმაც შემდეგი გვითხრა:

*"აზერბაიჯანში რომ მიწვევენ, ეს ძველი ამბავია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ "ბაქოში" გადასვლა ძალიან მსურს. საქმე ისაა, რომ ველოდები რაღაც ვარიანტების გარკვევას. მე მეტს ვერ დავკონკრეტდები, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ აქცენტი არც "ოლიმპზე" გადამიტანია. არის ვარიანტები უკრაინაში, ირანში, მეორე ბუნდესლიგის ერთი გუნდიც გამოჩნდა. პოლონეთზე ლაპარაკი კი წარსულს ჩაბარდა. ვნახოთ, აქედან რა გამოვა. თუკი არც ერთი არ აღმოჩნდა რეალური, ასეთ შემთხვევაში რუსთავის გუნდში ვითამაშებ. ისე, ძალიან განვიცდი, რომ ერთი წელი გამიცდა. ძნელია ასეთ მდგომარეობაში ფორმის უცებ აღდგენა და სასურველი გუნდის მონახვა, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ გადამიწურავს".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ხიზანეიშვილმა გოლით დაიწყო...

## კობიაშვილმა მოიგო

გერმანულმა გუნდებმა მიმდინარე სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისი დაიწყეს. მათ შორის ქართველ ლეგიონერთა გუნდებმაც. ჩვენებურებმა თავის გამოჩენა უკვე მოასწრეს.

პორტუგალიურ შეკრებაზე მყოფმა **ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგმა" ფრანკფურტის "აინტრახტთან" მოსინჯა ძალები. მატჩი დაძაბული გამოდგა და ფრედ 2:2 დასრულდა. საგულისხმო კი ის გახლავთ, რომ ხიზანეიშვილმა გოლითაც დაგვამახსოვრა თავი. "ფრაიბურგი" სწორედ ქართველის გოლით დაწინაურდა (2:1). აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში გახლდათ. ხიზანეიშვილი მე-60 წუთზე შეცვალეს, იაშვილმა კი თამაში ჩაამთავრა.

საკონტროლო მატჩი გამართა **ლევან კობიაშვილის** "შალკემაც". გელზენკირხენელები "აახენს" დაუპირისპირდნენ და 53-ე წუთზე **როდრიგესის** მიერ გატანილი გოლის წყალობით, მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგეს. ლევან კობიაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და ბოლომდე ითამაშა. გუშინ „შალკემ" „იურგორდენი" 2:1 დაამარცხა.

**დავით სირაძის** „აუე" კი "ჰანოვერს" გაეჯიბრა და დიდი ანგარიშით 5:0 დამარცხდა. დათო სირაძემ კი ითამაშა, მაგრამ ამჯერად გუნდს ვერაფრით შეეწია. "აუე" ესპანურ შეკრებას განაგრძობს და შაბათს მორიგ ამხანაგურ მატჩში ადგილობრივ ქვედალიგოსან "ხიდანას" დაუპირისპირდება. 19 იანვარს კი "უნტერჰახინგთან" მოსინჯავს ძალებს.

**მათე ღვინიანიძის** "მიუნხენ-1860" კი "ტენერიფეს" დაუპირისპირდა და მინიმალურად 1:0 წააგო. ღვინიანიძე ძირითად შემადგენლობაში იყო, კვლავაც მარჯვენა მცველის ფუნქციას ასრულებდა და მე-60 წუთზე შეცვალეს.

**დავით ცაბაძე**

# კორღალიძე და იმედაძე გილანში

აზერბაიჯანული ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი "გილანი" მალე ქართულ "სათვისტომოდ" შეიძლება გადაიქცეს. კლუბი პირველი წრის მერე 8 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა და უმაღლესში დარჩენისთვის იბრძვის. აზერბაიჯანული საიტის ცნობით კლუბში სინჯებზე ორი ქართველი ფეხბურთელი მიიწვიეს - ნახევარმცველი **ლევან კორღალიძე** და ფორვარდი **გრიგოლ იმედაძე**. შარშან ორივე ცდილობდა აზერბაიჯანში დამკვიდრებას, კორღალიძე - "ბაქოში", ხოლო იმედაძე - "ოლიმპიკში". საბოლოოდ კორღალიძე ლატვიაში დაბრუნდა, სადაც შემოდგომის განმავლობაში ერთხელაც არ უთამაშია "სკონტოს" მაისურით, წლის ბოლოს ის რიგის კლუბმა **დავით ჩალაძესთან** ერთად გაუშვა. იმედაძე სეზონის პირველი ნახევარი "ზესტაფონში" იყო, თუმცა იშვიათად თამაშობდა (სულ 6 მატჩი). "გილანში" ვიხილავთ ალბათ მცველ **დიმიტრი კაპანაძესაც**, რომელიც შარშანდელ სეზონში "გოიაზანში" თამაშობდა. კლუბი მინგეჩაურში 20 იანვრამდე დარჩება, მთავარი მწვრთნელი **რამიზ მამედოვი** მანამდე გადაწყვეტს ვინ წაიყვანოს შეკრებაზე ანთალიაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიონი

# ქართველებს რუსეთში არ უშვებენ...

## ...კამერუნელებს სომხეთში

გაურკვევლობები და უსიამოვნო თავგადასავლები ბოლნისის "სიონის" თავს კვლავაც გრძელდება, რუსეთის საფეხბურთო კავშირის, საელჩოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გადამკიდე. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ყველა ეს ორგანო ერთმანეთს უყენებს პრეტენზიებს. ამას დაუმატეთ სომხეთის უარი კამერუნელთა შეშვებაზე.

გუშინ რუსეთის საელჩოში მისულ კლუბის ხელმძღვანელობას განუცხადეს, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიერ გამოგზავნილ მოწვევას ძალა არ აქვს და ბოლნისელთა რუსეთში წასასვლელად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაა საჭირო. იქიდან კი იყო პასუხი, რომ სწორედ მოწვევის საფუძველზე უნდა გასცეს ვიზები საელჩომ და არავითარი განკარგულება ამას არ სჭირდება. რუსეთის საელჩო ვიზების გაუცემლობის არგუმენტად რუსეთის მთავრობის განკარგულებას ასახელებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემა დროებით შეჩერებულია. შესაბამისად, ამ პერიოდში ვიზების გასაცემად ზემდგომი ორგანოს განკარგულება სჭირდება. ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ ბოლნისელებს უკვე მერამდენედ ექმნებათ პრობლემები თანამეგობრობის თასზე წასასვლელად.

საბოლოოდ, გაირკვა, რომ "სიონთან" ერთად ვერ იმგზავრებენ კამერუნელი ლეგიონერები. მათ სომხეთი არ უშვებს თავის ტერიტორიაზე. კლუბის ხელმძღვანელობას ვისთან არ ჰქონდა საუბარი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ცხელ გულზე ბოლნისელები დაიმუქრნენ კიდეც, სადღაც გადაიკვეთება ჩვენი გზები და მერე ჩვენც ანალოგიურად მოვექცევითო. კამერუნელებს რუსეთის დედაქალაქში ჩასვლა, კლუბის ერთ-ერთ წარმომადგენელთან ერთად, სტამბოლის გავლით მოუწევთ. მოსკოვში გამგზავრების წინ გუნდს ბოლნისის გამგებელი **გია არევაძე** შეხვდება. "სიონს" მხარში უდგას "მადნეულიც". სააქციო საზოგადოების პრეზიდენტი **კობა ნაყოფია** ტურნირზე დასასწრებად მოსკოვში აპირებს ჩასვლას. მას ქართული დიასპორისთვის კლუბის ქომაგობა უთხოვია და კარგი თამაშის შემთხვევაში ბანკეტი ჩემზე იყოსო, უთქვამს.

ამასობაში კი ფეხბურთელები განაგრძობენ მზადებას მომავალი ტურნირისათვის. "სიონი" სასტუმრო "ლიზიშია" დაბინავებული და 35-ე სკოლის მოედანზე ვარჯიშობს. დღეს საქართველოს ჩემპიონი კიდევ ერთხელ გაეჯიბრება რუსთავის "ოლიმპს". საბოლოოდ კვლავაც არაა გადაწყვეტილი **თორნიკე აფციაურისა** და **ვიტალი დარასელიას** მოსკოვში წასვლის საკითხი. ორივე მათგანი დაშავებულია მცირედით. ფეხბურთელებმა თუკი დღეს თამაში შეძლეს, მაშინ წავლენ მოსკოვში, თუ არა და, ინტენსიური მკურნალობის გავლა მოუწევთ ფეხზე დროულად დასადგომად.

**პაატა თოთაძე**

უცხოური შეკრება

# დინამოს დღეს მცველი შეუერთდება...

## ...ხვალ ფორვარდი

ანთალიაში შეკრებაზე ჩასული თბილისის "დინამო" დღეიდან შეუდგება მზადებას. ბურთით ვარჯიშებს მოგვიანებით ამხანაგური მატჩებიც მოჰყვება. ამ ეტაპზე ყველა დინამოელი მწყობრშია.

"დინამო" სწორედ ანთალიაში ელის ახალ ფეხბურთელებს. როგორც შევიტყვეთ, "დინამოში" 4 ახალი ფეხბურთელის, თითო მცველისა და მეკარის, ასევე ორი ფორვარდის გამოჩენაა მოსალოდნელი. მათგან ერთ-ერთი, (თუმცა არა ბრაზილიელი, არამედ ევროპელი) მცველი დღეს შეუერთდება გუნდს. ხვალ კი მაკედონიელ ფორვარდს ელიან. ეს ინფორმაცია თბილისში მყოფმა კლუბის ხელმძღვანელებმაც დაგვიდასტურეს. ამ ახალი ფეხბურთელების თაობაზე უფრო დეტალურად მომდევნო ნომერში გაცნობებთ. მანამდე კი ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მცველი და ფორვარდი 12 იანვარს გროზნოს "ტერეკთან" ამხანაგურ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას და მწვრთნელებს მათზე პირველადი წარმოდგენაც შეექმნებათ. რაც შეეხება კიდევ ერთ თავდამსხმელსა და მეკარეს, ისინი უახლოეს დღეებში შეუერთდებიან უგრინის კრებულს.

**დავით ცაბაძე**

## იტალია სიენაში

ევრო-2008-ის შესარჩევ ეტაპზე **კალუს ტოპმიოლერის** გუნდის მეტოქე, მსოფლიო ჩემპიონი იტალია ისტორიაში პირველად ითამაშებს ქალაქ სიენაში. 7 თებერვალს "სკუადრა აძურა" ოფიციალურ ამხანაგურ მატჩში რუმინეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ეს შეხვედრა იტალიელებისათვის 28 მარტის მატჩისთვის გენერალური რეპეტიცია იქნება. მარტში შესარჩევ ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონი შოტლანდიას შეხვდება. შოტლანდიელები ამჟამად უმწვრთნელოდ არიან, რადგან **უოლტერ სმიტი** გლაზგოს "რეინჯერსში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ 7 თებერვალი ფიფას მიერ გამოყოფილი დღეა ამხანაგური მატჩებისთვის. ამ დღეს საქართველოს ნაკრები თბილისში უმასპინძლებს თურქეთს.

## უმაღლესი ლიგა 43-ეა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFH) საკლუბო ლიგათა წლის ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომელშიც სულ 75 ქვეყნის ლიგაა შესული. ქართული უმაღლესი ლიგა 323 ქულით მსოფლიოში 43-ე ადგილზეა. პირველ ადგილზეა იტალიის სერია ა (1182), მეორეზე ესპანეთის ლიგა (1168), ხოლო მესამეზე – ინგლისის პრემიერლიგა (1125). ჩვენი ლიგა IFFH-ის ვერსიით ევროპის კონტინენტზე სიძლიერით 26-ეა, ყოფილ საბჭოეთში კი მეშვიდე პოზიცია უჭირავს.

**ნ. ნ.**

# მეგრელაძე მოსკოვში ვერ წავა

აზერბაიჯანის ჩემპიონი "ბაქი", რომლის შემადგენლობაში სამი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება (ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი მეგრელაძე და ამირან მუჯირი), დსთ-ის თასისთვის ემზადება. კლუბი ჯერ ბაქოშია, დღეს "ბაქი" ამხანაგურ მატჩს გამართავს "სიმურგთან". გადაწყდა, რომ ტრავმის გამო კლუბს დსთ-ის თასზე ვერ დაეხმარება გია მეგრელაძე. მეტიც ქართველი ფორვარდი, რომელიც ამჟამად საქართველოში იმყოფება, სერიოზულად არის დაშავებული და ორი თვე ვერ ითამაშებს. ამასობაში ანთალიაში მყოფ "ყარაბახს" შეუერთდა ტრავმამოშუშებული ნახევარმცველი **გოგა ბერაია**, რომელმაც მძიმე ტრავმის გამო პირველი წრე მთლიანად გამოტოვა.

კლუბები. მეორე წრის წინ

# ამერმა ვერდერის ბუდეს გადაუარბინა

## კაკაშვილმა ბულგარეთს ამერი ამჯობინა

"ამერმა" თურქული შეკრება დაიწყო. გუნდი სასტუმრო "ატლანტისში" დაბინავდა. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციებს პრესატაშე **გიორგი დარჯანია** ავრცელებს. თურმე, "ამერისა" და ბრემენის "ვერდერის" ფეხბურთელები დილაობით მოთელვაზე ერთდროულად გადიან. გერმანელები ანთალიაში "ეფეს პილზენის" თასზე თამაშობენ და მეზობელ სასტუმროში ცხოვრობენ. "ამერი" და თურქული გრანდი "ბეშიქთაში" კი კადრიეს საფეხბურთო ცენტრში გვერდიგვერდ ვარჯიშობენ.

"ქოჯაელისფორის" ვარჯიშის გადასაღებად ჩასული ფოტოგრაფების ყურადღება (ეს გუნდიც კადრიეს ცენტრში ვარჯიშობდა) ამ გუნდის ექსფეხბურთელმა **გივი დიდავამ** მიიქცია. კლუბის ვიდეოოპერატორის თხოვნით კი, დიდავამ კამერის წინ ბურთიც აკენწლა, ხოლო ქოჯაელელი ფეხბურთელები გივის "დიდა, დიდას" ძახილით მისცვივდნენ და კარგა ხანს ესაუბრებოდნენ.

თურქულ შეკრებაზე, როგორც ცნობილია, "ამერში" **ლადო კაკაშვილი** გამოჩნდა. ეს ფეხბურთელი თბილისისა და მოსკოვის "ლოკომოტივებში", ბულგარულ "ბელასიცაში", "ჩერნო მორესა" და "ჩერნომორეცში", აგრეთვე, საქართველოს 16, 17 და 21-წლამდელთა ნაკრებებში გამოსვლითაა ცნობილი.

გთავაზობთ "ამერის" ოფიციალურ ვებგვერდზე ფეხბურთელთან გამოქვეყნებული ინტერვიუს ფრაგმენტს:

*"აქ უცნაურად მოვხვდი. ვარნის "სპარტაკთან" კონტრაქტი 5 იანვარს უნდა გამეფორმებინა. ორი დღით ადრე კი "ამერის" გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ბზიკაძემ დამირეკა და ანთალიაში გუნდთან ერთად წასვლა შემომთავაზა. პირველი შთაბეჭდილება საუკეთესოა. შეკრება უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული, დატვირთვები სერიოზულია. ყველაფერში იგრძნობა, რომ "ამერი" ამბიციური გუნდია. ბოლო ოთხი წელი უცხოეთში ვითამაშე და საქართველოს ჩემპიონატს თვალყურს ვერ ვადევნებდი, თუმცა ნანახითა და ბიჭების მონაყოლიდან ვიცი, რომ ოქროსთვის 5-6 გუნდი იბრძვის. აქედან შემიძლია დავასკვნა, რომ ჩემპიონობისთვის ძალიან დიდი კონკურენციაა. რა თქმა უნდა, ეს კარგი და წინ გადადგმული ნაბიჯია, თორემ, მახსოვს, თავის დროზე, "დინამო" უკონკურენტოდ ხდებოდა ჩემპიონი".*

დარჯანიას ცნობით, შესაძლოა, კაკაშვილმა ჩემპიონატის მეორე წრეში "ამერის" ღირსება დაიცვას. თანამშრომლობა კლუბსაც სურს და 26 წლის ფეხბურთელსაც, თუმცა კონტრაქტამდე საქმე ჯერ არ მისულა.

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

თარიღები

## ამ დღეს დაიბადნენ...

11 იანვარი, 1915 - დაიბადა გაიოზ ჯეჯელავა (ფეხბურთი, "დინამო" თბილისი), სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1939, 1940 წწ. სსრკ ჩემპიონატების მეორე, ხოლო 1946, 1947 წწ. მესამე პრიზიორი. 1938 წელს დასახელებული იყო პირველ ნომრად "55 საუკეთესოს" შორის.

ყაზბეგი



# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება

www.pfl.ge

# კახეთი



შარშან თელაველებმა ფეხბურთის ფედერაციის საჩუქარი მშვენივრად შეირგეს და უმაღლეს ლიგაში დამაჯერებლად შეინარჩუნეს ადგილი. სამაგიეროდ, ამ სეზონში "კახეთს" საქმეები ცუდად მისდის. არადა, თითქმის ყველა შეხვედრაში გუნდმა მეტოქეს იოლად არაფერი დაუთმო, მაგრამ საერთო ჯამში, კინკილა ქულა მოიპოვა, ისიც მასსავით მაჩანჩალა "დილასთან" და გორელებთან ერთად, პირველ ლიგაში დაქვეითების მთავარი კანდიდატია. "კახეთს" მეორე წრეშიც ვასილ არუდაშვილი დამოძღვრავს. შეგახსენებთ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე მან სეზონის მსვლელობისას შეცვალა ჯემალ მახარაშვილი. 25 წლის არუდაშვილმა ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და გაცილებით მძიმე ტვირთის ზიდვას შეუდგა. ვნახოთ, რა მოხდება სეზონის მეორე ნახევარში, კახელები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ და კაცმა რომ თქვას, დასაკარგიც არაფერი აქვთ.

## მონაგარი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | საგოლე პასი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| კობაიძე | 13 | 13 | 1 | - | 1 | - |
| ნ. დავითაშვილი | 13 | 13 | 2 | 1 | 1 | - |
| მაღლაკელიძე | 11 | 11 | - | - | - | - |
| კეველიშვილი | 11 | 11 | - | - | 4 | - |
| იმერლიშვილი | 10 | 9 | - | - | 2 | - |
| ტეტიაშვილი | 10 | 3 | 1 | 1 | - | 1 |
| ცინაძე (მეკ.) | 9 | 9 | -23 | - | - | - |
| ტარუღაშვილი | 8 | 8 | - | - | - | - |
| ლომიძე | 8 | 7 | - | - | 2 | - |
| ბიძინაშვილი | 8 | 4 | - | - | - | - |
| კვირკველია | 7 | 7 | - | - | 1 | - |
| მურველაშვილი | 7 | 4 | - | - | 2 | - |
| ბურდული | 6 | 6 | - | - | 1 | - |
| სოსელია | 6 | 6 | 1 | - | 1 | - |
| ციხკარიშვილი | 6 | 3 | - | - | - | - |
| ძამუკაშვილი | 6 | 2 | - | - | - | - |
| ბურნაძე | 6 | 1 | - | - | 1 | - |
| არუდაშვილი | 5 | 5 | 2 | 1 | - | - |
| სიხარულიძე | 5 | 5 | - | - | 1 | - |
| ამირანიძე | 5 | 3 | - | - | - | - |
| გ. იაშვილი (მეკ.) | 4 | 4 | -14 | - | - | - |
| ბედოიძე | 4 | 4 | - | - | - | - |
| წუწუნავა | 4 | 4 | 1 | - | - | - |
| ხიდაშელი | 3 | 1 | - | - | - | - |
| გერგიშვილი | 2 | - | - | - | - | - |




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვასილ არუდაშვილი

მთავარი მწვრთნელი

"საქმეს რაღაცა დავაკელით, ასეთი კატასტროფული შედეგი არ უნდა მიგვეღო... ყველაფერთან ერთად, უიღბლობაც დაგვჩემდა, წარმატებაში ხელი ხშირმა ტრავმიანობამაც შეგვიშალა".

### საუკეთესო მატჩი

"ერთადერთი ქულა გორის "დილასთან" ავიღეთ და საუკეთესო მატჩადაც ეს უნდა მივიჩნიოთ. ურიგოდ არც "ლოკომოტივთან" გვითამაშია. კიდევ რამდენიმე შეხვედრა იყო ისეთი, სადაც მარცხს არ ვიმსახურებდით".

### ყველაზე ცუდი მატჩი

"რალა თქმა უნდა, ყველაზე ცუდი თამაში რუსთავში ჩავატარეთ, გამარჯვების იმედი გვქონდა, მაგრამ მეტოქემ გვარიანად დაგვჯაბნა".

### პლუსი

"ახალგაზრდული გუნდი ვართ, ჩვენი საქმის სიყვარული, თავდადება და მონდომება არ გვაკლია".

### მინუსი

"გამოუცდელი ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც ხშირად თავდაჯერება, საკუთარი ძალების რწმენა აკლიათ".

### პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი

"ბუნებრივია, ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი ერთმანეთისგან არ განსხვავდება. აშკარაა, რომ არცთუ დიდი შანსი გვაქვს, მაგრამ უმაღლესში დასარჩენად მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ვფიქრობ, ამის ალბათობა დაახლოებით 30 პროცენტია".

### მზადება მეორე წრისთვის

"მეორე წრისთვის სამზადისს 9 იანვარს კახეთში შევუდექით. არაა გამორიცხული, ბაკურიანში გავემგზავროთ, მაგრამ ეს ნაკლებსავარაუდოა. საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად დროდადრო თბილისს ვეწვევით".

### საკადრო პოლიტიკა

"მეკარეებით დავიწყებ. **ცინაძე** ალბათ, დარჩება, **იაშვილი** კი დაგვტოვებს. **ძამუკაშვილი, იმერლიშვილი, მურველაშვილი, ბიძინაშვილი** და **კეველიშვილი** უმაღლესი ლიგის სხვადასხვა კლუბებს სურთ, იმედი მაქვს, რამდენიმე მათგანს მაინც შევინარჩუნებთ. დავიმატეთ **კუპრაშვილი**, რომელიც "გურჯაანში" გვყავდა განათხოვრებული. მის გარდა, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი შემოგვიერთდება ლაგოდეხიდან და ყვარელიდან".



### პირველი წრის რჩეულნი

"კახეთიდან" **ბიძინაშვილს, კეველიშვილსა** და **ძამუკაშვილს** გამოვარჩევდი, პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელთა სამეული კი ჩემი აზრით, ასეთია: პირველი – **აფციაური**, მეორე – **იაშვილი**, მესამე – **გელაშვილი**".

### ფინანსური მდგომარეობა

"კლუბის დაფინანსება ზუსტად ისეთივეა, როგორც შარშან იყო, ასე რომ, მინიმალური საარსებო პირობები ნამდვილად გაგვაჩნია".

### კახეთი და ქომაგი

"შარშანდელ სეზონში ზესტაფონის შემდეგ, საუკეთესო დასწრება ჩვენ გვქონდა, ამ ჩემპიონატში კი "კახეთის" მხარდასაჭერად სტადიონზე 50-იოდე ადამიანი თუ შემოივლის".

### ჩემპიონატის ახალი ფორმატი

"20-გუნდიან ჩემპიონატს არაფერი სჯობია, მაგრამ ჩვენს პირობებში, უმაღლეს ლიგას 10-12 მონაწილეზე მეტი არ უნდა ჰყავდეს".

### თასის ახალი ფორმატი

"ჩვეულებრივი სათასო ფორმატი გაცილებით უკეთესია, ჯგუფური ეტაპის შეხვედრათა უმრავლესობა უინტერესო და არაფრისმომცემი იყო".

### კოლეგები

"უპირველეს ყოვლისა, **ნესტორ მუმლაძის** დამსახურებას გავუსვამდი ხაზს. მან არცთუ ძლიერი შემადგენლობით კარგ შედეგს მიაღწია. ქების ღირსია **გიორგი კიკნაძეც**, რომელსაც ასეთი ეფექტური სამწვრთნელო დებიუტი გამოუვიდა".

### მსაჯობა

"სიმართლე გითხრათ, **ამირან კაჭახიძისგან** გაცილებით მეტს ველოდი, თუმცა მცირე პროგრესს მაინც ვხედავ. რამდენიმე ნიჭიერი და პერსპექტიული მსაჯი უდავოდ გვყავს".

### გარიგებული მატჩები

"გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ იტალიისა და რუსეთის შემდეგ, ჩაწყობილი თამაშების მიხედვით, საქართველო მესამე "საპრიზო" ადგილზეა. სამწუხაროდ, ამ სენთან ბრძოლა რეალურად არც მიმდინარეობს და არც საამისო პირი ჩანს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **I ტური** | | | |
| 29.07 | შ | მერანი | 0:1 |
| **II ტური** | | | |
| 06.08 | ს | ოლიმპი | 0:7 |
| **III ტური** | | | |
| 20.08 | შ | ვიტ ჯორჯია | 2:3 |
| სიხარულიძე, ტეტიაშვილი | | | |
| **IV ტური** | | | |
| 27.08 | ს | ჩიხურა | 1:3 |
| სოსელია | | | |
| **V ტური** | | | |
| 09.09 | შ | ბათუმი | 1:3 |
| ნ. დავითაშვილი | | | |
| **VI ტური** | | | |
| 17.09 | ს | დინამო | 1:2 |
| ნ. დავითაშვილი | | | |
| **VII ტური** | | | |
| 23.09 | შ | დილა | 2:2 |
| არუდაშვილი (2) | | | |
| **VIII ტური** | | | |
| 14.10 | ს | ამერი | 0:3 |
| **IX ტური** | | | |
| 21.10 | შ | ტორპედო | 2:3 |
| კობაიძე, წუწუნავა | | | |
| **X ტური** | | | |
| 29.10 | ს | სიონი | 0:5 |
| **XI ტური** | | | |
| 05.11 | შ | ბორჯომი | 0:2 |
| **XII ტური** | | | |
| 18.11 | შ | ზესტაფონი | 0:2 |
| **XIII ტური** | | | |
| 26.11 | ს | ლოკომოტივი | 0:1 |

სულ: 13 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 12 წაგება, ბურთები 9-37, 1 ქულა



ლეგიონერები

# დავით ქილლაძე ვეტრაში



დავით ქილლაძე

ლიტვაში კლუბი შეიცვალა ქართველმა მცველმა **დავით ქილლაძემ**, ის მარიამპოლის "სუდოვადან" ქვეყნის ბრინჯაოს პრიზიორ "ვეტრაში" გადავიდა. დავით ქილლაძე 22 წლისაა, "სუდოვაში" ის უფროს ძმა ბესიკთან ერთად თამაშობდა. "სუდოვამ" ჩემპიონატი 53 ქულით მეხუთე ადგილზე დაასრულა და ლიტვის თასი მოიგო, "ვეტრა" კი 61 ქულით მესამე იყო. ქილლაძემ ვილნიუსურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მანამდე "ვილნიუსიდან" ჩემპიონ "კაუნასში" გადავიდა **აკაკი ხუბუტია**.

**ნ. ნ.**

# ბიშოვეცმა ჭელიძე არ წაიყვანა

გუშინ მოსკოვის "ლოკომოტივი" პორტუგალიურ შეკრებაზე გაემგზავრა. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, რკინიგზელებმა ტრადიციულ ლა მანგას თასზე მონაწილეობა აღარ ისურვეს. ბუნებრივია, გამგზავრებულთა შორის არაა **მალხაზ ასათიანი**. ის გერმანიაში მკურნალობს და მარტისთვის მომჯობინდება. ჯანზეა **გიორგი ჭელიძე**, მაგრამ ქართველი თავდამსხმელის გვარი სიაში ვერ ამოვიკითხეთ.

**ანატოლი ბიშოვეცმა** სულ სამი ფორვარდი წაიყვანა: **ტრაორე, სიჩოვი** და ნალჩიკის "სპარტაკიდან" გადაყვანილი **კორჩაგინი**. გავრცელდა ხმები, თითქოს 20 წლის ჭელიძეს კრასნოდარის "კუბანში" ანათხოვრებდნენ (სხვათა შორის, ამ კლუბში კიევის "დინამოდან" **კახა ალადაშვილის** არენდის საკითხიც განიხილება). თავად ფეხბურთელთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, მას მობილური გამორთული ჰქონდა. თუმცა, ჭელიძეების ოჯახში გვითხრეს, რომ გიორგი გუნდიდან არ წასულა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და ამჟამად, "ლოკომოტივის" დუბლებთან ერთად, სოჭში ემზადებაო.

ბიშოვეცმა პორტუგალიურ შეკრებაზე გასამგზავრებელთა სიაში ჭელიძეს არმოხვედრა ძველი ტრავმით ახსნა - აჯობებს, დროებით მეორე გუნდში დარჩესო. უცნაური მიზეზია, მაგრამ ასეა. თუმცა, ძირითად გუნდთან ერთად მეორე შეკრებაზე წაყვანით დააიმედეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# საუკეთესო მწვრთნელები მეტოქეებისთვის

საქართველოს ნაკრები უძლიერეს ჯგუფში რომ მოხვდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. აგერ კიდევ ერთი დასტური მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული 2006 წლის საუკეთესო მწვრთნელების ათეულია. იქ ჩვენი ჯგუფიდან საქართველოს სამი მეტოქის მწვრთნელი მოხვდა.

თუმცა, პირველზე გასული **მარჩელო ლიპი** მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ "სკუადრა აძურას" დაემშვიდობა. მეორეზეა ფრანგების დამრიგებელი რაიმონდ დომენეკი, მერვეზე კი უკრაინელი **ოლეგ ბლოხინი** აღმოჩნდა.

# მაკლიში, საუნესი, დალგლიში...

*პირველი გვერდიდან*

## ალექს მაკლიში

ვაკანტურ პოსტზე დანიშვნის ყველაზე რეალურ კანდიდატად "რეინჯერსის" ყოფილი მწვრთნელი **ალექს მაკლიში** მიიჩნევა. ის ამ კლუბში **პოლ ლე გენამდე** მუშაობდა. შოტლანდიურ გრანდთან ერთად, ოთხნახევარი წლის განმავლობაში, მაკლიშმა 7 ტიტული მოიგო. იყო პირველი მწვრთნელი, ვინც შოტლანდიური გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში გაიყვანა.

## ტომი ბერნსი

ეს კაცი სტაჟიანი ასისტენტია. შოტლანდიის ნაკრებში ის **ბერტი ფოგტსაც** ეხმარებოდა და სმიტის მარჯვენა ხელიც იყო. ასე რომ, **ტომი ბერნსიც** სოლიდურ ალტერნატივად უნდა მივიჩნიოთ. რაც არ უნდა იყოს, ის კარგადაა ჩახედული ნაკრების სამზარეულოში.

## გრემ საუნესი

დანიშვნის შემთხვევაში, ეს იქნება მისი მესამე შეხვედრა ქართულ გუნდთან. პირველად, ეს იყო 1979 წელს, როცა **გრემ საუნესი** "ლივერპულის" მოთამაშე გახლდათ. 2004 წელს კი ის იმ "ნიუკასლს" წვრთნიდა, რომელსაც "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე შეხვდა. საინტერესოა, რომ "რეინჯერსის" სკოლა მასაც აქვს გავლილი. 1986 წელს მან "რეინჯერსის" ტრანსფორმირება სცადა, თითქოს საქმეც ააწყო, მაგრამ გამორჩეული წარმატებებისთვის არ მიუწევია. შემდეგ სამუშაოდ "ლივერპულში" გადავიდა...

შოტლანდიის ნაკრებში 54 მატჩი აქვს ჩატარებული. "ნიუკასლიდან" წასვლის შემდეგ, თითქმის ერთი წელია, უსაქმოდაა...

## კენი დალგლიში

101 მატჩით (30 გოლი) შოტლანდიის ეროვნული გუნდის რეკორდსმენი გახლავთ. **კენი დალგლიშს** ტიტულები მოგებული აქვს "ლივერპულისა" და "ბლექბერნის" სამწვრთნელო სკამზე, თუმცა ორივე პოსტი ნაადრევად დატოვა. "ლივერპულთან" ერთად თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ მასაც აქვს ნათამაშები. იყო "ნიუკასლის" მწვრთნელიც, როცა ამ გუნდში **თემურ ქეცბაია** თამაშობდა.

## ბილი დეივისი

"დერბი ქაუნთის" ამჟამინდელი მწვრთნელი. **ბილი დეივისი** 42 წლისაა. შოტლანდიის საფეხბურთო წრეებში მას დიდ პატივს სცემენ. "პრაიდ პარკზე" 2006 წლის ივნისიდან მუშაობს. მისი თავკაცობით, "დერბის" პრემიერლიგაში დაბრუნების რეალური შანსი გაუჩნდა. მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ ამ ეტაპზე ნაკრებში მუშაობას დათანხმდეს. ესეც არ იყოს, შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციას "ცხვრებისთვის" სოლიდური კომპენსაციის გადახდა არ უნდა აწყობდეს.

## დეივიდ მოიესი

უდავოდ ნიჭიერი სპეციალისტი. "ევერტონის" მწვრთნელი. სხვათა შორის, თავის დროზე ამ კლუბში სწორედ უოლტერ სმიტი შეცვალა და ლივერპულური კლუბი პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზეც გაიყვანა. ამჟამად, **დეივიდ მოიესს** მყარი პოზიციები აქვს და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს პერსპექტივა სერიოზულ თავსატეხზე გაცვალოს.

## ჯო ჯორდანი

ამჟამად, "პორტსმუთის" ერთ-ერთი მწვრთნელია. ნაკრებში ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. **ჯო ჯორდანი** 1974, 1978 და 1982 წლების მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გახლავთ. სხვათა შორის, ეს ის კაცია, რომელმაც ესპანეთის მუნდიალზე (1982), სსრკ-შოტლანდიის მატჩის მე-15 წუთზე, **ალექსანდრე ჩივაძის** შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. თუმცა საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა "დანაშაული" მეორე ტაიმში გატანილი გოლით გამოისყიდა...

შოტლანდიის ნაკრებში დანიშვნას რაც შეეხება, ფანები მას უთუოდ მიესალმებიან, როგორც ამ ქვეყნის ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ სახეს, მაგრამ რაც შეეხება სამწვრთნელო გამოცდილებას...

## სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | გეგმები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | **კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ისთვის) | **რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო) | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | **დილმელაშვილი (დინამო),** | | თბილისი, ანტალია (თურქეთი) |
| ამერი | **ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?) | **მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (?) | **რ. ონიანი (ოლიმპი)** | თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები |
| დინამო | **ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე (?)** ნავალოვსკი (დინამო) | **დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) | ბაკურიანი, ანტალია |
| ტორპედო | **ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | **კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი) | — |
| სიონი | **სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი** ჭიჭეიშვილი (?) | **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა)** ყველა დსთ-ის თასისთვის | დსთ-ის თასი, იანვარი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?). | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე | | 10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | ორი შეკრება |
| ჩიხურა | **მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)** | ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი), | შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში |
| ბათუმი | **ა. მუჯირი (ბაქო)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია | **ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | **შეკრება ბათუმში** |
| დილა | **ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)** | **ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)** | შეკრება გორში |
| კახეთი | სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კეველიშვილი (მერანი), | **კუპრაშვილი (გურჯაანი)** | თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც |


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, მოგვწერე, გვეწვიე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟოზე მოურინიო

ჩელსი. ახალი ამბები

# მოურინიო უარყოფს

## არისტოკრატების მწვრთნელმა ბალაკს მხარდაჭერა გამოუცხადა, ის თამაშის გაუმჯობესებას მხოლოდ გერმანელი ნახევარმცველისგან არ ითხოვს...

**ჟოზე მოურინიომ** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია "ჩელსის" ფეხბურთელთა დაპირისპირების შესახებ. რამდენიმე დღის წინათ "მირორი" წერდა, "ფულჰემთან" ნამატჩევს **დიდიე დროგბა** და **კლოდ მაკელელე** მწვრთნელთან მივიდნენ და განუცხადეს, **მიხაელ ბალაკი** ძირითადში ყოფნას არ იმსახურებს, არც მცველებს ეხმარება, არც - თავდამსხმელებს და ძალიან ცოტას მოძრაობსო. მოურინიომ საპასუხო კომენტარი "ჩელსის" საკლუბო არხის ეთერში გააკეთა: *"ამ ამბავზე მხოლოდ ის ვიცი, რაც გაზეთებში დაიწერა. ცნობები გასახდელში არსებული პრობლემების შესახებ არასწორია. ვითხოვთ თუ არა ბალაკისგან უფრო მეტს? რა თქმა უნდა, მაგრამ ამას ვითხოვთ არა მხოლოდ მისგან, არამედ უკლებლივ ყველა ფეხბურთელისგან. თუ სტატიის ავტორთა ჩანაფიქრი ის იყო, რომ ჩემს გადაწყვეტილებებზე მოეხდინათ გავლენა, შემიძლია დავარწმუნო ისინი, რომ არაფერი გამოუვათ. მედიისა და გარეშე ადამიანების მოსაზრებები არ მაინტერესებს. შემადგენლობას მხოლოდ მე ვაყენებ და არავინ სხვა."* ბალაკს "ვიკომბთან" ლიგის თასის გუშინდელ ნახევარფინალში ძირითადში უნდა ეთამაშა.

სპეკულაციების თანახმად, "არისტოკრატებს" "ბლექბერნის" საუკეთესო ბომბარდირის, **ბენი მაკარტის** შეძენა სურთ. სამხრეთაფრიკელმა თავდამსხმელმა ამ სეზონში უკვე 13 გოლი შეაგდო (9 პრემიერლიგაში). ის მოურინიოს ყოფილი შეგირდია. 2004 წლის მაისში, "პორტუს" მაისურით, მწვრთნელმა და ფეხბურთელმა ჩემპიონთა თასი მოიგეს. ჟოზეს 28 წლის ფორვარდის ყიდვა 2005 წლის ზაფხულში სურდა, მაგრამ მან სკამზე ჯდომის შიშით პორტუგალიაში დარჩენა გადაწყვიტა. 2006 წლის აგვისტოში კი, 2.5 მილიონ გირვანქად "ბლექბერნში" ამოჰყო თავი. "ვარდების" თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** განაცხადა: *"როცა ჩვენს გუნდში მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს, ყველას ჰგონია, რომ ეს მისი დროებითი სამსახურია. სინამდვილეში "ბლექბერნი" თავის მოთამაშეებს იდეალურ პირობებს უქმნის, რათა მათ სხვა კლუბებზე აღარ იფიქრონ."*

დასასრულს, კიდევ ერთი ცნობა "ჩელსიდან". მოურინიოს გადაწყვეტილებით, სათადარიგო ნახევარმცველ **ლასანა დიარას** ექვსი კვირის ხელფასი - 60 ათასი გირვანქა დაექვითა. 21 წლის ფეხბურთელს იჯარით "პარი სენ ჟერმენში" გადასვლა სურდა, მაგრამ მწვრთნელმა ამის ნება არ დართო. დიარამ პროტესტი იმით გამოხატა, რომ შაბათს, "მაკლსფილდთან" ასოციაციის თასის მატჩის (6:1) წინა შეკრებაზე 40 წუთი დააგვიანა. მას ძირითადში, **ფრენკ ლემპარდის** ადგილზე უნდა ეთამაშა, მაგრამ ჟოზეს ისევ ამ უკანასკნელის დაყენება მოუხდა (ფრენკმა სამი გოლი შეაგდო). დიარა კი, როგორც მოგახსენეთ, მომდევნო თვენახევრის განმავლობაში ერთ პენსსაც ვერ მიიღებს.

დიდი გარიგება?

# რონალდინიო მილანს უახლოვდება

## ილ კუოტიდიანოს თანახმად, გაუჩო ივლისში მილანისტა გახდება და სეზონში 7 მილიონს მიიღებს

იტალიური „ილ კუოტიდიანო" იუწყება, რომ **რონალდინიოს** „მილანში" გადასვლამდე ძალიან ცოტა აშორებს. *„ბრაზილიელი ვარსკვლავი ივლისში მილანში ჩავა,"* – ასე თამამად წერს „ილ კუოტიდიანოს" ვებ-გვერდი და იქვე აღნიშნავს, ეს სენსაციური ინფორმაცია ბარსელონიდან გავრცელდა და რამდენიმე წყაროს მიერ დადასტურდაო. *„ამ საშობაო პაუზის დღეებში „მილანის" წარმომადგენლებს ხშირი კონტაქტები ჰქონდათ როგორც რონალდინიოს წარმომადგენლებთან, ისე კატალონიური გრანდის დირექტორებთან. 26 წლის ბრაზილიელს „ბარსელონასთან" კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს* – განაგრძობს „ილ კუოტიდიანო" – *მან რამდენჯერმე განაცხადა უარი ხელშეკრულების 2014 წლამდე გაგრძელებაზე. კატალონიურ კლუბთან დაძაბული ურთიერთობა აქვს და ფრანკ რიიკარდთან იჩხუბა. გაუჩოს ძალიან ხიბლავს მილანში თამაშის პერსპექტივა და ის ფარაონული ხელფასი, რომელსაც ბერლუსკონის კლუბი პირდება. საუბარია ხუთწლიან კონტრაქტსა და სეზონში 7 მილიონი ევროს ანაზღაურებაზე. მოლაპარაკებას რონალდინიოს ძმა, რიკარდო ასისი უძღვება. ტრანსფერში „ბარსელონა" ბერლუსკონის კლუბს 65 მილიონ ევროს სთხოვს, მაგრამ „როსონერი" მზადაა, რომ თანხის ნაწილის სანაცვლოდ კატალონიელებს რამდენიმე ფეხბურთელი დაუთმონ."*



სამუელ ეტოო

ბარსელონა. ახალი ამბები

# ეტოო ბრუნდება

"ბარსელონის" ქომაგებმა სასიხარულო ინფორმაცია შეიტყვეს. მომავალი ორშაბათიდან **სამუელ ეტოო** ვარჯიშს განაახლებს. დიახ, თითქმის ოთხთვიანი პაუზის შემდეგ კატალონიურ გიგანტს საუკეთესო მეგოლე უბრუნდება. გემახსოვრებათ, კამერუნელმა ვარსკვლავმა "ვერდერთან" მატჩში მენისკი დაიშავა და 28 სექტემბერს ცნობილ ტრავმატოლოგ, **რამონ კუგატთან** ოპერაცია გაიკეთა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეტოოს რეაბილიტაციისთვის ხუთი თვე დასჭირდებოდა, მაგრამ სამუელმა იმთავითვე დადო პირობა, აგერ ნახეთ, იანვარში თუ არ გამოვჯანმრთელდეო. ასეც მოხდა. გუშინ "ბარსას" ფორვარდს საბოლოო სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა. ექიმები დარწმუნდნენ, რომ მათ პაციენტს აბსოლუტურად აღარაფერი აწუხებს და უფლება მისცეს, ორშაბათს გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშოს.

ეტოოს ამბით, რა თქმა უნდა, ყველა უზომოდ ბედნიერია. განსაკუთრებით კი **ფრანკ რიიკაარდს** უხარია. აი, რა განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა: *"სამუელი ჰაერივით გვჭირდება. მართალია, მისი არ ყოფნის დროს ბიჭები თავს არ ზოგავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ გოლები გაგვეტანა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მაინც ძალიან გაგვიჭირდა. მადლობა ღმერთს, აქამდე მეტნაკლებად კარგად მოვედით. ახლა ეტოო ფორმაში ჩადგება და "ბარსა" ჩვეულ სახეს დაიბრუნებს. ბედნიერებისგან ადგილს ვერ ვპოულობ. ღმერთმა ქნას, ლეო მესიმაც მალე მოგვაკითხოს."*

ამასობაში, "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ "სარაგოსაში" **კარლოს დიოგო** მოიკითხა. ამბობენ, კატალონიელები **ბელეტის** "მილანში" ყიდიან და დიოგოს მის შემცვლელად მოიაზრებენო. ალბათ იცით, ურუგვაელი მცველი "რეალის" საკუთრებაა და "სარაგოსაში" იჯარის წესით თამაშობს. ზაფხულში სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ კოლეგებს პირობა მისცა, თუ კარლოსის გამოსყიდვას მოისურვებთ, მას 6 მილიონ ევროდ დაგითმობთო. არაგონელებმა კატალონიელებს ყველაფერი გულწრფელად გაუმხილეს. **ჩიკი ბეგირისტაინი** ფეხბურთში გუშინ მოსული კაცი არ არის და, რა თქმა უნდა, არ სჯერა, რომ დედაქალაქელები დიოგოს "ბარსელონასაც" 6 მილიონად მიყიდიან. ამიტომ, გენერალური დირექტორი მეტ ფულს ამზადებს.

ინგლისის ლიგის თასი

# პირველად, 76 წელიწადში

## ლივერპულმა ენფილდზე ექვსი გოლი უკანასკნელად 1930 წელს გაუშვა, არსენალს ყმაწვილების იმედი აქვს და იანვარში ფეხბურთელებს არ იყიდის...

სამშაბათს "ენფილდზე" დიდი ამბები დატრიალდა. "ლივერპული" ინგლისის ლიგის თასს მეოთხედფინალში გამოეთიშა, მაგრამ გამოთიშვაც არის და გამოთიშვაც. მერსისაიდელებმა "არსენალთან" 3:6 (!) წააგეს. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს საკუთარ მოედანზე ამდენი გოლი უკანასკნელად შორეულ 1930 წელში ჰქონდა გაშვებული - ზუსტად 76 წლის წინათ "ლივერპული" "სანდერლენდთან" 0:6 დამარცხდა.

"მეთოფეებმა" მასპინძლებს ოთხ დღეში მეორე სათასო მარცხი აგემეს. "არსენალი" "ენფილდს" შაბათსაც ეწვია და ასოციაციის თასის 1/32 ფინალში 3:1 მოიგო, სამშაბათს კი...

სამშაბათს ლონდონელთაგან ოთხი გოლი **ჟულიო ბაპტიშტამ** შეაგდო. ბრაზილიელს აგვისტოს მერე არ ჰქონდა გატანილი და გამუდმებით სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბაპტიშტას ჰეთ თრიკის წყალობით, მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრები უკვე 5:1-ს იგებდნენ. "ლივერპულმა" გაიბრძოლა და ორი გოლი გაქვითა, მაგრამ ბოლო სიტყვა ისევ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა თქვა. 84-ე წუთზე მან პოკერი შეასრულა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

**არსენ ვენგერი** გადახალისებული გუნდის თამაშით გაოგნებული და კმაყოფილი იყო. ფრანგ მწვრთნელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, "ტოტენჰემთან" ლიგის თასის ორრაუნდიან ნახევარფინალში კვლავ ყმაწვილები ათამაშოს. მოსიე არსენს ეჭვი არ ეპარება, რომ **თეო უოლკოტი**, **დენილსონი**, **ალექსანდრ სონგი**, **იოჰან ჯურუ** და **ჟერემი ალიადიერი** ამ დონის ტურნირებისთვის მზად არიან და გამოცდილი თანაგუნდელების დახმარება არ სჭირდებათ. ცნობისთვის, დედაქალაქელებმა ოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე "ლივერპულს" **ტიერი ანრის** გარეშე გადაურბინეს. ვენგერი: *"დიდია ცდუნება, "ტოტენჰემთან" ახალგაზრდები გავიყვანო. მათ "ლივერპული", "ევერტონი" და "ვესტ ბრომვიჩი" დაამარცხეს, ასე რომ, ძირითადში ყოფნასაც იმსახურებენ. "ლივერპულთან" გამარჯვების იმედი მქონდა, მაგრამ ექვს გოლს ნამდვილად არ ველოდი."*

იანვრის ტრანსფერებისას ვენგერი გუნდის გაძლიერებას ისედაც არ აპირებდა. სათასო წარმატებებმა ის საკუთარი მოსაზრების მართებულობაში დაარწმუნა: *"არსენალში" არიან ადამიანები, რომლებიც ღამეებს ასწორებენ და მუხლჩაუხრელად შრომობენ. თუ ახალგაზრდა ფეხბურთელებს შევინარჩუნებთ, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. ჩემს განკარგულებაშია 20-22 უმაღლესი კლასის მოთამაშე. დიდი არჩევანი მაქვს. ნებისმიერი მათგანი იმსახურებს თავის გამოჩენის შანსს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარედან ვინმეს დამატება საჭირო არ არის... ბაპტიშტა? მისი წდობა არასოდეს დამიკარგავს. აღფრთოვანებული ვარ ჟულიოს მენტალური სიძლიერით. მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ალიადიერის ასპარეზობა. ამ ორმა ფეხბურთელმა თავდასხმაში დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა."*

დამამცირებელი წაგების გარდა, "ლივერპულის" თავკაც **რაფა ბენიტესს** ორი მოთამაშე გამოაკლდა: **მარკ გონსალესი** და **ლუის გარსია** გაურკვეველი დროით ჩამოშორდნენ მინდორს. აი, ესპანელი მწვრთნელის კომენტარი: *"ძალიან ცუდი შედეგი მივიღეთ. უსიამოვნება სწრაფად უნდა დავივიწყოთ. ჩვენ ერთად ვიგებთ და ვაგებთ, ერთად ვუტევთ და ვიცავთ თავს. წაგების გამო პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად გვეკისრება. მერწმუნეთ, გამარჯვებისთვის ყველაფერი ვიღონეთ. პატიებას ვთხოვთ გულშემატკივრებს, რომლებიც, როგორც ყოველთვის, დღესაც შესანიშნავნი იყვნენ."*

სათასო მატჩების შემდეგ ბრიტანულმა ტოტალიზატორებმა დათხოვნის კანდიდატი მწვრთნელების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნეს. ერთი თვის წინათ ბენიტესი ამ რეიტინგის უიმედო აუტსაიდერი იყო - 50/1, მაგრამ "არსენალთან" განადგურებამ (ტოტალიზატორების ვარაუდით) მისი პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა - 16/1. აუტსაიდერი მწვრთნელის სია ასე გამოიყურება:

| მწვრთნელი | კლუბი | ფსონი |
|---|---|---|
| გარეთ საუთგეიტი | მიდლსბრო | 4/1 |
| სტიუარტ პირსი | მანჩესტერ სიტი | 13/2 |
| კრის კოულმენი | ფულჰემი | 11/1 |
| ალან პარდიუ | ჩარლტონი | 12/1 |
| გლენ როუდერი | ნიუკასლი | 14/1 |
| პოლ ჯუელი | ვიგანი | 14/1 |
| ადრიან ბუთროიდი | უოტფორდი | 14/1 |
| რაფა ბენიტესი | ლივერპული | 16/1 |
| ალან კერბიშლი | ვესტ ჰემი | 18/1 |

იმასაც გეტყვით, რომ "ლივერპული"-"არსენალის" ანგარიშის გამოცნობისთვის ბუქმეიქერები მზად იყვნენ, 2 500/1 გადაეხადათ. თამაშის წინ, ფსონების მიხედვით, "ლივერპული" წყვილის გამოკვეთილი ფავორიტი იყო.

ამასობაში, გუშინ ლიგის თასის პირველი ნახევარფინალი გაიმართა. "ვიკომბმა" "ჩელსის" უმასპინძლა. შეხვედრის წინ ტოტალიზატორები ტურნირის ფავორიტად "არისტოკრატებს" ასახელებდნენ - 8/15. მეორე ფავორიტი "არსენალი" იყო - 3/1.



არსენალი ლივერპულის განადგურებას ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ახალი ამბები

# კაპელო ამოქმედდა

## იტალიელმა მწვრთნელმა ჟურნალისტები ჩამოიცილა, ბექჰემს კონტრაქტს არ უგრძელებენ, რა დაჯდება კაპელოს გადაყენება?!

**რეკრეატივოსა და დეპორტივოსთან განცდილი ორი მარცხი სამეფო კლუბში დიდი ცვლილებების წინაპირობა უნდა გახდეს. მთავარმა მწვრთნელმა მედიას კარი მიუხურა. გენერალური დირექტორი კი კაპელოს თხოვნით ბექჰემისა და რონალდოს თავიდან ჩამოცილებაზე ზრუნავს.**



კაპელოსა და დევიდ ბექჰემს შორის შავმა კატამ გაირბინა

### კალდერონი ამას ვერ დაუშვებს

სამეფო კლუბის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არ წყდება. სიტუაცია იმდენად დაძაბულია, რომ ექსპერტებს პროგნოზის გაკეთება უჭირთ. გარკვეულ საკითხებზე ისინი თავდაჯერებით ველარ საუბრობენ, თუმცა აბსოლუტურად მთელი საზოგადოება შეთანხმებულია, რომ მადრიდული გრანდი უმწვავესმა კრიზისმა მოიცვა. ჩვენი გაზეთის მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, **რამონ კალდერონმა** გასულ ორშაბათს **ფაბიო კაპელო** საკუთარ კაბინეტში დაიბარა და სავარაუდოდ, მკაცრად ესაუბრა. თავად "რეალის" დირექტორატის წევრები ხელმძღვანელობასა და მთავარ მწვრთნელს შორის ურთიერთობის დაძაბვას კატეგორიულად უარყოფენ. საქმეში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, ორი დღის წინათ **პრედრაგ მიატოვიჩმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს გარკვევით განუცხადა, სკანდალის აგორებას ნუ ეცდებით, კაპელოსადმი ჩვენი ნდობა უშრეტი და უსასრულოაო. გენერალური დირექტორის მიერ წარმოთქმული ამ სიტყვების მიუხედავად, სპეკულაციები მაინც არ წყდება.

გუშინ საინტერესო თემა წამოტივტივდა. ესპანელმა მედიელებმა დაადგინეს, რომ კაპელოსთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, რამონ კალდერონს ბიუჯეტიდან 20 მილიონი ევროს მოხსნა და იტალიელი სპეციალისტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა მოუწევს. თანხის კოლოსალურ მოცულობას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას არ იჩქარებს. 20 მილიონი ევრო ხუმრობა ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, სამეფო კლუბის "სოსიოებსა" და რიგით გულშემატკივრებს ნაადრევად გათავისუფლებული მწვრთნელებისთვის მრავალმილიონიანი პენსიების დანიშვნა ყელში ამოუვიდათ.

### ჟურნალისტებს კარი ჩაუკეტეს

ასეა თუ ისე, კაპელოსგან აშკარად მეტს ელოდნენ. გემახსოვრებათ, "იუვენტუსის" ყოფილი დამრიგებელი მადრიდში დიდი ზარ-ზეიმით ჩაიყვანეს. ჯერ კიდევ ივლისში ამბობდნენ, ფაბიო იმდენად დიდი მწვრთნელია, რომ 2007 წლის იანვრის მიწურულს "რეალს" პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნულ, გამოკვეთილ ლიდერად აქცევსო. ოპტიმისტებს ეგონათ, რომ მეორეადგილოსანი გუნდი ლიდერს მინიმუმ 7-8 ქულით ჩამორჩებოდა. როგორც ხედავთ, პროგნოზი არ გამართლდა. მართალია, 31 იანვრამდე საკმაო დროა, მაგრამ "რეალის" გალიდერება ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ჩინეთის კომუნისტური ხელისუფლებისა და **დალაი ლამას** შერიგება.

იმედგაცრუებული საზოგადოება კაპელოს დაუპირისპირდა. განრისხებულთა შორის ჟურნალისტთა ის დიდი არმიაა, რომლის წევრებიც "რეალისადმი" ერთგულებას არასოდეს მალავდნენ. ცნობილია, რომ როცა საქმე მადრიდულ გიგანტს ეხება, ესპანელი მედიელები ეთიკის ყოველგვარ ნორმას ივიწყებენ და სიმპათიებს დაუფარავად გამოხატავენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მადრიდელ ჟურნალისტთა 98 პროცენტი "რეალის" თავგადაკლული ფანია, დანარჩენი 2 პროცენტი კი "ატლეტიკოზე" მოდის. ამ ხალხს არანაირად არ ანაღვლებთ, რომ გაზეთებს სხვა კლუბების ქომაგებიც ყიდულობენ და სამეფო კლუბისთვის სიყვარულისა თუ ერთგულების მტკიცება სულაც არ ეპიტნავებათ. რა გაეწყობა, ესპანეთში ასეთი სიტუაციაა და ის კიდევ დიდ ხანს არ შეიცვლება. ვისაც ამ ქვეყანაში უცხოვრია და ფეხბურთი შეუგრძვნია, დამეთანხმება, რომ სპორტულ მედიას უდიდესი გავლენა აქვს. გასულ სეზონში "რეალის" პრეზიდენტები, **ფლორენტინო პერესი** და **ფერნანდო მარტინი** პრესის რეაქციებზე გაცილებით მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ეფექტურ მენეჯმენტზე. ჩვენს კოლეგებს ანგარიშს ფეხბურთელები და მწვრთნელებიც უწევდნენ. მედიელთა ლოგიკა მარტივია - ჩვენ "მადრიდისტები" ვართ და "რეალი" ესპანეთის სიმბოლოა, ამიტომ, ვინც ამ სიმბოლოს აუგად მოეპყრობა, არ დავინდობთ...

ფაბიო კაპელო "სანტიაგო ბერნაბეუზე" 10 წლის წინაც მუშაობდა, მაგრამ მას შემდეგ სპორტული ჟურნალისტიკის ძალაუფლება წარმოუდგენლად გაიზარდა. იტალიელი მადრიდს ძველი განწყობით ჩაფრინდა. მან იცოდა, როგორ უნდა მოპყრობოდა კორესპონდენტებს. როდის უნდა გაეღიმა, ან როდის გაბრაზებულიყო. კაპელო ძველ მეთოდებს ენდო და ჟურნალისტებთან განწირულ ომში ჩაება. ბატონმა ფაბიომ აღმოაჩინა, რომ პრიმერა დივიზიონთან ერთად მედიაც გაიზარდა, დაბრძენდა და შეუდარებლად უფრო გამოცდილი გახდა. ერთ მშვენიერ დღესაც აპენინელმა გააცნობიერა, რომ ძველი მეთოდები აბსოლუტურად ფუჭია. მათი საშუალებით, კბილებალესილი და გაბრაზებული კორესპონდენტებისგან თავს ველარ დაიცავდა. დღის წესრიგში ბრძოლის ახალი ტაქტიკის შემუშავება დადგა, მაგრამ მწვრთნელს დრო, ფაქტობრივად, არ გააჩნია. ის ცაიტნოტში აღმოჩნდა...

შესაძლოა, სწორედ უდროობა და დაუფიქრებლობა გახდა კაპელოს მიერ მიღებული სარისკო გადაწყვეტილების მიზეზი. სამეფო კლუბის დამრიგებელმა ჟურნალისტებისთვის "სიუდად რეალის" კარი ჩაკეტა. დიახ, მისი ბრძანებით ჩვენს კოლეგებს მხოლოდ 15 წუთის განმავლობაში შეეძლებათ ფოტოებისა და კადრების გადაღება, საინტერესო ეპიზოდების ჩანიშვნა და ინტერვიუების ჩაწერა. ეს, რა თქმა უნდა, თეორიულად, თორემ 15 წუთში ვარჯიშის სრულფასოვნად გაშუქება, მით უმეტეს ინტერვიუს მომზადება, პრაქტიკულად შეუძლებელია.

რა გახდა ასეთი კატეგორიულობის მიზეზი? უდროობა და დაუფიქრებლობა უკვე ვახსენეთ, აქვე კიდევ ორ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჟურალისტები 100 პროცენტით არიან დარწმუნებულები, რომ ფაბიომ ვარჯიშების დახურვა ფეხბურთელებისა და მისი სიმშვიდისთვის გადაწყვიტა. ბოლო ინტერვიუებს თუ გაეცანით, ნახავდით, რომ მწვრთნელს მედიელთა კითხვებზე პასუხის გაცემა და მათი პირდაპირობის ატანა უკიდურესად უჭირდა. როცა ამდენად გაღიზიანებენ, გამღიზიანებელს უბრალოდ არ უნდა შეხვდე. კაპელო იმ 15 წუთსაც სიამოვნებით მოიპარავდა, მაგრამ უმალ თავისუფალი პრესის შეზღუდვაში დასდებდნენ ბრალს. ისე, კაცმა რომ თქვას, ეს დრო გინდ გქონია, გინდ არა. 15 წუთში მაინც ვერაფერს მოასწრებ.

რაც შეეხება ოფიციალურ მიზეზს, ის მეტისმეტად ბანალურია. აი, რას ვკითხულობთ "რეალის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში: *"ფაბიო კაპელომ ხელმძღვანელობის წინაშე პირობა დადო, რომ უფრო დიდი შემართებითა და სიმკაცრით იმუშავებს. ფეხბურთელებთან მას მძიმე და შრომატევადი ვარჯიშები ექნება. როგორც სენიორ ფაბიო ამბობს, დაუშვებელია, რომ ეს სიმკაცრე ჟურნალისტთა სპეკულაციებისა და ჭორაობის წინაპირობა გახდეს. გარდა ამისა, კარის დახურვა ბიჭებს მშვიდად მუშაობის საშუალებას მისცემს. როცა უცხო ხალხი მუდმივად ფეხებში გედება, შრომის ეფექტურობა უკიდურესად მცირდება."*

ჩვეულებისამებრ პრესისთვის მხოლოდ მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს ხურავდნენ, რათა მწვრთნელს უკანასკნელი დეტალები დაეხვეწა და საბრძოლო შემადგენლობა კონფედენციალურ გარემოში მოემზადებინა. შედარებით დიდვადიანი აკრძალვა ბოლოს **კარლუშ კეირუშმა** დააწესა. პორტუგალიელმა "ბარსელონასთან" მატჩამდე ერთი კვირით ადრე პრესის თანამშრომლები სახლში გაისტუმრა, თუმცა ამ ინიციატივამ შედეგი არ გამოიღო, რადგან სუპერ კლასიკო კატალონიური გრანდის გამარჯვებით დასრულდა.

კაპელოს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა, რა თქმა უნდა, ჩვენი კოლეგების განრისხება გამოიწვია. "რეალის" ბაზა ის ადგილი იყო, სადაც ძალიან საინტერესო მასალების მოპოვება შეიძლებოდა. იტალიელმა ამ ხალხს ხელ-ფეხი მოკვეთა, ამიტომ არ უნდა გაუკვირდეს, თუ ამიერიდან გაზეთები და სატელევიზიო არხები კიდევ უფრო მრისხანენი და კრიტიკულნი გახდებიან. გამორიცხული არ არის, ამის შემდეგ სინიორ ფაბიომ შეგირდებს კითხვა და ტელევიზორის ყურებაც აუკრძალოს...

### რონალდო ალ იტიჰადში, კასანო და დიარა ინტერში, ბექჰემი?

რამდენიმე დღის წინათ, "დიარიო ასის" კორესპონდენტის მიერ მოპოვებული სენსაციური ინფორმაცია გამცნეთ. გაცხადდა, რომ ფაბიო კაპელოს **რონალდოს** დანახვაც აღარ შეუძლია. ხელმძღვანელობას მან მკაფიო დავალება მისცა, ბრაზილიელი არაფერში მჭირდება და ის სასწრაფოდ მომაცილეთ თავიდანო. პრედრაგ მიატოვიჩმა "მილანთან" დაიჭირა საქმე. მოგეხსენებათ, იტალიელებმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვეს, თუმცა **ადრიანო გალიანიმ** ამთავითვე განაცხადა, მეეჭვება, ამ საქმიდან რაიმე გამოვიდესო. დრო კი არ ითმენს...

სამეფო კლუბმა გუშინ საინტერესო წინადადება მიიღო. მიატოვიჩს "ალ იტიჰადის" ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაუკავშირდა და რონალდოს გაყიდვა შესთავაზა. შეგახსენებთ, ხსენებულმა არაბულმა გუნდმა მცირე ხნის წინათ **ლუიშ ფიგუ** გადაიბირა. პორტუგალიელი საუდეთში მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე შევა. "ალ იტიჰადის" დირექტორი **მანსურ ალ ბლოვი** ბედნიერი იქნება, თუ ლუიშთან ერთად რონალდოსაც ჩაიგდებს ხელში. აზიელებმა მხოლოდ მიატოვიჩთან საუბარი არ იკმარეს და უშუალოდ ფეხბურთელთან გავიდნენ კონტაქტზე. რონალდომ უკვე პირადად იცის, რომ წინადადებაზე დათანხმების შემთხვევაში, ზღაპრულ გასამრჯელოს მიიღებს. როგორც ამბობენ, არაბები მას წლიურ ხელფასს სულ მცირე 4.5 მილიონი ევროთი გაუზრდიან. უკმაყოფილო მადრიდელებიც არ დარჩებიან. "ალ იტიჰადი" მზადაა, ტრანსფერის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაიხადოს.

მიატოვიჩმა ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა და დასძინა, მოლაპარაკებების დაწყებას წინ არაფერი დაუდგებაო. ყველაფერი, რა თქმა უნდა, რონალდოზეა დამოკიდებული. თუ ის წასვლას არ ისურვებს, ძალით ვერავინ გაუშვებს...

ამასობაში, პირენეულ გრანდს კიდევ ერთი გამოუსადეგარი, დიახ, გამოუსადეგარი ფეხბურთელის თავიდან მოცილების შესანიშნავი შანსი გაუჩნდა. საქმე იმ **მაჰამადუ დიარას** ეხება, რომელიც გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა წლის უპირველეს იმედგაცრუებად მონათლეს. მალიელი ნახევარმცველის გადაბირების სურვილს "ინტერი" გამოთქვამს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ კაპელომ დიარას გასხვისების იდეას მხარი დაუჭირა და დირექტორატს აქტიური მოქმედებებისკენ მოუწოდა. მილანელები ძალიან ჩქარობენ, რადგან სურთ, მაჰამადუ იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ჩაიგდონ ხელში. თუმცა, თუ ფასზე ვერ მორიგდებიან და დრო არ ეყოფათ, ხელს მაინც არ ჩაიქნევენ. "ინტერი" დიარას სეზონის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ დაუბრუნდება.

"დიარიო ასი" კვლავ ამტკიცებს, რომ კაპელოს **დევიდ ბექჰემიც** ყელში ამოუვიდა და ინგლისელის სასწრაფოდ გაყიდვასაც ითხოვს. ესტაფეტის ჯოხი "სანმა" აიტაცა და იტალიურ "სქაი სპორტზე" დაყრდნობით სუპერ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. ინგლისური ტაბლოიდის ფურცლებზე მიატოვიჩის განცხადება გამოქვეყნდა: *"ბექჰემი ალბათ, მალე დაგვტოვებს. მას ყველა უფლება აქვს, დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკება აწარმოოს. რამდენიმე თვის წინათ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შევთავაზეთ, მაგრამ გვითხრა, დრო მჭირდებაო. ეს ყველაფერი ძალიან გაიწელა. უნდა გითხრათ, ჩვენ დრო არ გაგვაჩნია. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დევიდს ხელშეკრულებას არ გავუხანგრძლივებთ."*

მიატოვიჩმა **კასანოც** ახსენა. გენერალური დირექტორის თქმით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ანტონიომ კარიერა "ინტერში" გააგრძელოს. კაპელო დირექტორატის გააქტიურებით ძალიან კმაყოფილია. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, მისი განცხადების ერთ ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"ჩვენს გუნდში გარკვეული ცვლილებები განხორციელდება. მოთამაშეთა ნაწილი აუცილებლად დაგვტოვებს. ნაწილი კი ძირითად შემადგენლობაში გამოცდის ძალებს. რატომღაც ვერ გაიგეს ის, რაც თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღეს განვაცხადე, ყველამ ერთად სამეფო კლუბის თეთრი მაისურის ტარებით გამოწვეული სიამაყე და ღირებულებები უნდა დავიბრუნოთ-მეთქი. სამწუხაროდ, ზოგიერთებმა ჩემი განწყობა არასერიოზულად აღიქვა. მათი ნებაა, თუ ვერ ხვდებიან, მაშინ წავლენ."*

ილია **ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ბაზარი

# იტალიური გარიგებების მოლოდინში




ანტონიო კასანო

„ინტერმა" **ზდენეკ გრიგერას** გადაბირება გადაწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ მილანურ კლუბსა და „იუვენტუსს" შორის ბაზარზე დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ჩეხ მცველს „აიაქსთან" კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება. „ნერაძურის" მისი დამატება საზაფხულოდ აქვს განზახული, რაც შესაბამისობაში მოდის ამსტერდამული კლუბის სურვილთან, რომ ფეხბურთელი ივნისამდე არსად გაუშვას. გრიგერა უნივერსალური მცველია, მას დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. „ინტერის" დირექტორატი მზად არის, რომ ფეხბურთელის აგენტ **მინო რაიოლას** იმაზე მეტი შესთავაზოს, ვიდრე „იუვენტუსი" სთავაზობს. „ნერაძურის" სკაუტებმა გრიგერას თვალი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაადგეს, მაგრამ მისი ტრანსფერი მაშინ არაევროკავშირელის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაიბლოკა. ეს ის პერიოდი იყო, როცა მილანელებმა ამსტერდამული გუნდიდან **ენდი ვან დერ მეიდე** წამოიყვანეს და **მაქსველიც** დაიბევეს. ეს უკანასკნელი გასულ იანვარში „ემპოლიში" ჩაირიცხა, „ინტერს" კი ზაფხულში შეუერთდა. მაგრამ ბრაზილიელის შემთხვევაში „აიაქსს" პრობლემა არ ჰქონია, რომ მასთან კონტრაქტი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში გაეწყვიტა, გრიგერას სიტუაცია კი განსხვავებულია. ამსტერდამულ გუნდში ჩეხი ცენტრალური ფიგურაა, „აიაქსი" კი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია გასული და ბუნებრივია, რომ ასეთ დროს მისი გაშვება არ სურს, თუნდაც მცირედი კომპენსაციის საფასურად. „ინტერის" ჩართვამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს „იუვენტუსის" სატრანსფერო კამპანიაზე. „ნერაძურის" **ჯანლუიჯი ბუფონის** გადაბირება სურს, „იუვეს" კი თავის მხრივ ძალიან მოსწონს **ვალტერ სამუელი** და ასევე **ჟულიო სეზარი**. თუ ყველაფერი ამ სცენარით წარიმართა, მაშინ გრიგერა არგენტინელი მცველის მიერ გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს. ესეც არ იყოს, სამუელს ისედაც სურს გუნდის გამოცვლა – უკმაყოფილოა სულ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით.

„ინტერის" სამიზნეში კიდევ ერთი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. ეს გახლავთ „არსენალის" 29 წლის გარემარბი **ფრედი ლიუნგბერგი**. ინგლისური „დეილი ექსპრესის" თანახმად, შვედი ფორვარდის გადაბირება „ინტერსა" და „მილანს" სურთ. თუმცა ლიუნგბერგს შემოთავაზებები არც ესპანეთიდან და ინგლისიდან აკლია. პრემიერლიგაში მას ერთბაშად ოთხი მსურველი ჰყავს „ლივერპულის", „ნიუკასლის", „ევერტონისა" და „ტოტენჰემის" სახით. „ინტერს" მისი შეძენა დიდი ხანია აინტერესებს, თუმცა კონკრეტული ნაბიჯები ჯერ არ გადაუდგამს. სამშაბათს სატრანსფერო საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** რამდენიმე განცხადება გააკეთა. მანჩინის სიტყვებზე, **კასანოს** ახლავე ავიყვანდიო, მორატის კომენტარი ასეთი იყო: *„კასანო ჩვენს გეგმებში არ შედის, მანჩინიმ უბრალოდ იხუმრა, რითაც კასანოსადმი პატივისცემა გამოხატა. დღევანდელ „ინტერში" ყველაფერი საათივით არის აწყობილი, საიანვაროდ არცერთი რგოლის გაძლიერება არ გვჭირდება, გუნდი შესანიშნავად არის დაბალანსებული და ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება, რომ ახალი ფეხბურთელების მოყვანით ეს წონასწორობა დავკარგოთ".*

ბოლო დროს ესპანურ პრესაში ხმები გავრცელდა, რომ „ინტერი" „რეალის" ნახევარმცველის, **მაჰამადუ დიარას** შეძენით იყო დაინტერესებული. ამასთან დაკავშირებით მორატიმ თქვა: *„ამ ფეხბურთელს კარგად არ ვიცნობ. ასეა თუ ისე, სატრანსფერო ბაზარი ამჟამად ნაკლებად გვაინტერესებს, მთელი ყურადღება ჩემპიონატისკენ გვაქვს გადატანილი, უნდა შევინარჩუნოთ ისეთი „ინტერი", როგორიც დღეს გვყავს და რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად ავლენს... ბუფონი? ბუფონთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოვხატე ჩემი პოზიცია და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენ ძალიან ძლიერი მეკარე გვყავს ჟულიო სეზარის სახით. გარდა ამისა, გვყავს ტოლდო, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს. ასე რომ, ახალი მეკარის აყვანას არ ვაპირებთ".*

დაბოლოს, მორატიმ მადლობა გადაუხადა **მარჩელო ლიპის** იმ კომლიმენტებისთვის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა მწვრთნელმა წლევანდელი „ინტერის" მისამართით გამოთქვა: *„ძალიან მესიამოვნა, როცა მისგან ეს ქების სიტყვები მოვისმინე, კიდევ იმიტომ, რომ ისიც „ინტერის" მწვრთნელი იყო. მარჩელოსაც ჰქონდა შესაძლებლობა, რომ „ინტერისგან" უფრო ძლიერი გუნდი შეექმნა, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინ ეს არ გამოგვივიდა".*

გრიგერასთვის ბრძოლაში „იუვენტუსს" „ინტერთან" შედარებით ერთი კოზირი აქვს – **პაველ ნედვედი**. ნედვედს აიაქსელ თანამემამულესთან ახლო მეგობრობა აკავშირებს. ეს ორი ფეხბურთელი ხშირად ესაუბრება ერთმანეთს ტელეფონით, უკანასკნელად ნედვედმა ბერლუსკონის თასის შეხვედრის შემდეგ დაურეკა. *„გრიგერამ მითხრა, რომ იტალიაში გადმოსვლა და კარიერის „იუვენტუსში" გაგრძელება უნდა – უთხრა პაველმა იტალიელ ჟურნალისტებს – მისნაირი ფეხბურთელი ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგებოდა. ტრავმების გამო განსაკუთრებული პრობლემები დაცვაში დაგვიგროვდა. გრიგერა 26 წლისაა და სეზონის ბოლოს „აიაქსთან" კონტრაქტის ვადა ეწურება. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ გავარკვიე, რა ამპლუის ფეხბურთელია: ჩეხეთის ნაკრებში მარცხენა მცველადაც შესანიშნავად თამაშობდა და მარჯვენა მცველადაც, „აიაქსში" კი არანაკლები წარმატებით თამაშობს ცენტრალური მცველის პოზიციაზე. თუმცა, სწორედ ამაშია მისი სიძლიერე. სამწუხაროა, რომ „აიაქსს" მისი იანვარში გაშვება არ უნდა, თუმცა მეორე მხრივ სისულელე იქნებოდა, რომ იანვარში მისი ნებისმიერ ფასად აყვანა, როცა ივნისში კონტრაქტი უმთავრდება. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ თუ მისი გადასწყვეტი იქნა, ის აუცილებლად ტურინს აირჩევს".*

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „იუვენტუსი" გრიგერას გარდა, **გაბრიელ ჰაინცეთი** არის დაინტერესებული. „მანჩესტერ იუნაიტედის" 28 წლის არგენტინელი მცველი პირადად **დიდიე დეშამს** მოსწონს. *„გაბის კარგად ვიცნობ, ის ორი წელი საფრანგეთში თამაშობდა და საშუალება მქონდა, რომ მისი თამაშს ყურადღებით დავკვირვებოდი* – განაცხადა „იუვენტუსის" მწვრთნელმა ერთ-ერთ ფრანგულ რადიოსადგურში სტუმრობისას – *„მანჩესტერ იუნაიტედში" მას მარცხენა მცველად ათამაშებენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისთვის უფრო შესაფერისი ცენტრალური მცველის პოზიციაა. ვიცით, რომ „მანჩესტერს" ბევრი მარცხენა მცველი ჰყავს, ასე რომ, თუ ინგლისური კლუბი ჰაინცეს გაყიდვას გადაწყვეტს, მის შეძენას ჩვენც აუცილებლად შევეცდებით. არგენტინელი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, საერთაშორისო დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს, ხასიათით ლიდერია და მუდამ გამარჯვებაზეა ორიენტირებული. ამ ყველაფერთან ერთად ევროკავშირელის პასპორტსაც ფლობს".* „მანჩესტერ იუნაიტედს" მარცხენა მცველის პოზიაზე **პატრის ევრაც** ჰყავს და საუთჰემპტონელი **გარეთ ბეილის** გადაბირებაც უნდა. ინგლისური კლუბი გაბრიელ ჰაინცეს 9 მილიონ ევროდ აფასებს.

**გოგა ახალაძე**

ინტერვიუ სვენ გორან ერიქსონთან

# იტალიაში სიხარულით დავბრუნდებოდი

## არაბი შეიხები შვედს მარსელის მწვრთნელობისთვის ამზადებენ...



სვენ გორან ერიქსონი

**მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სვენ გორან ერიქსონი უმუშევარია. ამ დღეებში ის დუბაიში იმყოფება და მზადაა ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად, თუმცა არა რომელიმე არაბულ კლუბთან, არამედ მარსელის „ოლიმპიკთან". „მარსელი", პრეზიდენტ პაპე დიუფთან ერთად, ასევე დუბაიშია. საემიროების დედაქალაქში ფრანგული გუნდი ოთხთა ტურნირში ღებულობს მონაწილეობას „ლაციოსთან", „ბენფიკასთან" და „ბაიერნთან" ერთად. დუბაელი შეიხები „მარსელის" შეძენაზე ფიქრობენ. სწორედ მათი სურვილია, რომ ერიქსონი ამ გუნდის მწვრთნელი გახდეს. „ჩემს მომავალთან დაკავშირებით უამრავ ჭორ-მართალს ვისმენ. მირჩევნია, რომ ეს ყველაფერი უკომენტაროდ დავტოვო. ერთდერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ მინდა, ჩემს საქმეს რაც შეიძლება მალე დავუბრუნდე. სულ ერთია, კლუბი იქნება თუ ნაკრები, მთავარია, რომ მუშაობა განვაახლო" – უთხრა შვედმა „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს, რომელმაც მას ეს ინტერვიუ ჩამოართვა.**

- ვერ უარვყოფ, რომ „იუვენტუსის" გარეშე სერია A აღარ არის ის, რაც იყო. რაღაც უსიამოვნების გრძნობა მიჩნდება, როცა ამაზე ვფიქრობ. თუმცა როგორც უცხოელმა, შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ თქვენი ჩემპიონატი კვალაც ყველაზე საინტერესოდ რჩება ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონებთან ერთად.

**- სერია A-ში სადღესოდ თქვენი ყოფილი შეგირდი რობერტო მანჩინი დომინირებს...**

- დარწმუნებული ვარ, რომ „ინტერს" წელს მეტოქე არ ჰყავს. ეჭვი არ მეპარება, რომ სკუდეტო მას დარჩება. ამასთან ძალიან დიდი შედეგების მიღწევა შეუძლია ჩემპიონთა ლიგაშიც.

**- ისევ გაქვთ კონტაქტი „ინტერის" მწვრთნელთან? ბოლო დროს რაიმე რჩევა ხომ არ მიგიციათ?**

- დიახ, რობერტო ტელეფონით ხშირად ველაპარაკები, მაგრამ რჩევებს უკვე აღარ ვაძლევ. აღარ სჭირდება.

**- რა არის მისი მთავარი ღირსება?**

- „ინტერში" უამრავი ვარსკვლავია, მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბება ნებისმიერ მწვრთნელისთვის რთულია, მაგრამ რობერტო ამ საქმეს თავს შესანიშნავადართმევს.

**- თქვენს ორ ცნობილ კოლეგას, კაპელოს და მოურინიოს მძიმე დროება უდგათ. ამაზე რას გვეტყვით?**

- ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას. რთული პერიოდი ნებისმიერ მწვრთნელს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მადრიდის „რეალი" და არც „ჩელსი" არ არის დაშლილი და დანაწევრებული. პირიქით, მზად ვარ, სანაძლეო დავდო, რომ საბოლოოდ სწორედ ეს გუნდები გაიმარჯვებენ საკუთარ ჩემპიონატებში.

**- „ინტერის" გარდა, იტალიის ჩემპიონატში კიდევ რომელი გუნდის თამაში მოგწონთ?**

- „რომამ" გასულ სეზონში ბრწყინვალე ფეხბურთი აჩვენა და წელსაც იგივეს აგრძელებს.

**- და თქვენი ყოფილი გუნდი „ლაციო"?**

- „ლაციოც" მშვენივრად თამაშობს. ამ ორი დღის წინ მის თამაშს ტრიბუნიდან ვუყურე (როცა რომელები „მარსელს" ხვდებოდნენ) და გულწრფელად გეუბნებით, რომ გუნდმა ჩემზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. „ლაციო" შინაარსიან ფეხბურთს თამაშობს და ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ჰყავს.

**- იმ „ლაციოში" კი, რომელსაც თქვენ წვრთნიდით, მხოლოდ ვარსკვლავები იყვნენ.**

- დელიო როსი შესანიშნავად მუშობს. ამ მწვრთნელმა შეძლო, რომ კარიერის განმავლობაში მეტი და მეტი ესწავლა და სრულყოფილებისთვის მიეღწია.

**- კარიერის დასაწყისში დელიო როსიც თქვენსავით შემტევი ფეხბურთის მიმდევარი იყო, მაგრამ მერე...**

- მერე კი ამჩნევ, რომ ფეხბურთში მარტო შეტევით შორს ვერ წახვალ, გინდა თუ არ გინდა, დაცვაზეც უნდა იფიქრო.

**- არც იტალიაში დაბრუნებაზე იტყოდით უარს?**

- რა თქმა უნდა, არა. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუკი იტალიაში მუშაობის საშუალება ისევ მომეცემა.

**- თუმცა იტალიურ ფეხბურთს არცთუ ბედნიერი პერიოდი უდგას...**

- უკაცრავად, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ მსოფლიო ჩემპიონები ხართ?

**- არა, მაგრამ „კალჩოპოლის" სკანდალის კვალი ისევ იგრძნობა. სტადიონებიც სულ უფრო და უფრო ცარიელდება.**

**გოგა ახალაძე**

## ლივერპულური ამბები

**რაფა ბენიტესს** 2 მილიონის გადახდა მოუწევს, თუ "ბლექბერნის" ცენტრალური მცველის, **ლუკას ნილის** შეძენა სურს. მწვრთნელს 28 წლის ავსტრალიელის სანაცვლოდ მხოლოდ 500 ათასი აქვს გამზადებული. ნილის კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება. ამიტომ ბენიტესის აზრით, ნახევარ მილიონზე მეტი არ ღირს. "ბლექბერნი" თანახმაა, დათმობაზე წავიდეს, თუ "ლივერპული" 25 წლის ნახევარმცველ სტივ უორნოკს დაუთმობს. სენიორ რაფას უორნოკის გაშვება არ სურს.

გადაწყდა, რომ "ლივერპულში" სეზონის ბოლომდე იჯარის წესით ითამაშებს "სამპდორიის" სარეზერვო მეკარე **დანიელე პრადელი**. ის იტალიის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერია და სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. პრადელი **პეპე რეინასა** და **იერჟი დუდეკის** დუბლიორი იქნება. უცნობია, გაფორმდება თუ არა მასთან ხანგრძლივი ხელშეკრულება, რადგან ივნისში "ლივერპულში" უნდა დაბრუნდეს "ჩარლტონში" განათხოვრებული **სკოტ კარსონი**.

## კოლოჩინი ტოტენჰემში?

"ტოტენჰემი" "დეპორტივოს" მცველ **ფაბრიციო კოლოჩინის** შეეხმიანა. ლონდონური კლუბი 24 წლის არგენტინელის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქას ამზადებს. კოლოჩინის გალისიურ კლუბთან უთანხმოება აქვს. ის კვირას "რეალთან" მატჩში (2:0) არ ათამაშეს. რაც შეეხებათ ლონდონელებს, რამდენიმე დღის წინ უშედეგოდ დასრულდა მოლაპარაკება "ვესტ ჰემთან" **ანტონ ფერდინანდის** თაობაზე. "ჩაქუჩებმა" 4-მილიონიანი შეთავაზება უარყვეს. "ტოტენჰემის" თავკაც **მარტინ იოლს** ცენტრალური მცველი სჭირდება. ის კოლოჩინის ფერდინანდის სრულფასოვან შემცვლელად მიიჩნევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუნესის საინვესტიციო პროექტი

**გრემ საუნესი** "ვულვერჰემპტონის" შეძენას ცდილობს. "რეინჯერსის", "ლივერპულისა" და "ნიუკასლის" ყოფილმა თავკაცმა გადაწყვიტა, პირველი დივიზიონის კლუბი 20 მილიონ გირვანქად შეიძინოს. ეს მისი საკუთარი ფულია. გარიგების შემთხვევაში, ის "ვულვზის" ერთპიროვნული მეპატრონე გახდება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ გარიგება არ ხერხდება. "მგლების" დღევანდელი ბოსი **ჯეზ მოქსი** კლუბის ამ ფასად გაყიდვას არ აპირებს. უფრო მეტიც, ის საუნესთან მოლაპარაკების ფაქტსაც კატეგორიულად უარყოფს.

## რომაული კონტრაქტები

"რომამ" საიჯარო კონტრაქტი გაუფორმა შვედეთის ნაკრებისა და "ნანტის" ნახევარმცველ **კრისტიან ვილჰელმსონს**. 27 წლის ფეხბურთელი "ოლიმპიკოზე" სეზონის ბოლომდე დარჩება. ნაყოფიერი თანამშრომლობის შემთხვევაში, ჯალოროსი მის გამოსყიდვაზე იფიქრებს. ერთი კვირის წინათ რომაელებმა ვალენსიელი თავდამსხმელი **ფრანჩესკო ტავანოც** იჯარით აიყვანეს, ვეტერანი თავდამსხმელი **ვინჩენცო მონტელა** კი ექვსი თვით "ფულჰემს" გადაულოცეს. "რომას" სერია A-ს სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი უკავია და ლიდერ "ინტერს" შვიდი ქულით ჩამორჩება.

მანჩესტერი. ტრანსფერები

# ჩავი ერნანდესი ფერგისთან?

## ლარსონის გამოსყიდვა იაფად შეიძლება

"ბარსელონა" უსაფუძვლოს უწოდებს სპეკულაციებს **ჩავი ერნანდესის** "მანჩესტერში" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. "წითელი ეშმაკები" ნახევარდაცვის გაძლიერებას ცდილობენ. მათ ბაიერნელი **ოუენ ჰარგრივსის** შეძენა სურთ. რეკორდმაისტერთან შეთანხმება ვერ ხერხდება. ამიტომ გასულ უქმეებზე გავრცელდა ინფორმაცია "ბარსასთან" მოსალოდნელი გარიგების შესახებ.

ჩაბი **ფრანკ რიიკაარდის** გუნდის საკვანძო ფიგურაა. მან პრიმერადივიზიონის მიმდინარე სეზონის 16 მატჩიდან 13 ძირითადში ჩაატარა და "ხეტაფესთან" ბოლო ტურში გოლიც შეაგდო. ერნანდესმა კატალონიელებთან ახალი კონტრაქტი რამდენიმე თვის წინათ გააფორმა. მას "ბარსელონასთან" კიდევ სამწელიწადნახევარი აკავშირებს.

"იუნაიტედს" კი ნახევარმცველი ძალიან სჭირდება. კიდევ ერთი კანდიდატი საფრანგეთის ნაკრებისა და "ბორდოს" ახალგაზრდა მოთამაშე **რიო მავუბაა**. მავუბას იტალიელი აგენტი **ვინჩენცო მორაბიტო** ამბობს, რომ იანვარში ფეხბურთელის გაყიდვა ნაკლებად სავარაუდოა. "ეშმაკებს" მინიმუმ სეზონის ბოლომდე მოუწევთ ლოდინი.

აქვე, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც "მანჩესტერის" ფანებს აღელვებთ. "ასტონ ვილასთან" სადებიუტო მატჩში გატანილი გოლი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ **ჰენრიკ ლარსონთან** კონტრაქტის გაგრძელება დღის წესრიგში დამდგარიყო. თუ "მენიუს" სურს, რომ ვეტერანი თავდამსხმელი სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს, "ჰელსინგბორგისთვის" 1.2 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს, ხოლო მისი მომდევნო სეზონით დატოვება - ფაქტობრივად, ფეხბურთელის გამოსყიდვა - 3 მილიონი ღირება. სწორედ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გუშინდელმა "სანმა".

დღეს მოქმედი შეთანხმებით, ლარსონი "იუნაიტედში" 12 მარტამდე უნდა დარჩეს. მარტში შვედეთის პირველობა განახლდება და ის "ჰელსინგბორგის" შეკრებაზე უნდა გამოცხადდეს, მაგრამ შვედური კლუბის თავმჯდომარე სტენ-ინგე ფრედინი ამბობს, თუ ჰენრიკს ინგლისში დარჩენა მოუნდება, მზად ვართ, "იუნაიტედთან" ტრანსფერის საკითხი განვიხილოთო. "მანჩესტერის" ხელმძღვანელობას კომენტარები არ გაუკეთებია. როგორც ჩანს, ის მომდევნო მატჩებს ელის.

დორტმუნდი

# რიკენის ახალი შანსი

## რიობერი მუშაობს, BVB მეორე წრისთვის გულმოდგინედ ემზადება...



ლარს რიკენი

დორტმუნდში ქარიანი და ცივი დღე გათენდა. კვირაა, თანაც დილის 9 საათი, მაგრამ "ბორუსიის" ბაზაზე მაინც მოვიდნენ ფანები - უფრო სწორად, დაახლოებით 200-მდე გულშემატკივარი. ეს ის კატეგორიაა, რომლისთვისაც არც ყინვა არსებობს და არც ის არგუმენტი, რომ უქმეებზე დილით ადგომა არც საჭიროა და მით უმეტეს, არც სავალდებულო. ცნობილია, რომ BVB-ს უერთგულესი ფანები ჰყავს, რომლებიც მზად არიან, ყველაფერი გვერდზე გადადონ - შაბათს დისკოთეკაზე ღამის გათენება, ან მეგობრებთან ერთად დალევა - ოღონდაც საყვარელი გუნდის ვარჯიშს, დიახ, ვარჯიშს მიადევნონ თვალი და ფეხბურთელებს აგრძნობინონ, რომ კვირა დღეს, დილის 9 საათზეც კი, მაშინ, როცა ღამენათევ ახალგაზრდობას ღრმად სძინავს, მათ გვერდით არიან. "ბორუსიას" უჩვეულო გულშემატკივრები ჰყავს...

*"დიდი ხანია, გუნდს კვირა დღეს აღარ უვარჯიშია. ვან მარვიიკი ამ დღეს თვითონაც დასვენებას ამჯობინებდა და ფეხბურთელებსაც ასვენებდა. ახალი მწვრთნელის ხელში კი ყველაფერი სხვანაირადაა. ეს სასიამოვნო სიახლეა და ჩვენც მზად ვართ, გუნდთან ერთად ვიყოთ,"* - ამბობს ერთ-ერთი გულშემატკივარი და შარფს, რომელსაც აწერია BVB ist mein Leben! (BVB ჩემი ცხოვრებაა) მთელ სახეზე იფარებს და მხოლოდ თვალებიღა უჩანს. დორტმუნდში ძალიან ცივა და იმიტომ.

ქომაგები ხედავენ, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, ახალი მწვრთნელი უდიდესი ენთუზიაზმით მუშაობს. 53 წლის **იურგენ რიობერი** ფეხბურთელებს ემოციურად ესაუბრება, თითოეულ მათგანს ბევრს ესაუბრება და სათქმელს მეტწილად მიმიკებითა და სხვადასხვა მოძრაობებით ამბობს, რაც ფანებს ძალიან მოსწონთ. ახალმა მწვრთნელმა გუნდი უკვე ოთხჯერ ავარჯიშა და ეს პირველი დღეა, როცა ვარჯიშის საყურებლად 400-ზე ნაკლები ფანი მოვიდა, რაც ალბათ კვირის ბრალია. გულშემატკივრები უკვე აღარ მალავენ, რომ რიობერი შეუყვარდათ. შესაძლოა, კვირა დღეს ვარჯიში მწვრთნელს ბევრმა პოპულისტობაში ჩაუთვალოს, მაგრამ ფანები მას სიყალბეს ჯერჯერობით ვერ ატყობენ. აშკარაა, რომ მწვრთნელი მუშაობს.

რიობერმა მეორე წრისთვის რეალური მიზანი დაისახა: "ბორუსია", რომელმაც პირველი წრე მე-9 ადგილზე დაასრულა, ჩემპიონატის ბოლოს საუკეთესო ხუთეულში უნდა მოხვდეს და გაისად მინიმუმ უეფას თასზე უნდა ითამაშოს. რიობერი ბეჯითად მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამბობს, სეზონის ბოლოს, როცა კონტრაქტი დაუმთავრდება, ბოსები ისევ გაუშვებენ, BVB-ს თავკაცი კი ამჟამად "არმინიის" დამრიგებელი **თომას ფონ ჰეეზენი** გახდებაო.

რამდენიმე დღის წინათ ახალმა მწვრთნელმა სამი ფეხბურთელი ვახშამზე დაპატიჟა - **კრისტიან ვიორნსი, კრისტოფ მეტცელდერი** და **ლარს რიკენი**. ის, რომ მიპატიჟებულთა სიაში პირველი ორი იყო, არავის გაჰკვირვებია, რადგან ვიორნსი და მეტცელდერი გუნდში ყველაზე წონადი ფიგურები არიან. რიკენი კი... ლარსი დიდი ხანია, "დორტმუნდის" ლიდერად აღარ ითვლება. ფეხბურთელი, რომელზეც ერთ დროს მთელი გერმანია უდიდეს იმედებს ამყარებდა, რამდენიმე წელია, ჩრდილშია მოქცეული. და აი, გამოჩნდა მწვრთნელი, რომელიც მისი აზრითა და საერთოდ, მისი პერსონით ისევ ძალიან დაინტერესდა. **ოტმარ ჰიტცფელდის** შემდეგ, პოსტზე დანიშვნის დროს, "ბორუსიის" ყველა მწვრთნელი ამბობდა, რიკენის იმედი მაქვსო, მაგრამ ბოლოს ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ ახლა უკვე 30 წლის ნახევარმცველი, მაინც ჩრდილში რჩებოდა.

რაზე ესაუბრა რიობერი მეტცეს, ვიორნსსა და რიკენს, ეს, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ რჩება. ფაქტი კი ის არის, რომ ახალი მწვრთნელი რიკენს სერიოზულად უყურებს. ცნობილია, რომ "ბორუსია" რიობერის ხელში 4-4-2 ტაქტიკით ითამაშებს, სადაც საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან კელი** იქნება, რომლისაც მწვრთნელს ძალიან ეიმედება. მაგრამ ვინ იქნება გამთამაშებელი, თავდამსხმელების უკან მდგომი კაცი? იმის გათვალისწინებით, რომ BVB-მ **სტივენ პიენაარი** ტრანსფერზე დააყენა, ამ კითხვას, შესაძლოა, ძალიან მოულოდნელი პასუხი გაეცეს: ლარს რიკენი!

*"მე ვიცი, რაც შეუძლია ლარსს და მისი მეიმედება. გარანტიას არავის ვაძლევ, მაგრამ თუკი რიკენი მოინდომებს, შეუძლია, გუნდის ლიდერი და შეუცვლელი ფიგურა გახდეს!"* - ამბობს 53 წლის მწვრთნელი. შეგახსენებთ, რომ "დორტმუნდი" მეორე წრეს "ბაიერნთან" მატჩით იწყებს...

**გოტფრიდ ლენცი**



ლუკა ტონი

ინტერვიუ ლუკა ტონისთან

# გაისად ვიოლა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს

## თავდამსხმელის აზრით, ვინც სერია A-ს აგდებით უყურებს, ან სულელია, ანაც უვიცი...

**ლუკა ტონიმ წინა სეზონში უდიდესი სენსაცია მოახდინა, გაიტანა რა სერია A-ში 31 გოლი, რამაც მას ოქროს ბუცი მოაგებინა. სენსაცია იყო ისიც, რომ მისმა "ფიორენტინამ" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ... მერე იყო "კალჩოპოლი" და ფლორენციული კლუბი დასაჯეს - არც ჩემპიონთა ლიგა და მინუს 15 ქულა სეზონის სტარტზე. მაგრამ 29 წლის აყლაყუდა ფორვადისთვის 2006 წელი მაინც გენიალური გამოდგა - ტონი იტალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მიუხედავად "რეალის", "ინტერისა" და "ბაიერნის" დაინტერესებისა, ტონი მაინც "ფიორენტინაში" დარჩა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გერმანულმა "კიკერმა" გამოაქვეყნა.**

**- ტონი, საინტერესოა, რა სურვილები და ოცნებები უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს 2007 წლისთვის, რომელიც 2006 წელს იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მოიგო ოქროს ბუცი და მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმა. გასული წელი თქვენთვის ხომ იდეალური იყო...**

- მართალია, მაგრამ მიზნები, სურვილები და ოცნებები კიდევ მრავლად მაქვს. ჯერ ერთი, მინდა, რომ ფეხბურთი კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვითამაშო და იმედი მაქვს, რომ ჩემი სხეული ამის საშუალებას მომცემს. მაისში 30 წლის ვხდები, მაგრამ წარმატებების მიღწევის სურვილი ჯერ არ გამნელებია. თუ დაკონკრეტება გსურთ, სიამოვნებით დავაკონკრეტებ: მინდა, რომ ამ სეზონში "ფიორენტინასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვო, რაც "კალჩოპოლის" შემდეგ ნამდვილი სასწაული იქნება.

**- ეს მართლაც სასწაული იქნებოდა, რადგან თქვენს გუნდს 15 ქულა დააკლეს. როგორი განწყობა იყო "ფიორენტინაში" თავიდან და რა ხდება დღეს?**

- სეზონის სტარტზე არაერთი პრობლემა შეგვექმნა და იყვნენ ისეთებიც, ვინც ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. ქულებს ვკარგავდით და შესაბამისად, უმრავლესობამ იფიქრა, რომ მეოთხე ადგილზე გასვლა უტოპია იყო. თავს მეც საშინლად ვგრძნობდი და სიმართლე გითხრათ, სკეპტიკურად განვეწყვე. მაგრამ მერე ყველაფერი თავისით მოხდა და მდგომარეობა შეიცვალა. ეს გარდაუვალი იყო, რადგან ჩვენ ყველამ ვიცით, რომ "ფიორენტინას" უდიდესი პოტენციალი აქვს. ვფიქრობ, მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთელები დაკლებულ ქულებზე აღარ ვფიქრობდით. ამას აზრიც აღარ ჰქონდა. კონცენტრირება მოვახდინეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. ახლა მეოთხე ადგილს მხოლოდ რვა ქულაღა გვაშორებს და შესაბამისად, დასახული მიზნის მიღწევაც ძალიან რეალური გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ გაისად "ფიორენტინა" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

**- ამასობაში, "ინტერმა" დრო იხელთა და იმ დროს, როცა კონკურენტები დასჯილები არიან, "ნერაძურიმ" ჰეგემონია დაამყარა. "ინტერს" მხოლოდ "რომა" ეჭიდავება. როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს სკუდეტოს?**

- უნდა ვაღიაროთ, რომ "ინტერი" მართლაც შთამბეჭდავად თამაშობს. ეს არ არის მხოლოდ იმის ბრალი, რომ კონკურენტები დასჯილები არიან. ვფიქრობ, "მილანი" და "ფიორენტინა" რომ არ დაესაჯათ და "იუვენტუსიც" სერია A-ში დაეტოვებინათ, "ინტერი" მაინც ერთ-ერთი ლიდერი იქნებოდა, იმიტომ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს. თუმცა, ვნახოთ, ზამთრის არდადეგები საერთოდ ბევრ რამეს ცვლის ხოლმე. სეზონის დასრულებამდე კიდევ დიდი დრო დარჩენილი და "რომას" შეუძლია, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს "ნერაძურის".

**- მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდით. "ფიორენტინას" ქულები დააკლეს და ჩემპიონთა ლიგაში არ დაუშვეს. თქვენი გადაბირება "ინტერს", "ბაიერნსა" და "რეალს" სურდა. გულახდილად გვითხარით, "ფიორენტინაში" დარჩენა თვითონ გადაწყვიტეთ, თუ პრეზიდენტმა, დელა ვალემ გაიძულათ?**

- ორივე ერთად (იცინის). ყველანი ერთ მაგიდას შემოვუსხედით, ყველაფერზე გულახდილად დავილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ მე გუნდში დავრჩებოდი. სხვა დანარჩენი, რაც პრესაში დაიწერა, სიცრუეა.

**- რამდენიმე მსოფლიოს ჩემპიონმა ზაფხულში იტალია დატოვა. თქვენ არ გქონიათ ესპანეთსა ან გერმანიაში გადაბარგების სურვილი?**

- არა, რადგან იმდენად ვარ ჩემს სამშობლოზე დამოკიდებული და იტალიაში თავს იმდენად კარგად ვგრძნობ, სასწაული უნდა მოხდეს, სხვაგან რომ წავიდე. გარდა ამისა, სერია A მსოფლიოში ყველაზე დაძაბული და საინტერესო ტურნირია. იტალიის ჩემპიონატში გამორიცხული არასდროს არაფერია და ყველაფერი ხდება. სერია A-ზე წინასწარ ვერასდროს ვერაფერს იტყვი.

**- ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ იტალიის ჩემპიონატს პრიმერადივიზიონიც ჯობია და პრემიერლიგაც - ინგლისსა და ესპანეთში უფრო შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენო...**

- ეს ძალიან დიდი შეცდომაა. იმის გამო, რომ იტალია კატენაჩოს სამშობლოა, ასეთი აზრი დამკვიდრდა. მაინტერესებს, ვინც ამას ამბობს, ბოლო წლებში იტალიის ჩემპიონატის თამაშებს უყურებს თუ არა? არა მგონია, სერია A-ს უყურებდნენ, ასე რომ იყოს, ამას არ იტყოდნენ. იტალიის ჩემპიონატს აგდებით მხოლოდ უვიცი და სულელი თუ მოეკიდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ფრანკ როსტთან

# ასაუერი ამას არ დაუშვებდა

## შალკედან გაძევებული და დეგრადირებული მეკარე კობიაშვილის გუნდში შექმნილ პრობლემებზე საუბრობს...

**ჩვენი** გაზეთის მკითხველმა კარგად იცის, რაც დაემართა, უფრო სწორად, რაც გაუკეთეს ფრანკ როსტს გუნდის მწვრთნელმა მირკო სლომკამ და მენეჯერმა ანდრეას მიულერმა. არაერთხელ დაგვიწერია, რომ "შალკეში" ორი დაჯგუფება ერთმანეთს ებრძოდა - "ძველები", რომლის ლიდერიც როსტი გახლდათ და სადაც ლევან კობიაშვილიც მოიაზრებოდა, როგორც ფრანკის მეგობარი. და ახლები, ე.წ. "ბრაზილიელთა ფრაქცია", სადაც ის ფეხბურთელები იყვნენ გაერთიანებული, რომლებსაც რალფ რანგნიკის წასვლის შემდეგ, სლომკამ ძალაუფლება მიანიჭა (ახალი კაპიტანი ბორდონი და მისი გუნდი). ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ როსტი იძულებული გახდა, "შალკე" დაეტოვებინა და "ჰამბურგში" გადასულიყო, სადაც კარიერის ახალ ეტაპს იწყებს. "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში 33 წლის მეკარემ ყველაფერზე გულახდილად ისაუბრა.

**- ჰერ როსტ, ფაქტი იყო, რომ "შალკედან" ან თქვენ უნდა წასულიყავით, ანაც მირკო სლომკას უნდა ჩაელაგებინა ბარგი. ამჯერად მწვრთნელი ველარ შეიწირეთ და პირიქით მოხდა - "ჰამბურგში" გადახვედით. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყველასთვის ასე სჯობდა?**

- როცა ფეხბურთელი თამაშს მიჩვეულია და იცის, რომ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს, მოულოდნელად სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება ძალიან ძნელი გადასატანია. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ყოვლად უმიზეზოდ მოხდა და სლომკას ჩემთვის არასდროს აუხსნია, რატომ დამსვა სკამზე. ვფიქრობ, რომ მეტის მოთმენა ალარ შეიძლებოდა და ძალიან ცუდი იქნებოდა, რომ დავრჩენილიყავი. მას მერე, რაც მოულოდნელად სათადარიგო ფეხბურთელი გავხდი, მწვრთნელს და ხელმძღვანელებს პატივი ვეცი და ხმა არ ამომიღია. ამას ბევრი ვერ მოახერხებდა. იმედი მქონდა, რომ საზეიმო დღეების შემდეგ ისინი დამელაპარაკებოდნენ და სიტუაციის არსში გამარკვევდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და მეც მაშინვე გადავწყვიტე, 4 წლისა და 6 თვის შემდეგ, "შალკე" დამეტოვებინა. უნდა ვალიარო, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ ნამდვილი შალკელი გავხდი და ამ გუნდის სიყვარული გავითავისე. დიახ, მე მიყვარს "შალკე"! ჩემი შვილიც გელზენკირხენში დაიბადა. მოვა დრო და მისთვის ახსნა მომიწევს, რატომ წამოვედით გელზენკირხენიდან.

**- და თქვენ მას ვერ ეტყვით, რომ "შალკეში" თამაში აღარ გსურდათ...**

- მართალია, იმიტომ, რომ ეს ტყუილი იქნება. ბავშვობიდან "შალკეში" თამაში მინდოდა და ძალიან მიხაროდა, რომ სურვილი შემისრულდა. იცით, მწვრთნელისგან და ბოსებისგან მცირე დოზით მაინც რომ მეგრძნო სითბო, ჩემთან გულახდილად რომ ესაუბრათ, აეხსნათ, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და ეთქვათ, შენსა და მანუელ ნოიერს შორის ჯანსაღი კონკურენციააო, აუცილებლად დავრჩებოდი. თუ ვინმე ფიქრობს, რომ "ჰამბურგში" გადასვლით დავნებდი და მარცხი ვალიარე, ძალიან ცდება.

**- თქვენ თქვით, რომ სლომკამ და მიულერმა დემონტაჟი მოგიწყვეს. რას გულისხმობდით ამაში?**

- სანამ ძირითადი მეკარე ვიყავი და მერეც, როცა სკამზე დამსვეს, ხდებოდა ისეთი რაღაცები, რაც დემონტაჟს ჰგავდა. ეს ყველაფერი ადრესატებსაც პირდაპირ ვუთხარი. ისეთ რაღაცებს მიკეთებდნენ, რასაც ნამდვილად არ გააკეთებდნენ, თუკი ჩემთან ერთად მუშაობა სურდათ. დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ. ასეთი დეტალები მთელმა გერმანიამ არ უნდა გაიგოს. მეკარეს ნებისმიერ გუნდში სჭირდება ნდობა. მე კი, მწვრთნელისა და მენეჯერის ნდობას პირველი ტურიდანვე ველარ ვგრძნობდი. და სიმართლე გითხრათ, როცა "ბაიერნთან" თამაშის წინ სლომკამ მკითხა, დარწმუნებული ხარ, რომ კარგად ითამაშებ და სასტარტო შემადგენლობაში ყოფნის ღირსი ხარო, ეს ძალიან არ გამკვირვებია, რადგან ველოდი, რომ ერთხელაც რაღაც მოხდებოდა. ჯერ ერთი, ამით პრესტიჟი შემილახეს და ესეც არ იყოს, ბევრს გაუჩინეს ეჭვი, რომ მე სპეციალურად ვუშვებდი გოლებს, რათა სლომკა ჩამომეგდო...

**- ბევრი ფიქრობს, რომ "შალკე" სწორედ მას მერე ათამაშდა კარგად, რაც ამ გუნდის კარს მანუელ ნოიერი იცავს და არა როსტი...**

- ეს დიდი სისულელეა! ჰო, ცხადია, რომ მე უფრო გამოცდილი მეკარე ვარ და არცაა გასაკვირი, სასწაულებს ჩემგან უფრო რომ ელიან, ვიდრე ნოიერისგან, მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს ჩემს დროს გუნდი თამაშებს აგებდა, ახლა კი მხოლოდ იმიტომ იგებს, რომ კარში მე აღარ ვდგავარ. ფრანკ როსტი "შალკესთვის" ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა და გოლები თავის კარში არასდროს გაუტანია!

**- საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ თქვენ რუდი ასაუერის ახლო მეგობარი ხართ - "შალკეს" ყოფილი შეფის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი. ასაუერსაც მიულერმა მოუწყო დემონტაჟი. აქედან ბევრი დასკვნის გაკეთება შეიძლება...**

- მართალია, მე ასაუერის მეგობარი ვარ. რუდი "შალკეს" მენეჯერი აღარ არის, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მიულერი მტრად ეკუთვნის, მასთან კონტაქტს ხომ არ გავწყვეტდი? ასაუერიც "შალკეზეა" შეყვარებული და ამ გუნდისთვის უმალ თავს გაწირავს.

**- "შალკეს" ბოსი ასაუერი რომ ყოფილიყო, თქვენ ალბათ დღესაც ამ გუნდის ძირითადი გოლკიპერი იქნებოდით, არა?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ასაუერის ხელში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ამ შემთხვევაში იმას ნამდვილად არ ვგულისხმობ, სკამზე რომ დამსვეს. ნებისმიერმა პროფესიონალმა უნდა მოითმინოს და მიიღოს მწვრთნელის გადაწყვეტილება, რომელსაც მიაჩნია, რომ თამაშს სხვა იმსახურებს. მე ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, თუ როგორ და რა გზით გააკეთეს ეს. ბავშვი აღარ ვარ, რაც არ უნდა იყოს, დიდი გამოცდილება მაქვს და მინიმუმ უნდა აეხსნათ, რატომ მომექცნენ ასე. ეთქვათ, ბოლო დროს ბევრ შეცდომებს უშვებო და ეჩვენებინათ ის მომენტები, სადაც შეცდომები დავუშვი. მაგრამ ამას ვერ გააკეთებდნენ, იმიტომ, რომ შეცდომებს არ ვუშვებდი. მინიმუმ იმას მაინც ვიმსახურებდი, რომ სლომკას ასე უდიერად, მთელი გუნდის თვალწინ არ ეცნობებინა ჩემი სკამზე დასმის ამბავი. ასაუერი კიდევ ბევრ ისეთ რამეს არ დაუშვებდა, რაც დღეს "შალკეში" ხდება.

**- ხომ არ შიშობთ, რომ მალე "ჰამბურგშიც" იგივე მოხდება?**

- არანაირად. "ვერდერში" 10 წელი ვიყავი და მერე მეგონა, რომ "შალკეში" დავამთავრებდი კარიერას. შევცდი. "ჰამბურგთან" კონტრაქტი 2009 წლამდე იმიტომაც გავაფორმე, რომ გუნდების ხშირი ცვლა არ მიყვარს. მინდა, რომ კარიერა HSV-ში დავასრულო.

**- გელზენკირხენში ხშირად ისმის ასეთი განცხადებები: "როგორც იქნა, თავიდან მოვიშორეთ ეს ამბიციური და მედიდური როსტი!" ამაზე რას იტყვით?**

- ვინც კარგად მიცნობს, წესით, ასე არ უნდა ფიქრობდეს. ჩემთვის მთავარი იმ ხალხის აზრია, ვინც კარგად მიცნობდა და დარწმუნებული ვარ, რომ "შალკეს" ნაღდი ქომაგი ჩემზე ცუდს არაფერს იტყვის. თუკი ვინმეს არ მოსწონს ის, რომ ყოველთვის მინდა, ყველაფერში გარკვეული ვიყო და არ მსურს სირაქლემის როლში ყოფნა, ეს უკვე ჩემი პრობლემა აღარ არის.

**- რაკი თქვენ, "ფრაქცია როსტის" თავმჯდომარე გუნდიდან წახვედით, გამოდის, რომ ომი ბრაზილიელებმა მოიგეს...**

- ახლა გამოჩნდება, ვინ მოიგო ომი. მე წამოვედი და ვნახოთ, რა და როგორ იქნება "შალკეში". სხვათა შორის, გელზენკირხენული კლუბის ფეხბურთელების დიდი ნაწილი ჩემი ახლო მეგობრები არიან.

**- ე.ი. რაც დაჯგუფებების შესახებ იწერებოდა, ყველაფერი მართალი იყო?**

- თითქმის ყველაფერი.

**- გახდება "შალკე" გერმანიის ჩემპიონი?**

- იმედი მაქვს, რომ გახდება. ძალიან მინდა, ვნახო, როგორ ზეიმობენ "შალკეს" ფანები ჩემპიონობას. ისინი ამას დღესდღეობით ყველაზე მეტად იმსახურებენ.

**- რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ასაუერი "შალკეში" აღარაა?**

- პირადად მე ყველაზე მეტად გადამწყვეტი სიტყვა დამაკლდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ წონადი სიტყვის თქმა არცერთს არ შეეძლო. ძალიან მინდოდა, რომ პრეზიდენტი გამხდარიყო. რუდისაც ჰქონდა ნაკლოვანებები, მაგრამ "შალკეს" ძალიან ბევრი რამ გაუკეთა.

**- როგორ ფიქრობთ, შეუძლია კი 20 წლის მანუელ ნოიერს როსტის სრულფასოვნად შეცვლა?**

- მანუელი ძალიან კარგი ბიჭია და ნამდვილად შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ეს მისთვის დიდი შანსია, შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენოს. მაგრამ ახლა მას უდიდესი პასუხისმგებლობა დააწვა და ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს. იმედი მაქვს, რომ ამას მოახერხებს. ნოიერს ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ.

**- "ჰამბურგში" პირიქითაა - თქვენ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული გაქვთ, კირშშტაინი და ვეხტერი კი განწირულები არიან...**

- პირველივე დღეს ორივეს ვესაუბრე. ადამიანური თვალსაზრით არცერთთან არ მექნება პრობლემა.

**- "შალკეში" ჩემპიონობაზე ფიქრობდით, "ჰამბურგი" კი გასავარდნ ზონაშია...**

- სამშვიდობო ზონას 4 ქულით ჩამოვრჩებით და რომ ვთქვა, ელიტაში ადგილის შენარჩუნება იოლი იქნება-მეთქი, ნამდვილად ვიცრუებ. მაგრამ გუნდი ძლიერია და იმედი მაქვს, რომ პრობლემები არ შეგვექმნება.

**- წარმოიდგინეთ, რომ "ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში გავარდა...**

- აქ იმიტომ გადმოვედი, რომ მჯერა, ეს არ მოხდება. მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, არა უშავს, ჩემი კონტრაქტი მეორე ბუნდესლიგაზეც ვრცელდება.

**- მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა პირველი წრე მე-17 ადგილზე დაასრულა და სრული ფიასკო განიცადა, შეფებმა მწვრთნელი მაინც პოსტზე დატოვეს. თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?**

- მიმაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. იოლი შესამჩნევია, რომ თომას დოლს ყველა ფეხბურთელი მხარში უდგას.

**გოტფრიდ ლენცი**



რუდი ასაუერი და ფრანკ როსტი

## მანიშე ტრანსფერზე დააყენეს

**მანიშე** დიდი [illegible]. გემახსოვრებათ, გასული სეზონის მიწურულს ის შველას ითხოვდა და "ატლეტიკოს" შესყიდვებს დაჩოქილი ეხვეწებოდა, [illegible] [illegible] და ამაზრზენი "დინამოდან" წამიყვანეთო. მადრიდელებმა რუს კოლეგებთან წარმოებული ურთულესი მოლაპარაკებები მათთვის სასარგებლოდ დაასრულეს და პორტუგალიელი "ვისენტე კალდერონზე" ჩაიყვანეს. მანიშეს ნიჭიერების გამოსავლენად ყველა პირობა შეუქმნეს, მაგრამ მან გაცემული ავანსები დღემდე ვერ გაამართლა. **ხავიერ აგირე** არ მალავს, რომ მისი შეგირდი ჯერაც ადაპტაციასთან დაკავშირებულ სირთულეებს ებრძვის და ცუდად ასპარეზობს.

მთავარი უბედურება კი მანიშეს უდისციპლინობაა. გემახსოვრებათ, შობის ღამეს ლისაბონის პოლიციამ ის საჭესთან გალეშილ მდგომარეობაში გამოიჭირა. ამას წინათ კი, პორტუგალიელმა "ატლეტიკოს" ვარჯიშზე ერთი საათით დააგვიანა და **ხავიერ აგირე** ჭკუიდან შეშალა. მექსიკელმა სპეციალისტმა საპასუხო ნაბიჯი გადადგა. **ენრიკე სერესოს** მან პორტუგალიელის გასხვისება ურჩია. პრეზიდენტმაც არ დაახანა და მანიშეს კარიერის "ფიორენტინაში" გაგრძელების ვარიანტი გამოუნახა. წინასწარი ინფორმაციით, "რონიბლანკო" 9 მილიონ ევროს ითხოვს. აღსანიშნავია, რომ ესპანელებმა ზაფხულში მოსკოვის "დინამოს" ზუსტად ეს თანხა გადაუხადეს.

## ივან კამპო მალიორკაში?

"მალიორკა" "ბილბაოს" გზაზე გადაელობა. შეგახსენებთ, ბასკური კლუბი "ბოლტონიდან" **ივან კამპოს** გადაბირებას ცდილობდა. პრეზიდენტმა **ანა ურკიხომ** ინგლისელ კოლეგებს რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა, მაგრამ მათი გული ვერაფრით მოიგო. შედეგად ურთიერთობები გაცივდა. მართალია, "ბილბაოს" ტრანსფერზე უარი არ უთქვამს, მაგრამ ფაქტია, ისინი აღარ აქტიურობენ. "მალიორკამ" ბასკების ინერტულობით სარგებლობა განიზრახა და "ბოლტონთან" მოლაპარაკებები წამოიწყო. ბალეარელთა ტექნიკურმა დირექტორმა კოლეგებს თანხაც დაუსახელა. სამწუხაროდ, კონკრეტული ციფრი არ ხმაურდება, თუმცა ცნობილია, რომ "მალიორკა" ნებისმიერ შემთხვევაში "ბილბაოზე" ნახევარი მილიონი ევროთი მეტს გადაიხდის. **გრეგორიო მანსანოს** იმედი აქვს, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება და ივან კამპო დაცვაში არსებულ პრობლემებს შედარებით შეამსუბუქებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

## ლიუნგბერგს ტოტენჰემი გამოუჩნდა

### შვედი ნახევარმცველი მეთოფეებს კომპენსაციას მოსთხოვს...

**ფრედი ლიუნგბერგი** "არსენალისგან" 4.5 მილიონ გირვანქას მოითხოვს, თუ იანვრის ტრანსფერებისას სხვა გუნდში გადასვლას აიძულებენ. შვედ ნახევარმცველს უცერემონიოდ განუცხადეს, რომ აღარ სჭირდებათ და ტრანსფერზე დააყენეს. მიმომხილველების ვარაუდით, ეს ნაბიჯი იძულებითი იყო. **არსენ ვენგერს** მარსელელი **ფრანკ რიბერის** ხელიდან გაშვება არ სურს. მის შესაძენად საჭირო თანხის მოძიება კი მხოლოდ ლიუნგბერგის გაყიდვით შეიძლებოდა. რიბერი 15 მილიონი გირვანქა ღირს. ფრედის სანაცვლოდ "ვესტ ჰემი" და, უკანასკნელი ინფორმაციით, "ტოტენჰემიც", ამ ფასის ნახევარს იხდიან. ლიუნგბერგის ლონდონურ კონტრაქტში 18 თვეა დარჩენილი. მისი კვირეული ანაზღაურება (სხვა და სხვა წყაროს ცნობით) 65-70 ათას გირვანქას შეადგენს. 4.5 მილიონი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, 18 თვის ხელფასია, რომლის გადახდა "არსენალმა" კონტრაქტის გაფორმებისას იკისრა, ახლა კი ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტა აქვს განზრახული.

შვედი ნახევარმცველის აგენტი ამბობს, რომ "მეთოფეები" მის კლიენტს უღირსად მოექცნენ: *"ვიცით, რომ ფრედის შთამბეჭდავი სეზონი არ ჰქონია, მაგრამ ეს ტრავმების ბრალი იყო. წესით, გამოჯანმრთელებისა და ფორმაში ჩადგომისათვის დრო უნდა მოეცათ, მათ კი განგვიცხადეს, რომ ტრანსფერებისათვის ფული სჭირდებათ და ლიუნგბერგს ამიტომაც უნდა გამოეთხოვონ. გვითხრეს ისიც, რომ მოგვიწევს, დავთანხმდეთ პირველსავე შემოთავაზებულ ვარიანტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრედი სეზონის ბოლომდე აღარ ითამაშებს."*

როგორც ვთქვით, ლიუნგბერგის შეძენა სურთ "ვესტ ჰემსა" და "ტოტენჰემს". თუ "მამლები" მას კვირაში 65 ათასს გადაიხდიან, ფეხბურთელი დაუყოვნებლივ "უაით ჰარტ ლეინზე" წავა. ის "არსენალში" 1999 წელს ჩაირიცხა და მას შემდეგ ყოველთვის გუნდის საკვანძო მოთამაშე იყო.



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი
გურამ საღარაძე

# აჭარელი მოჭიდავეები

ძველი მსოფლიოს უზარმაზარ იმპერიათა გზაშესაყარზე მდებარე საქართველოს არასოდეს ჰქონია მშვიდი ცხოვრება. მზიურმა აჭარამ, საქართველოს ძირძველმა, განუყოფელმა ისტორიულმა კუთხემ, საუკუნეების განმავლობაში ღირსეულად გაუძლო უამრავი მტრის შემოსევას, ნგრევა-რბევას და შეინარჩუნა თვითმყოფადობა, ტრადიციები და ყველა ის გენეტიკური ნიშან-თვისება, რაც თავის ხალხთან და ქვეყნის სხვადასხვა კუთხესთან აკავშირებდა.

ჩემთვის დაუვიწყარია 1956 წელს ბათუმში ჩატარებული საქართველოს პირველობა. ნათლობა ბრწყინვალედ დასრულდა და გავხდი ჩემპიონი. ყურში ეხლაც ჩამესმის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი (ჟორა) თარგამაძის სიტყვები: - "ამ ბიჭისგან დიდი მოჭიდავე დადგებაო". ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ დღიდან შემიყვარდა ბათუმი და აჭარა. მაშინ გავიცანი და დავმეგობრდი აჭარელ მოჭიდავეებთან. მრავალი მათგანი ფიზიკურად აღარ არის ჩვენ შორის, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

არაერთმა აჭარელმა მოჭიდავემ, ეს იქნება ბერძნულ-რომაული თუ თავისუფალი სტილის, ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ნაკრებში. იცავდნენ და იცავენ ქვეყნის სახელს მრავალ საერთაშორისო ტურნირში და მსოფლიო ჩემპიონატებში. ტრადიციები გრძელდება.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც განახლდა. ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის სტრუქტურა და შემადგენლობა. პრეზიდენტად არჩეულია ენერგიული ახალგაზრდა - რაულ თავართქილაძე. იგი არ იშურებს ძალ-ღონესა და მონდომებას ჭიდაობის ტრადიციების განმტკიცებისთვის. ვიცე-პრეზიდენტია ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი, ჯემალ ბაკურიძე. მეორე ვიცე-პრეზიდენტი მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანთა შორის ანზორ ლაზიშვილი. გენერალური მდივანი - ნიჭიერი ახალგაზრდა, პროფესიით იურისტი ირაკლი თურმანიძე, აღმასრულებელი დირექტორი - ვეტერანი მოჭიდავე ანდრო ქავთარაძე. საპატიო პრეზიდენტი - წარსულში სახელოვანი მოჭიდავე როსტომ აბაშიძე. ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებს მათ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა გენაძე, ვეტერანი მოჭიდავეები. ჭიდაობის დიდი ოჯახი ულრმეს მადლობას ვუხდით აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ვარშალომიძეს, რეგიონში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში ხელშეწყობისათვის. მისი დიდი წვლილია საერთაშორისო სტანდარტების კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზის ინფრასტრუქტურით განახლება. ახლა აქ შესაძლებელია ნებისმიერი საერთაშორისო რანგის ტურნირისა და ჩემპიონატის ჩატარება. რა თქმა უნდა, აჭარელ მოჭიდავეებს მიეცემათ სტიმული აიმაღლონ სპორტული დონე და მიაღწიონ მაღალ შედეგებს. ამ სიხარულს იზიარებს ათასობით გულშემატკივარი.

არ დავივიწყოთ აჭარელი მწვრთნელების ამაგი: აკაკი მიმინოშვილი - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, როსტომ აბაშიძის პირველი მასწავლებელი და აღმზრდელი. კარგად მახსოვს ის იყო ყურადღებიანი, დაუზარელი და გულთბილი პიროვნება. სწორედ ის გახლდათ აჭარაში ჭიდაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და პიონერი; გიორგი (ჟორა) თარგამაძე ღვაწლმოსილი მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი; გელა ჯანელიძე (მან გადმომცა აჭარელი მოჭიდავეების სია), საოცრად ენერგიული, ქვეყნისა და თავისი კუთხის პატრიოტი, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი; ილია ტუღუში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი; გოდერძი ბოლქვაძე, მსოფლიო ჩემპიონის მუხრან ვახტანგაძის აღმზრდელი. გოდერძი სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა ჩვენს რიგებს, დარჩა აუსრულებელი მრავალი ჩანაფიქრი და ოცნება. მუხრანის ვაჟკაცური ჟესტი ყველა ჩვენთაგანისთვის სამაგალითოა - გოდერძის გარდაცვალების შემდეგ (გოდერძი ვერ მოესწრო მის მსოფლიო ჩემპიონობას) მუხრანმა მსოფლიო ჩემპიონობის კუთვნილი ჰონორარი უკლებლივ გადასცა გარდაცვლილის ოჯახს. ამჟამად მუხრანი აჭარის სპორტის დიდ სამსახურს უდგას სათავეში - ლევან ვარშალომიძის და კახა გენაძის შეთანხმებით იგი გაერთიანებული სპორტსკოლების დირექტორი გახდა. ზაზა ჯიბლაძე - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი; დიმიტრი ქინქლაძე, ახალგაზრდა მწვრთნელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, გამორჩეული იმითაც, რომ ამას წინათ, გინესის წიგნშიც დაიმკვიდრა ადგილი; როსტომ მელაშვილი - საქარველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქარველოს მრავალგზის ჩემპიონი; მარადი არძენაძე და ედნარ ლომინაძე - ახალგაზრდა მწვრთნელები, ევროპის პრიზიორების აღმზრდელები; ჩვენთვის დაუვიწყარია ნოდარ ჭანუყვაძე - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ნოდარ (ბოლოკა) თავბერიძე - ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, საქართველოს პირველობაზე 1956 წელს ერთად გავხდით ჩემპიონები.

ახლა კი აჭარელ მოჭიდავეთა მიღწევების შესახებ დიდ ასპარეზზე.

დავიწყებ როსტომ აბაშიძით. ჩემი შეფასებით იგი იყო ჭიდაობის "დიდოსტატი". არ მახსოვს და არც გამიგია მას რაიმე შეცდომა დაეშვას საჭიდაო ხალიჩაზე. მოგვერდის საოცარი ოსტატი იყო და საჭიროებისამებრ ექსტრემალურ სიტუაციაში ნებისმიერ ილეთს ასრულებდა ფილიგრანული სიზუსტით და დახვეწილობით. სსრ კავშირისა და მსოფლიო სამგზის ჩემპიონი, ხასიათითა და რაინდული თვისებებით ღირსეულად ამართლებდა და ამართლებს დიდ ტიტულებს. იგი თავმდაბლობითა და ზნეკეთილობით მაგალითს აძლევს ახალგაზრდა მოჭიდავეებს.

რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ივან ბოგდანის კომენტარი: "ბრძენი მოჭიდავე იყო როსტომ აბაშიძე, შეეძლო მეტოქისთვის საკუთარი ტაქტიკის თავსმოხვევა, შეეძლო თავისი ზრახვების დაფარვა, მოგვერდის უბადლო ოსტატი იყო, ეს ყველამ იცოდა, ყველა ერიდებოდა მის ამგვარ შემოტევას, მაგრამ თითქმის ყველა წამოეგებოდა ხოლმე ამ ანკესს".

კეთილ სიტყვას ვერ დავიშურებ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ჩემპიონ მუხრან ვახტანგაძეზე. ჩემეული ხედვით ეს ტაქტიკოსი მოჭიდავე, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ახსოვს როსტომის ჭიდაობა, ჩვენდა გასაოცრად, ძალიან წააგავდა უფროსი კოლეგის ჭიდაობის მანერას - დროულად ფეთქდებოდა და ვირტუოზული მანერით ასრულებდა ულამაზეს გდებებს. მუხრანი ჩვენთან საუბარში ხშირად იგონებს პირველ მწვრთნელს გოდერძი ბოლქვაძეს და ცრემლნარევი ხმით ყოველთვის გამოხატავს მადლიერების გრძნობას მის მიმართ. მუხრანი გულწრფელად ემადლიერება საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ამაგდარ მწვრთნელს ჯონი რეხვიაშვილს, რომელმაც ქვეყანას კიდევ ორი მსოფლიო ჩემპიონი აღუზარდა - გურამ გედეხაური და მანუჩარ კვირკველია.



როსტომ აბაშიძე

ჩემი თაობის მრავალ მოჭიდავეს თვალში ცრემლი ერევა სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, ოლიმპიადის პრიზიორის დავით გვანცელაძის გახსენებაზე. როსტომი იგონებს: "დავითი ისეთი ნიჭიერი, გაბედული და ლალი მოჭიდავე იყო, რაზედაც მე მხოლოდ ოცნება შემეძლო". მე დავამატებდი, რომ ეს უმშვენიერესი მოჭიდავე დააკლდა არა მარტო აჭარას, არამედ თბილისს და სრულიად საქართველოს ჭიდაობის დიდ ოჯახს.

ბათუმელია სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თენგიზ თედორაძე. მას ჰქონდა შესაძლებლობა მეტი ტიტული მოეპოვებინა, მაგრამ აქტიურ სპორტს ადრე დაანება თავი. მისი ბაბუაა ვეტერანი მოჭიდავე გიორგი (ჟორა) ფრანგიშვილი, წარსულში ცნობილი ფალავანი, ცირკის არენაზე ასრულებდა სხვადასხვა ნომერს სიმძიმეების აწევაში.

ჭიდაობის თავისებური მანერით გამოირჩეოდა მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში, სსრ კავშირის თასის მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ამჟამად აჭარის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ბაკურიძე.

ფიზიკური ძალითა და ტექნიკით უბადლოა გენადი ჩხაიძე - მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი, სიდნეისა და ათენის ოლიმპიადების მეხუთე ადგილოსანი. იგი გულმოდგინედ აგრძელებს ვარჯიშებს. ჭიდაობის გაბედული ხელწერა აქვს მის მოგვარე გელა ჩხაიძეს, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორია ახალგაზრდებში. გვასახელა ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოჭიდავე დავით ბედინაძემ. იგი გამოირჩევა შემტევი სტილით, არ გაურბის გართულებებს, ხასიათით მებრძოლი და მამაცია, მისგან დიდ შედეგებს ველოდებით. შარშან პეკინის მსოფლიო ჩემპიონატზე, რამდენიმე წამმა დააკარგვინა ოქროს მედალი და ვერცხლს დასჯერდა. იგი მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორია ახალგაზრდებში. რაც მთავარია, 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს მსოფლიოში თავის წონაში. სეოკ-ის ვერსიით კი 2006 წლის ერთ-ერთ რჩეულ სპორტსმენად დასახელდა. ლევან შავაძე - ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი, ამჟამად მწვრთნელი; რამაზ დევაძე - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში; მალხაზ სოლომონიძე - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში; ომარ ბაკურიძე ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, მსოფლიო თასის მფლობელი; მუხრან მაჭუტაძე - მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში; ოთარ ფევაძე მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებში; დიმიტრი ძიმისტარაშვილი - ევროპის პრიზიორი ჭაბუკებში; გიორგი გვენეტაძე - ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებში, კობა კალანდაძე - ევროპის პრიზიორი ჭაბუკებში; გოდერძი დავითაძე - მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი; ჯამბულ ფუტკარაძე - სსრ კავშირის მეორე პრიზიორი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ამჟამად გერმანიაში სპორტკლუბების ასპარეზობებშია ჩართული.

როგორც ხედავთ, აჭარლებს შესანიშნავი ტრადიციები აქვთ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. არ მინდა დამავიწყდეს აჭარაში პირველი სპორტის ოსტატი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, სსრ კავშირის პრიზიორი ჩემი მეგობარი ამირან მახარაძე; სსრ კავშირის სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" ჩემპიონი, მძიმეწონოსანი ჯემალ მანელიშვილი, რომელიც ღელობურთსაც შესანიშნავად თამაშობდა.

რაც შეეხება თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, მათ წარმოგიდგენთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ღირსების მედლის კავალერი როინ დობორჯგინიძე. ლანჩხუთელმა როინმა ჭაბუკობის რთული გზა გაიარა - (დედა ადრე გარდაეცვალა) სრულიად ახალგაზრდა გადადის ბათუმში, იწყებს ვარჯიშს გიორგი თარგამაძესთან და ზიგფრიდ ჩხაიძესთან, თან სწავლობს სალამოს სკოლაში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე მიაღწია შესანიშნავ შედეგებსა და საბოლოოდ თბილისში დამკვიდრდა, სადაც მწვრთნელად იწყებს მუშაობას. მის აღმზრდელთა ჩამონათვალში თითქმის ყველა სპორტის ოსტატია, ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. აი ისინიც: მძიმეწონოსანი ჯემალ (ჯიმი) ტარიელაძე - საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადის II პრიზიორი, სსრ კავშირის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი, სსრკ-ის აბსოლუტური ჩემპიონატის პრიზიორი, იმ პერიოდის ერთ-ერთი უძლიერესი მძიმეწონოსანი. გიორგი (კაურა) გოგიჩაიშვილი - საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი, თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ფეხით ჭიდაობის ოსტატი, ამიტომაც შეარქვეს "კაურა". გული დაგვწყვიტა ამ ქვეყნიდან მისმა უდროოდ წასვლამ; ქობულეთელი როსტომ მელაშვილი - საქართველოს ჩემპიონი, შესანიშნავი პიროვნება, მწვრთნელად მუშაობდა. გარდაიცვალა. სპორტის ოსტატები: ბათუმელები, ქობულეთელები, ხულოელები - მიშა შონუსი - სსრკ-ს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ფარვიზ გაგუა, ოთარ ცანავა, ჯამბულ აფხაზავა, ვიტალი ხიდაშელი, ოლეგ თავბერიძე, გურამ კუნჭულია, ზიგფრიდ ჩხაიძე, ზაალ ქინქლაძე, თამაზ მესხიძე, სოსო ქავთარაძე, ზურაბ მიქელაძე, ივანე ასლანიდი, დიმა ქინქლაძე, იური სკრილნიკოვი, ბესო მჟავანაძე, ვანო კილაძე, ტრისტან გაგუა, ნუგზარ მჟავანაძე, ანზორ ლაზიშვილი, თემურ ხაბაზი, ვაჟა ჩხარტიშვილი, ოლეგ თავბერიძე, ნოდარ ჭყონია, ბორის შენგელია, ზაურ ვეკუა, შალვა სიფრიშვილი, ჯელა მესხიძე, ზურაბ ჩავლეიშვილი, რომან ფიფია, ნოდარ გაბაძე, დურმიშხან ზოიძე, გურამ დანელია, ბონდო ძინძაბაძე, ჯემალ ნულუკიძე, ასლან მჟავანაძე, გიორგი ჩიქვაძე, ოთარ სალუქვაძე, ზურაბ კვაჭაძე, სტეფანიდი, გოჩა ჯალაღანია, ნუგზარ ბეთანიძე, მელორ კილაძე, ტარიელ ინჩქიტიძე, ლევან შონუსი, რუსლან ნაკაიძე, ბორის შენგელია, დაუვიწყარია ჩვენთვის აწ განსვენებული ვასო გავროზაშვილი - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მადლობა გვინდა ვუთხრათ ჯემალ კილაძეს - აჭარის თავისუფალ მოჭიდავეთა უფროს მწვრთნელს, მზრუნველობისა და ნაყოფიერი შრომისათვის, რასაც ის ეწევა თავისუფალი ჭიდაობის განვითარებისა და ტრადიციების აღმავლობისთვის.

***P.S. ჩემო ძვირფასო აჭარელო მოჭიდავეებო, გილოცავთ ახალ 2007 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენი ლამაზი კუთხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.***



აჭარელ მწვრთნელთა და მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# სულ მალე, ბათუმში: კურტანიძე vs გოგშელიძე!





**19-22 იანვარს ბათუმის ახალი საჭიდაო დარბაზი მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

თუ მეხსიერება არ გვღალატობს, ბოლო წლებში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქვეყნის პირველობა რეგიონში ტარდება. ჭიდაობის ფედერაცია ნამდვილად კარგ ტრადიციას ამკვიდრებს - სისტემატურად მართავს ტურნირებს პროვინციებში და ჭიდაობის მთელ ქვეყანაში განვითარებას ცდილობს. ექსპერიმენტმა იმდენად გაამართლა, რომ თუ აქამდე ახალგაზრდებისა და ჭაბუკთა ტურნირები იმართებოდა, ახლა ეროვნული პირველობის ჯერიც დადგა. ფედერაციამ ბათუმში „მოთელვა" შარშან ჩაატარა, როცა იქ ახალგაზრდების ჩემპიონატი მოაწყო. იმ ტურნირმა სრული ანშლაგით ჩაიარა, რაც გარანტიას გვაძლევს, რომ ეროვნულ ჩემპიონატზეც იგივე განმეორდება.

ამ ჩემპიონატმა უნდა გამოავლინოს ის ბირთვი, საიდანაც მწვრთნელები 17-22 აპრილს სოფიაში, ევროპის პირველობაზე წასაყვან შემადგენლობას შეარჩევენ. თუმცა მოჭიდავეებისთვის წლეულს უმთავრესი საფიქრალი მაინც 17-23 სექტემბერს ბაქოში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება.

მართალია, მსოფლიოზე წასაყვანი ნაკრებების შესარჩევად ძირითადი შესარჩევი შეჯიბრება ზაფხულში ჩასატარებელი **გივი კარტოზიას** ხსოვნის და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირებია, მაგრამ ჯერ საქართველოს ჩემპიონატში, მერე კი ევროპაზე წარმატებით ჭიდაობა საბაქოედ სერიოზული განაცხადი იქნება.

მოკლედ, რადგან მთლიანად სეზონია უმნიშვნელოვანესი, წლევანდელი ტურნირების ფასიც ორმაგდება. ამიტომ, წესით, ბათუმში ქვეყნის ყველა უძლიერესმა ფალავანმა უნდა იჭიდაოს. ნაკრების თავკაცთა ინფორმაციით, მართლაც ასე იქნება, რადგან მათთვის ტურნირიდან განთავისუფლების თხოვნით არავის მიუმართავს.

თუმცა, გადაჭრით ჯერ მაინც ძნელია თქმა, იჭიდავებს თუ არა ყველა ლიდერი - დაწყებამდე ერთი კვირა რჩება და მოულოდნელობები გამორიცხული არაა. სამაგიეროდ, ცნობილია ჩემპიონატის მთავარი ინტრიგა - მძიმე წონაში დამკვიდრების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოსანი **ლუკა კურტანიძე** კვლავ 96 კილოგრამში ბრუნდება და ოქროს მედალს რუსეთიდან დაბრუნებულ მსოფლიო ჩემპიონს, **გიორგი გოგშელიძეს** შეეცილება.

საბედნიეროდ, მსოფლიო დონის ფალავნები ორივე ნაკრებში მრავლად მოგვეპოვებიან, დაძაბული კონკურენციაც ბევრგანაა, მაგრამ ასეთი სერიოზული - არსად! ორი მსოფლიო ჩემპიონი ერთ წონაში, ერთი ადგილისთვის იბრძოდეს, ნებისმიერი მწვრთნელის სანუკვარი ოცნებაა. ამ მხრივ „თავისუფალთა" თავკაც **ზაზა თურმანიძეს** ნამდვილად გაუმართლა, აი, ფალავანთაგან ვის გაუმართლებს, ვინ იმძლავრებს, ხალიჩაზე გამოჩნდება.

**19-20 იანვარს „ანტიკოსები" იჭიდავებენ, 21-22-ში - თავისუფალი ჭიდაობის ტურნირია.**

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ნაგება ფარქვეშ

ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ" სტუმრად "ინდიანასთან" საწყისი 24 წუთი გაძლო. მესამე პერიოდის პირველივე წუთზე ქართველის ორქულიანის შემდეგ ტაბლოზე 38:35 დაფიქსირდა (მასპინძელთა სასარგებლოდ) და "ინდიანამაც" ამის შემდეგ გაილაღა.

**ჯერმეინ ონილმა** (10 ქ. 8 მ), **ფოსტერმა** (8 ქ. 17 მ) და **გრეინჯერმა** (15 ქ. 10 მ) ჯორჯიელებს შანსი არ დაუტოვეს. სამივე ჩამოთვლილი მეფარეა, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზაზას და მის თანაგუნდელებს მეტოქე ნინახაზელების შეჩერება გაუჭირდათ. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** მოედანზე შეუშვა დაცვითი სტილის მოთამაშე **ლორენცენ რაიტი**, რომელმაც ზაზაზე მეტი კი ითამაშა, მაგრამ სათანადოდ ვერც თანაგუნდელებს დაეხმარა (27 წუთში 3 ქულა, 8 მოხსნა, 5 ფოლი) და ვერც მოწინააღმდეგეებს გაუმკლავდა.

"ინდიანასთან" მატჩი არც ზაზასთვის იყო შედეგიანი. მან 10-დან მხოლოდ 3 ორქულიანი გამოიყენა და 6 საჯარიმოდან ნახევარი ჩააგდო.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

**9 იანვარი**

**ინდიანა-ატლანტა 91:72**

17:16, 21:17, 23:16, 30:23

**ინდიანა:** ტინსლი (25 წთ. 2 ქ. 5 პ), ს. ჯექსონი (28 წთ. 12 ქ. 6 პ), ჯ. ონილი (31 წთ. 10 ქ. 8 მ), ჰარინგტონი (32 წთ. 18 ქ. 6 მ), ფოსტერი (31 წთ. 8 ქ. 17 მ), გრეინჯერი (32 წთ. 15 ქ. 10 მ), იასიკიავიჩუსი (18 წთ. 8 ქ), არმსტრონგი (15 წთ. 4 ქ), ბასტონი (15 წთ. 4 ქ), დანიელსი (6 წთ. 4 ქ), ს. უილიამსი (4 წთ. 6 ქ), გრინი (3 წთ. 2 ქ).

**ატლანტა:** კლექსტონი (31 წთ. 12 ქ. 6 მ), ჯონსონი (24 წთ. 10 ქ). შ. უილიამსი (17 წთ. 4 ქ), მ. უილიამსი (25 წთ. 6 ქ), **ზაზა ფაჩულია (23 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 3 შეცდომა, 4 ფოლი)**, ჩილდრესი (35 წთ. 7 ქ. 8 მ), რაიტი (27 წთ. 3 ქ. 8 მ), ჯონსი (21 წთ. 7 ქ. 6 მ), სტაუდმაიერი (10 წთ. 2 ქ), აივი (6 წთ. 5 ქ), ტომპსონი (6 წთ. 7 ქ), ლიუ (14 წთ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 12:00 | სადაო გდება: ფაჩულია VS ფოსტერი |
| 11:33 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:03 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 08:34 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (7:6) |
| 08:20 | ფოლი: 1 |
| 05:14 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 05:05 | შეცდომა: 1 (ფოსტერმა ჩაუჭრა) |
| 04:26 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (13:10) |
| 04:26 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 04:03 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 03:53 | საჯარიმოები: 2/2 (6 ქ. 15:10) |
| 03:39 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 07:40 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 04:26 | შეცდომა: 2 (ბურთი დაკარგა) |
| 03:41 | ფოლი: 2 |
| 03:18 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:23 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (35:38) |
| 11:06 | ფოლი: 3 |
| 10:12 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:05 | შეცდომა: 3 (ფოსტერმა ჩაუჭრა) |
| 06:41 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:40 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |
| 03:14 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 02:27 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 02:08 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:34 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 01:20 | საჯარიმოები: 2/0 |
| 00:37 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:37 | მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3) |
| 00:36 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:36 | მოხსნა: 7 (შეტ: 4, დაც: 3) |
| 00:28 | საჯარიმოები: 2/1 (9 ქ. 49:61) |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:02 | ფოლი: 4 |
| 10:38 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 30 მატჩი (30 სასტარტოში), 30.7 წუთი, 13.1 ქულა, 7.2 მოხსნა, 1.6 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.5 შეცდომა, 3.6 ფოლი

**ატლანტა:** 32 მატჩი, 10 მოგება, 22 წაგება, IV ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-13 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში

**მომდევნო მატჩი:** ატლანტა-ნიუ ორლეანი (10 იანვარი)

## სუმო

# კოკაიმ ოშიდაში გაიხსენა

იანვრის ბაშოდან ოთხი დღის გასვლის შემდეგ ტურნირს ორი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს - მეცხრე მაეგაშირა **ტოიონოშიმა** და მეთერთმეტე მაეგაშირა **ტამაკასუგა**. მათი ლიდერობა რომ დროებითია, ყველამ კარგად უწყის. სერიოზულ რიკიშთაგან ერთადერთი დაუმარცხებელი კი გუშინ ქართველმა ფალავანმა დააგდო - **კოკაიმ** მონღოლ **ამას** **"თავისი ილეთით"**, ოშიდაშით მოუგო. რამდენი ფალსტარტის შემდეგ, კოკაი ეცა მსუბუქ ამას და ორ წამზე ნაკლებში დოჰიოდან გააძევა. კოკაის ბალანსი 2-2-თან გახდა. ბაშო ესტონელმა, მესამე მაეგაშირა **ბარუტომ** მიატოვა მუხლის ტრავმის გამო.

მაკუშიტას დივიზიონში მეორე ბრძოლა გამართა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, მან იორიკირის ილეთით **მაენოვაკას** მოუგო. გაგამარუს ბალანსი ნულოვანია - 1-1.

**სატურნირო მდგომარეობა: 4-0: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9), ტამაკასუგა (მ 11); 3-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ამა (მ 4), ტაკამისაკარი (მ 5), ტოჩინონადა (მ 6), ტოკიცუუმი (მ 12), ტამანოშიმა (მ 14), უშიომარუ (მ 15); 2-2: კოკაი (მაეგაშირა 5).**

**V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - კაკურიუ, ასაშორიუ - ტოკიტენკუ, ჰაკუჰო - კიოკუტენჰო, კოტოოშუ - როჰო, ტოჩიაძუმა - კოტომიცუკი, კაიო - კოტოშოგიკუ, ჩიოტაიკაი - ამინიშიკი, მიაბიამა - კისენოსატო, დეჯიმა - ჰომაშო, ამა - ფუტენო, ტაკამისაკარი - ტაკეკაძე, კაკიძოე - ასასეკირიუ.**

## მილოცვა

**ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს 1953 წლის ფალავანს, საქართველოს 11-გზის ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს სიმონ მაისურაძეს.**

## რაგბი

3 თებერვალი. რუმინეთი-საქართველო

# დანაკლისი პირველი მატჩისთვის

პირველ მატჩს 2007-08 წლების ერთა თასზე საქართველოს ნაკრები 3 თებერვალს რუმინეთში გამართავს. ორივე გუნდისთვის ეს შეხვედრა, ისევე როგორც მთელი პირველი წრე, მომავალი მსოფლიო თასისთვის მზადების ეტაპია.

უკვე ცნობილია, რომ რუმინელების წინააღმდეგ ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **მალხაზ ურჯუკაშვილი**(კანი), **თემურ სოხაძე**(ბასტია) და **მამუკა გორგოძე**(მონპელიე). სავიზო პრობლემები აქვთ და ბორჯღალოსნებს ვერ დაეხმარებიან აგრეთვე **რატი ურუშაძე**(ნიცა) და **ბესიკ ხამაშურიძე** (კანი).

რუმინელებმა ამ მატჩისთვის გამოძახებულ მორაგბეთა სია ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გამოაქვეყნეს. "მუხის ფოთლების" რიგებში ყველა უძლიერესი მორაგბეა **პეტრე მიტუს** გარდა.

საქართველოს ნაკრები მატჩისწინა შეკრებას რუმინეთში გამართავს. ჯერ უცნობია, რომელ ქალაქში გაიმართება შეხვედრა. ავდრის შემთხვევაში მატჩი, შესაძლოა, ბუქარესტიდან ტიმიშოარაში გადაიტანონ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ელიზბარაშვილი მატორუში

საფრანგეთში მოთამაშე ქართველ მორაგბეთა ლეგიონი საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრით შეივსო. ყოფილმა აკადემიელმა, გარემარბმა **გიორგი ელიზბარაშვილმა** ხელი მოაწერა ხელშეკრულებას "მატორუსტან". ეს გუნდი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ-3 დივიზიონში ასპარეზობს და მასში უკვე მეორე სეზონია, კიდევ ერთი ყოფილი აკადემიელი, მესამეხაზელი **შალვა პაპაშვილი** ირიცხება. ელიზბარაშვილმა გასული სეზონი რუსეთში, კრასნოიარსკის "კრასნი იარში" გაატარა. ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ მან, ისევე როგორც თითქმის ყველა ქართველმა მორაგბემ, რუსეთი დატოვა.

## ჩოგბურთი



ანასტასია პავლიუჩენკოვა

# მაკას ანასტასია შეხვდა

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (141) მეორედ თამაშობს "დიდ სლემზე" და საკვალიფიკაციო ტურნირის განთესილებს შორისაც მოხვდა, 24-ე ნომრად. გუშინ გაიმართა წილისყრა, რომელმაც ჩახნაშვილს პირველი მეტოქედ რუსი თინეიჯერი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** არგუნა. 15 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს 377-ე ჩოგანია, 18-წლამდელთა შორის კი რეიტინგის პირველი ნომერი გახლავთ. გამარჯვების შემთხვევაში ჩახნაშვილი ბრიტანელ **კეტი ო'ბრაიენისა** და ჩინელი **იანჩონ ჩენს** შორის მოგებულს შეხვდება. "აუსტრალიან ოუფენის" ძირითად ბადეში მოსახვედრად სამი წრის გავლაა საჭირო. ვაჟ მონაწილეთა შორის **ირაკლი ლაბაძე** არ აღმოჩნდა - ჩვენი პირველი ჩოგანი (167-ე ჩოგანი) "დიდი სლემის" პირველ ტურნირს გამოტოვებს.

### ლადომ გააღწია, ანამ ვერა

ლადო ჩიხლაძემ (545) გერმანულ ქალაქ ნუსლოხში პირველ მიზანს მიაღწია, მან შეძლო 15-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა. საქართველოს მეორე ჩოგანი საკვალიფიკაციო ტურნირში მეორე ნომრად იყო განთესილი. მესამე, ფინალურ წრეში ლადომ გერმანელი **საშა კლორი** (731) დაამარცხა - 6:2, 6:3. ტურნირის ძირითად ბადეში 21 წლის ქართველის მეტოქე მერვე ნომრად განთესილი რუმინელი **ფლორინ მერგეა** (396) იქნება. წყვილებში ჩიხლაძე იამაიკელ **დასტინ ბრაუნთან** ერთად ითამაშებს.

ფლორიდის ქალაქ ტამპაში მიმდინარეობს ქალთა 25-ათასიანი ტურნირი, სადაც კვალიფიკაციაში ბედი სამმა ქართველმა სცადა. ყველაზე უკეთ პირველ ნომრად განთესილმა **ანა ტატიშვილმა** (300) ითამაშა, მაგრამ ფინალურ წრეში რუმინელ **სორანა ჩირსტეასთან** წააგო - 6:7 (6), 3:6. სალომე დევიძე და სოფიო მელიქიშვილი პირველივე წრეში დამარცხდნენ.

### ლაზარე დაბრუნდა

ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ კორტებს დაუბრუნდა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ჩოგბურთელი **ლაზარე კუხალაშვილი**. ლაზარე თებერვალში 16 წლის გახდება, მას ავსტრიაში ივლისის თვეში მიღებული ტრავმის მერე არსად უთამაშია. კუხალაშვილი 18-წლამდელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში 37-ე ნომერია. კუხალაშვილი ავსტრალიის ქალაქ ტრარალგონში 18-წლამდელთა პირველი კატეგორიის ტურნირ "ლოი იან პაუერში" ასპარეზობდა. პირველ წრეში ლაზარე მეოთხე ნომრად განთესილ ავსტრალიელ **გრეგ ჯონსს** (18 წლის, მსოფლიოს მე-6 ჩოგანი) შეხვდა და 2:6, 3:6 დამარცხდა. კუხალაშვილი ბრიტანელ **კოქსთან** ერთად წყვილთა თანრიგში მეორე წრეში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კახა სან ფერნანდო: მწვრთნელი, პრეზიდენტი და ახალწვეული

# გაიცანით, ნიკოლოზი!

## ჩვენ მასთან ერთად გავაკეთებთ...

სევილიის "კახა სან ფერნანდოს" ხელმძღვანელობამ გუშინ პრესკონფერენცია მოაწყო და კლუბის ახალწვეული, ნიკოლოზ ცქიტიშვილი წარადგინა. სურათზეც ნათლად ჩანს, რომ ცქიტომ ზურგზე NICOLOZ დაიწერა და 22-ნომრიანი მაისურა აირჩია. პრეზენტაციას დაესწრნენ "კახას" მთავარი მწვრთნელი მანელ კომასი და პრეზიდენტი ხუან კარლოს ოლერო.

დანარჩენი კლუბის ოფიციალურ საიტზეა მოთხრობილი.

### კაცი NBA-ს ჯუნგლებიდან

პრესკონფერენცია გახსნა მწვრთნელმა მანელ კომასმა, რომელმაც კმაყოფილება ვერ დამალა ახალგაზრდა, პერსპექტიული, მაგრამ ამასთან გამოცდილი მოთამაშის, ნიკოლოზ ცქიტიშვილის დამატებით:

- ნიკას არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს. იგი იმ კალათბურთელთა კატეგორიას განეკუთნება, რომლებსაც NBA-ს სკაუტები ადრეული ასაკიდან აკვირდებიან. სკიტას არაერთი დადებითი თვისება აქვს - თამაშს კარგად გრძნობს, სწრაფია, შესანიშნავად გადაადგილდება, გამოირჩევა ტყორცნის სიზუსტითაც. 213 სმ სიმაღლისაა და არაერთ ამპლუაში შეუძლია თამაში - მსუბუქ ფორვარდად, მძიმე ფორვარდად და ცენტრადაც. ყველაზე მეტად ცქიტიშვილი **ხორხე გარბახოსას** მაგონებს, რომელიც მეტოქის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან ზუსტად ისვრის, ფარქვეშაც სახიფათოა და პერიმეტრზეც.

**მანელ კომასმა იქვე ახსნა, რატომ ვერ ითამაშა სკიტამ NBA-ში:** - NBA-ს ჯუნგლები ბევრ ახალგაზრდას ვერ იტევს. მოთამაშეები მწვრთნელებზე არიან დამოკიდებულნი და გუნდის თავკაცს თავისუფლად შეუძლია ნიჭიერი ახალგაზრდა "კულისებში მიმალოს". კარგია, რომ ცქიტიშვილი NBA-მდე იტალიურ "ბენეტონში" თამაშობდა - ევროპული კალათბურთი მისთვის უცხო არ იქნება. მისი დამატებით შემადგენლობა საბოლოოდ შეივსო, "კახა" კი იმ გუნდად იქცა, რომელსაც თამამად შეუძლია ესპანეთის სამეფო თასისა და ჩემპიონატის ფლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა.

**მწვრთნელმა იქვე დასძინა, რომ ნიკა ცქიტიშვილი "კახას" იდეალურ დროს შეუერთდა - ფორმაში შესახვლელად და გუნდთან მოსარგებად ქართველს დიდი დრო არ უნდა დასჭირდესო. სკიტას დებიუტი კვირას "ფუენლაბრადას" წინააღმდეგ მატჩში იგეგმება. მწვრთნელი ტრავმირებულთა საკითხსაც შეეხო:**

- საწყის დღეებში გვეგონა, რომ **დემეტრიუს ალექსანდერი** უბრალოდ გაციებული იყო, მაგრამ მას პნევმონია აღმოაჩნდა და წინასწარ ძნელი სათქმელია, როდის დაგვიბრუნდება. ამიტომ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე დემეტრიუსის შემცვლელის ძებნა დავიწყეთ. როცა თვალი ნიკა ცქიტიშვილს დავადგით, მის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იოლი აღმოჩნდა - რჩევებისთვის ისეთ კალათბურთელებს მივმართეთ, ვისაც შეეძლო სკიტა დაეხასიათებინა როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. ვესაუბრეთ **ული შჩერბიაკს, ხორხე გარბახოსას, მარსელო ნიკოლას**. ქართველი ფორვარდის შესახებ უარყოფით კონტექსტში ერთი სიტყვაც არ მომისმენია. როცა მარსელო ნიკოლა ვინმეს დადებითად ახასიათებს, ე.ი. მართლა ღირს მისი აყვანა. მინდა "კახას" არჩევისთვის ცქიტიშვილს მადლობა გადავუხადო, რადგან ვიცი, რომ ჩვენს გამო სხვა სერიოზული წინადადებები უარყო.

### მზად ვარ შრომისა და თამაშისთვის!

- ვაცნობიერებ, რომ "კახაში" მოსვლით დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა და ყველაფერს ვილონებ, რომ წარმატების მიღწევაში დავეხმარო. **- ეს გახლდათ ნიკოლოზ ცქიტიშვილის შესავალი სიტყვა. როგორც თვითონ ამბობს, ესპანეთში გადმოსვლაზე ბევრი არ უფიქრია:**

- იმედი მქონდა, რომ NBA-ს დატოვების შემდეგ ისეთ გუნდს მოვნახავდი, რომელშიც ბოლომდე მენდობოდნენ. აგენტები "კახა სან ფერნანდოს" კარგად მიხასიათებდნენ და მათი სიტყვების სიმართლეში სევილიაში ჩამოსვლის შემდეგ დავრწმუნდი.

**"კახას" ახალწვეული გრანადაში მატჩზე მე-8 ნომრით იჯდა, ხოლო კვირას "ფუენლაბრადასთან" 22-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.**

- კვირის თამაშისთვის მზად ვარ. ბიჭები გრანადაში გავიცანი და დავინახე, რომ შესანიშნავი გუნდია. შეიძლება ითქვას, ყველა თანაგუნდელთან საერთო ენა უკვე გამოვნახე. მინდა მათ სათანადოდ დავეხმარო. "დენვერში" ზურგზე 22 ნომერი მეწერა, ეს ნომერი აქაც ამიტომ ავირჩიე, ამასთან, ეს რიცხვი ცხოვრებაშიც თან მდევს - ამერიკაშიცა და საქართველოშიც ჩემი ბინის ნომერია 22.

**"კახას" ახალწვეული ესპანეთის ლიგას ევროპაში საუკეთესოდ მიიჩნევს:**

- ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოში მეორეა, მხოლოდ NBA-ს ჩამოუვარდება. აქაური ლიგა იტალიურთანაა მიახლოვებული და მასთან მორგება არ უნდა გამიჭირდეს. მჯერა, საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ გამოვავლენ.

**კითხვაზე, საკუთარ პლუსად რას მიიჩნევს, სკიტამ მოკლედ უპასუხა:**

- სწრაფი მოთამაშე ვარ. სროლაც შემიძლია და არც პასების გაცემა მეზარება. ვიცი, რომ "კახას" მწვრთნელი დიდ ყურადღებას დაცვას უთმობს და არც ამ კომპონენტში მოვიკოჭლებ. ერთადერთი, რაც მჭირდება- სათამაშო პრაქტიკაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

### წერილი ლელოს

## მიმსახურეთ!..

"ლელოს" მუდმივი მკითხველი ვარ. სხვებივით მეც ძალიან გავიხარე ქართველი ხალხის ამ საყვარელი გაზეთის განახლებით. თქვენივე გაზეთით შევიტყვე, რომ "სამედიცინო ცენტრი თემურ შენგელია" რედაქციის თანამშრომლებს მოემსახურება უფასოდ.

ვარ მიკროავტობუსის მძღოლი, ვმუშაობ თბილისი-აბაშა-თბილისის მარშრუტზე. მეც მზად ვარ თქვენი კორესპონდენტები უფასოდ ვამგზავრო ორივე მიმართულებით მარშრუტის ნებისმიერ პუნქტამდე და უკან. საჭიროების შემთხვევაში დამიკავშირდით ჩემს მობილურ ტელეფონზე, რომელსაც გთავაზობთ.

დიდი პატივისცემით,

**გია გაბელია**

---

### ევროტურნირები

# სანიკიძეზე ორჯერ მეტი

ევროთასის (წარშან ფიბას ევროლიგად მოიხსენიებდნენ) გათამაშების მეორე ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყო **ვიქტორ სანიკიძემ**. მისმა "ესტუდიანტესმა" ესპანეთში კვიპროსის აელ-ს 70:60 აჯობა, ხოლო ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 21 წუთი ნაყოფიერად გამოიყენა - 8 ქულა (5-დან 4 ორქულიანი), 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

ვიქტორი თამაშში პირველი მეოთხედის ბოლოს ჩაერთო და მხოლოდ ერთი სამქულიანის აცილება მოასწრო. მეორე პერიოდი ქართველისთვის შედეგიანი გამოდგა - 4 ქულა, ამდენივე ქულა მატჩის დასკვნით ათწუთეულში მოაგროვა (ერთხელ ეფექტურადაც ჩატენა) და თანაგუნდელებს ათქულიანი სხვაობით გამარჯვებაში დაეხმარა.

იმავე ტურნირის სხვა ჯგუფში სანიკიძეზე ორჯერ მეტი ქულა მოაგროვა **ვატო ნაცვლიშვილმა**, რომელიც ბოლონიაში "ვირტუსთან" შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო დიუონელი იყო, მაგრამ მისი 16 ქულა იტალიური გრანდის დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა: 95:77 ბოლონიელთა სასარგებლოდ. ვატომ მასპინძლებს ორჯერ ჩაუჭრა, 1 პასი შეასრულა და ბურთი შვიდჯერ მოხსნა, აქედან ხუთჯერ - მეტოქის ფარქვეშ.

ევროთასის გათამაშების მეორე ეტაპზე ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფია. პირველ-მეორე ადგილზე გასულები მეოთხედფინალურ წყვილებს შეადგენენ.

ულების თასზე **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" ბულგარული "აკადემიკი" სტუმრადაც დაამარცხა (81:76) და ჯგუფში პირველობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ვლადოს მხოლოდ 13 წუთი გამოუყო, ქართველისგან კი 2 ქულა და 1 პასი მიიღო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

### კალათბურთელის დღიური



სათქმელად იოლია: ევროლიგაზე მანუჩარ მარკოიშვილმა 14 ქულა ჩააგდოო, მაგრამ რა დგას კონკრეტული მატჩის უკან და რა რაოდენობის ოფლი იხარჯება, ამაზე იშვიათად დავფიქრებულვართ. დღეიდან ვეცდებით ქართველი მკითხველი საკალათბურთო კულისებში შევახედოთ და ევროლიგაზე მოასპარეზე ერთადერთი ქართველის, მანუჩარ მარკოიშვილის ყოველდღიურ ჩანაწერებს გამოვაქვეყნებთ. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში მანუჩარს ევროლიგისა და ადრიატიკის თასის მატჩები ელის.

### ოთხშაბათი

## "უნიკახასთან" მატჩამდე

"როგორც წესი, "ოლიმპიას" ვარჯიში 10:30 საათზე იწყება, მაგრამ დღეს, ევროლიგაზე ესპანურ "უნიკახასთან" მატჩი გვაქვს და მწვრთნელმა, გასპერ ოკორნმა ვარჯიშზე 11 საათზე დაგვიბარა. ერთი საათის განმავლობაში კალათბურთელები ერთმანეთს სროლაში გავეჯიბრეთ, ესპანელების დასამარცხებელი ტაქტიკა განვიხილეთ...

თუმცა, "უნიკახა" უფრო დეტალურად ვიდეოფირების მეშვეობით გავშიფრეთ. მწვრთნელისგან ყველამ ინდივიდუალური დავალება მივიღეთ. საღამოს ჩემი ფუნქცია მეტოქის უკანახაზელი ლიდერების დაჭერა იქნება. იმის მიხედვით, ვის როგორ წაუვა თამაში, მწვრთნელი ან ბერნი როდრიგესს მიმამაგრებს, ან ირჟი ველშს. გასპერ ოკორნმა ორივეს პლუს-მინუსები დაფაზე ჩამოწერა და რამდენად კარგად შევისწავლე, უშუალოდ შეხვედრისას გამოჩნდება.

ვიდეოგანხილვას სასიამოვნო რამ მოჰყვა - ტრადიცია მაქვს, ყოველი მატჩის დღეს სადილად ერთსა და იმავე კერძს გეახლებით. რეცეპტს არ დაგიმალავთ: მაკარონი ქათმით, არაჟნისა და ყველის სოუსში. ზედ სალათას ვაყოლებთ... ძალიან გემრიელია. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ამ ტრადიციას საფუძველი მაკარონის ქვეყანაში, იტალიაში ჩავუყარე, მაგრამ ასე არ არის. ეს კერძი სლოვენიაში შემიყვარდა.

ოფიციალური შეხვედრების წინ კიდევ ერთი ტრადიცია მაქვს - თბილისში ჩემი ოჯახის წევრებს ვესაუბრები. მამაჩემმა სატელიტური ანტენა დააყენა და "ოლიმპიას" ყოველ მატჩს ადევნებს თვალს. მალაგის "უნიკახასთან" თამაშის წინაც ველაპარაკე და მამისგან საინტერესო რჩევა-დარიგება მივიღე. გამოვტყდები, უფრო საინტერესო მატჩისშემდგომი განხილვა იქნება. ამაზეც დავწერ.

სადილის შემდეგ ორი საათით აუცილებლად ვიძინებ. ფეხზე წამოდგომისთანავე მსუბუქ მოთელვასა და კოჭის ვარჯიშებს შევასრულებ. კარგად გამოფხიზლებული სამხარს გეახლებით - იოგურტს, ბანანს, სხვა ხილს... მატჩის წინ ორგანიზმში შაქრის მცირედით მომატება აუცილებელია.

ახლა "ტივოლი არენაზე" ჩემი "რენოთი" მივდივარ. ყოველი მატჩის წინ დარბაზში საათნახევრით ადრე უნდა ვიყო.

"ოლიმპია"-"უნიკახას" თამაშსა და თამაშისშემდგომ ამბებზე ხვალ მოგიყვებით.

**მანუჩარ მარკოიშვილი**

ყველა ვარსკვლავის მატჩი

# აქეთ დებიუტანტები, იქით ვეტერანები

## ოლ სტარის შემადგენლობები ცნობილია



სიდნი კროსბი

გუშინ ღამით, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ 2007 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო შემადგენლობები დაასახელა.

გულშემატკივართა გამოკითხვის აბსოლუტური ლიდერი, წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, "პიტსბურგის" ფორვარდი **სიდნი კროსბი** გახდა. 19 წლის ჰოკეისტმა 825 783 ხმა მიიღო და პირველად ითამაშებს All Star-ზე.

კროსბი 1986 წლის შემდეგ, სასტარტო შემადგენლობის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა. სწორედ ამ წლიდან შემოიღეს გულშემატკივართა გამოკითხვის სისტემა. მანამდე რეკორდი ჩეხ **იარომირ იაგრს** ეკუთვნოდა. ის 19 წლისა და 11 თვის იყო, როცა 1992 წელს "ყველა ვარსკვლავის მატჩში" სასტარტოში მოხვდა. კროსბი კი, 19 წლისა და 5 თვის გახლავთ.

"პიტსბურგის" ლიდერი აღმოსავლეთ კონფერენციის ნაკრებში ითამაშებს, სადაც შეტევაში მას პარტნიორობას ბაფალოელი **დანიელ ბრიერი** და ვაშინგტონელი **ალექსანდრ ოვეჩკინი** გაუწევენ.

სასტარტოში მცველებად "მონრეალის" ვეტერანი **შელდონ სურეი** და "ბაფალოს" მოთამაშე **ბრაიან კემპბელი** დადგებიან, ამ გუნდის პირველი მეკარე კი, ასევე "ბაფალოს" წარმომადგენელი **რაიან მილერი** იქნება.

საერთოდ, აღმოსავლეთ კონფერენციაში არჩეული ექვსივე მოთამაშე პირველად გამოვა All Star-ის ძირითად შემადგენლობაში. აქედან ხუთი, საერთოდ პირველად თამაშობს ამ დონეზე. ერთადერთი **შელდონ სურეი** გამოდის "ყველა ვარსკვლავზე" მეორედ.

სრულიად საპირისპირო სიტუაციაა დასავლეთ კონფერენციაში, სადაც სასტარტო შემადგენლობა თითქმის მთლიანად გამოცდილი ჰოკეისტებით დაკომპლექტდა.

აქ არის 37 წლის **ჯო საკიკი** ("კოლორადო"), რომელიც მეთორმეტედ ითამაშებს All Star-ზე, აქედან მეოთხედ სასტარტოში. დაცვაში **ნიკლას ლიდსტრიომია** ("დეტროიტი") არჩეული. შვედი ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში ოთხჯერ გახდა ლიგის საუკეთესო მცველი, "ოლ სტარტზე" კი, მეცხრედ მოხვდა (მეშვიდედ სასტარტოში).

გამოცდილება დაცვაში ლიდსტრიომის მეწყვილე **სკოტ ნიდერმაიერსაც** ("ანაჰაიმი") არ აკლია, რომელიც 2004 წელს ლიგის საუკეთესო დამცველად აღიარეს. იგივეს თქმა შეიძლება "სან ხოსეს" ფორვარდ **ჯო ტორნტონზე**. ეს ჰოკეისტი შარშან რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სხვათა შორის, დასავლეთის მოთამაშეებს შორის ტორნტონმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

ამ მხრივ, შედარებით გამოუცდელია დასავლეთის პირველ მეკარედ არჩეული **რობერტო ლუონგო** ("ვანკუვერი") - ის პირველად მოხვდა სასტარტოში (All Star-ზე მეორედ ითამაშებს). ამ გუნდში ერთადერთი ჰოკეისტი, ვინც პირველად გამოვა "ყველა ვარსკვლავის" მატჩში, "სან ხოსეს" თავდამსხმელი **ჯონათან ჩიჩუა**. შეგახსენებთ, რომ ეს ფორვარდი შარშან ლიგის საუკეთესო გოლეადორი იყო.

"ყველა ვარსკვლავის მატჩი" 28 იანვარს დალასში გაიმართება.

| სასტარტო შემადგენლობები | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | |
| **მეკარე** | | | |
| რაიან მილერი (ბაფ) | 539 635 | 1 | 1 |
| **მცველები** | | | |
| ბრაიან კემპბელი (ბაფ) | 602 982 | 1 | 1 |
| შელდონ სურეი (მონ) | 534 647 | 2 | 1 |
| **ფორვარდები** | | | |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 825 783 | 1 | 1 |
| დანიელ ბრიერი (ბაფ) | 475 857 | 1 | 1 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 475 297 | 1 | 1 |
| **დასავლეთი** | | | |
| **მეკარე** | | | |
| რობერტო ლუონგო (ვან) | 484 861 | 2 | 1 |
| **მცველები** | | | |
| სკოტ ნიდერმაიერი (ანა) | 591 657 | 4 | 2 |
| ნიკლას ლიდსტრიომი (დეტ) | 573 069 | 9 | 7 |
| **ფორვარდები** | | | |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 663 931 | 4 | 2 |
| ჯო საკიკი (კოლ) | 473 847 | 12 | 4 |
| ჯონათან ჩიჩუ (ს-ხოს) | 444 885 | 1 | 1 |

*შენიშვნა: პირველ სვეტში მოცემულია ხმების რაოდენობა, მეორეში - სულ All Star-ში მონაწილეობა; მესამეში - სასტარტოში მოხვედრა*

## NHL . რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-აილენდერსი 3:5**

2:2, 0:1, 1:2

**გოლები**: 0:1 შატანი-12 (კამპოლი-3, ვიქ. კოზლოვი-13), 1:1 სტრაკა-23 (ნიულანდერი-34, იაგრი-39), 2:1 იაგრი-17 (სტრაკა-30, ნიულანდერი-35), 2:2 უიტი-1 (რ. რობიტაილი-13, ჰილი-14), 2:3 სილინჯერი-13 (ჰანტერი-5, ჰილი-15), 3:3 შენეჰანი-24 (იაგრი-40, სტრაკა-31), 3:4 ვიქ. კოზლოვი-14 (რ. რობიტაილი-14, შატანი-17), 3:5 სილინჯერი-14.

**ვაშინგტონი-ფილადელფია 6:2**

2:0, 2:0, 2:2

**გოლები**: 1:0 კლიმერი-5 (ლეიჩი-5), 2:0 ოვეჩკინი-27 (ზუბრუსი-21), 3:0 ოვეჩკინი-28 (კ. კლარკი-16, ზუბრუსი-22), 4:0 ბრაშირი-1 (გორდონი-9), 5:0 სიომინი-22 (ოვეჩკინი-31, კ. კლარკი-17), 5:1 კალდერი-6 (პოტულნი-4, ს. კაპანენი-5), 5:2 კალდერი-7 (უმბერგერი-7), 6:2 სატერბი-3.

**კალგარი-მინესოტა 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ლენგკოუ-16 (რეგერი-12), 2:0 ჯორდანო-4 (ჰუსელიუსი-16, ფანოფი-16), 3:0 რიტჩი-7 (ლომბარდი-15).

**კოლორადო-დეტროიტი 3:4 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები**: 0:1 ზეტერბერგი-17 (დაციუკი-22, ჰოლმსტრიომი-11), 1:1 ვოლსკი-15 (ბ. კლარკი-19, არნასონი-17), 1:2 დაციუკი-11 (ლიდსტრიომი-25), 2:2 გიტი-1, 3:2 ჰეიდუკი-14, 3:3 ლანგი-11 (სამუელსონი-11, კრონვალი-11).

**ბულიტები გაიტანეს**: დაციუკი (დეტროიტი), საკიკი (კოლორადო), ზეტერბერგი (დეტროიტი).

**ნეშვილი-ანაჰაიმი 5:4 (ო)**

3:1, 1:3, 0:0, 1:0

**გოლები**: 1:0 კარია-14 (ერატი-27, ჟიდლიცკი-17), 1:1 კუნიტცი-18 (პერი-15), 2:1 ლეგვანდი-13 (ერატი-28), 3:1 კ. ტიმონენი-8 (კარია-33, ჟიდლიცკი-18), 3:2 პენერი-16 (ს. ნიდერმაიერი-33, ჰეკმენი-1), 4:2 დუმონი-10 (არნოტი-15, ჟიდლიცკი-19), 4:3 გეტცლაფი-18 (პერი-16, პენერი-10), 4:4 სელიანე-25 (ე. მაკდონალდი-28, ო'ბრაიენი-11), 5:4 სალივანი-13 (კ. ტიმონენი-23, ზენონი-2).

**კოლამბუსი-სენტ ლუისი 3:4 (ბ)**

1:1, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები**: 1:0 ფრიტშე-8 (ვიბორნი-28, ჟერდიოვი-11), 1:1 გერინი-18 (სტემპნიაკი-12, რუჩინსკი-17), 2:1 ა. ჯონსონი-2 (ე. კარტერი-12, ჩიმერა-10), 2:2 ტკაჩუკი-12 (დვორაკი-14, სტემპნიაკი-13), 3:2 მალორტა-6 (ე. კარტერი-13, ჰეინსი-16), 3:3 რუჩინსკი-10 (ჩაიანეკი-15).

**ბულიტები გაიტანეს**: რუჩინსკი (სტ. ლუისი), ვიბორნი (კოლამბუსი), უეიტი (სტ. ლუისი), ჟერდიოვი (კოლამბუსი), სტემპნიაკი (სტ. ლუისი).

**ტორონტო-კაროლინა 1:4**

1:0, 0:3, 0:1

**გოლები**: 1:0 მაკეიბი-9 (სტინი-9, ო'ნილი-18), 1:1 ს. უოკერი-13 (ლაროუზი-9, ტანაბე-6), 1:2 ბელანჟე-8 (ბრინდამორი-34, რეი უიტნი-31), 1:3 ე. სტაალი-19 (რეი უიტნი-32, სტილმანი-10), 1:4 ჯასტინ უილიამსი-21 (სტილმანი-11, ე. სტაალი-18).

**დალასი-ფინიქსი 2:5**

1:1, 0:2, 1:2

**გოლები**: 1:0 ჰაგმანი-8 (ლინდროსი-16, მოდრი-7), 1:1 როუჩი-3 (ჟოვანოვსკი-14, რიონიკი-7), 1:2 ჟოვანოვსკი-9 (ი. პერო-11, ნადი-24), 1:3 დოენი-12 (ნადი-25, ბალარდი-10), 2:3 ი. ლეჰტინენი-12 (ბუშე-20, ზუბოვი-23), 2:4 ნოლანი-11 (საპრიკინი-14, რაინპრეხტი-7), 2:5 დოენი-13.

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები**: 0:1 კროსბი-21, 1:1 ლეკავალიე-24 (პროსპალი-19, სენტ ლუისი-29), 2:1 სენტ ლუისი-27 (ლეკავალიე-32, ბოილი-25), 3:1 კარლსონი-3 (სენტ ლუისი-30), 3:2 კ. არმსტრონგი-5 (ორპიკი-3).

**ოტავა-ბოსტონი 5:2**

0:2, 0:0, 5:0

**გოლები**: 0:1 შტურმი-11 (ბულიტი), 0:2 მარა-2 (მაუერსი-8), 1:2 კომრი-8 (შეფერი-16), 2:2 ჰიტლი-26 (კ. კელი-12), 3:2 ალფრედსონი-13 (ჰიტლი-29, კ. კელი-13), 4:2 ივსი-7 (რედენი-12), 5:2 შეფერი-7 (ნილი-10, ფილიპსი-9).

**მონრეალი-ატლანტა 4:2**

0:1, 1:1, 3:0

**გოლები**: 0:1 დე ვრისი-2 (მეტროპოლიტი-13), 0:2 ლარსენი-6 (ვიჟიე-7, ჰოლიკი-11), 1:2 პლეკანეცი-7 (მ. ჯონსონი-10, ჰიგინსი-7), 2:2 ლატენდრესი-9 (რაიდერი-17), 3:2 რაიდერი-12 (სურეი-22, რივე-8), 4:2 რაიდერი-13 (ს. კოივუ-25, მარკოვი-25).



## NBA . რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა-ატლანტა 91:72**

17:16, 21:17, 23:16, 30:23

**ინდიანა**: ჰარინგტონი (18 ქ. 6 მ), გრეინჯერი (15 ქ. 10 მ. 3 დ), ს. ჯექსონი (12 ქ. 6 მ), ჯ. ო'ნილი (10 ქ. 8 მ. 4 დ), ფოსტერი (8 ქ. 17 მ).

**ატლანტა**: კლექსტონი (12 ქ. 6 მ), ჯ. ჯონსონი (10 ქ), ფაჩულია (9 ქ. 7 მ), ჩილდრესი (7 მ. 8 მ).

**მემფისი-ლეიკერსი 128:118**

20:24, 32:33, 46:22, 30:39

**მემფისი**: მ. მილერი (25 ქ. 6 მ. 3 პ. 4 ჩ), გასოლი (25 ქ. 13 მ. 3 დ), დ. სტაუდმაიერი (16 ქ. 6 პ), ატკინსი (12 ქ. 5 პ), გეი (11 ქ), უორიკი (10 ქ), ა. ჯონსონი (10 ქ. 10 მ).

**ლეიკერსი**: ბრაიანტი (25 ქ. 6 პ. 3 ჩ), ევანსი (21 ქ), ვუიაჩიჩი (18 ქ), ფარმარი (12 ქ), ბინუმი (11 ქ. 8 მ. 3 დ), უოლტონი (4 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 101:86**

24:19, 23:29, 27:17, 27:21

**ნიუ ჯერსი**: კარტერი (32 ქ. 5 მ. 7 პ), რ. ჯეფერსონი (21 ქ), მური (12 ქ. 8 მ), ნახბარი (12 ქ), კიდი (10 ქ. 8 მ. 14 პ).

**ტორონტო**: ბარნიანი (22 ქ. 4 ჩ), კალდერონი (16 ქ. 12 პ), მ. პეტერსონი (15 ქ), ბოში (12 ქ), გარბახოსა (10 ქ).

**ფილადელფია-დეტროიტი 89:98**

22:24, 22:23, 20:33, 25:18

**ფილადელფია**: გრინი (16 ქ), იგუოდალა (15 ქ. 7 პ. 3 ჩ), დალემბერი (14 ქ. 17 მ), ჯო სმიტი (13 ქ. 10 მ), ა. მილერი (6 ქ. 10 პ).

**დეტროიტი**: პრინსი (33 ქ), ჰამილტონი (22 ქ. 5 მ. 7 პ), გრინი (16 ქ), რ. მიურეი (12 ქ. 12 პ).

**ფინიქსი-სიეტლი 113:102**

28:33, 30:27, 22:14, 33:28

**ფინიქსი**: მერიონი (29 ქ. 15 მ), ნეში (27 ქ. 11 პ), ბარბოზა (13 ქ. 5 პ), ა. სტაუდმაიერი (12 ქ. 7 მ), დიაო (10 ქ. 7 მ), ჯ. ჯონსი (10 ქ).

**სიეტლი**: კოლისონი (29 ქ. 21 მ), რ. ალენი (25 ქ. 9 პ. 3 ჩ), ჟელაბალე (12 ქ), უოტსონი (12 ქ. 9 პ), პეტრო (10 ქ. 10 მ).

**საკრამენტო-კლივლენდი 98:108**

30:22, 23:16, 17:37, 28:33

**საკრამენტო**: ბიბი (26 ქ. 6 პ. 3 ჩ), ბ. მილერი (24 ქ. 4 პ), კ. მარტინი (23 ქ. 11 მ), არტესტი (9 ქ. 6 მ. 7 პ).

**კლივლენდი**: ლ. ჯეიმსი (34 ქ. 7 პ), გუდენი (21 ქ. 11 მ. 4 ჩ), ილგაუსკასი (17 ქ. 9 მ), დ. ჯონსი (14 ქ), ლ. ჰიუზი (11 ქ. 6 პ).

**ს. ანტონიო-პორტლენდი 98:84**

18:21, 33:23, 26:24, 21:16

**სან ანტონიო**: დანკანი (16 ქ. 9 მ. 5 პ. 4 დ), ჯინობილი (14 ქ. 4 ჩ), ტ. პარკერი (14 ქ), ბერი (13 ქ. 3 პ), ბოუენი (12 ქ), უდრიხი (8 ქ. 7 პ).

**პორტლენდი**: რენდოლფი (25 ქ. 9 მ), ოლდრიჯი (17 ქ. 6 მ), ჯეკი (13 ქ. 5 პ), რუა (10 ქ. 3 ჩ).

**იუტა-დალასი 105:108**

24:26, 29:19, 29:36, 23:27

**იუტა**: ბუზერი (29 ქ. 4 პ. 3 ჩ), ოქური (14 ქ), ჰარპრინგი (14 ქ. 6 მ), დ. უილიამსი (13 ქ. 6 პ), კირილენკო (11 ქ. 6 მ. 3 ჩ), ფიშერი (11 ქ).

**დალასი**: ნოვიცკი (38 ქ. 7 მ), ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 9 მ), ტერი (18 ქ. 6 პ), ჰარისი (14 ქ. 4 პ), სტეკჰაუსი (11 ქ).

**რალი-რეიდი**

**ლისაბონი-დაკარი 2007**

**IV ეტაპი. ერ რაშიდია-უარზაზატე. 405 კმ.**

**მანქანები**

1. **შლესერი** (საფ)/**დებრონი** (საფ, "ფორდი") - 3:59.54; 2. **სოუზა** (პორ)/**შულცი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - +7.52; 3. **საინსი** (ესპ)/**პერენი** (საფ, "ფოლკსვაგენი") - +7.58; 4. **რომა** (ესპ)/**კრუს სენრა** (ესპ, "მიცუბიში") - +8.05; 5. **დე ვილიერსი** (ს. აფრ)/**ფონ ციტცევიცი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - +8.51; 6. **მასუოკა** (იაპ)/**მემონი** (საფ, "მიცუბიში") - +9.30.

**საერთო ჩათვლა**: 1. **საინსი/პერენი** - 9:17.11; 2. **დე ვილიერსი/ფონ ციტცევიცი** - +1:55; 3. **სოუზა/შულცი** - +4.20; 4. **რომა/კრუს სენრა** - +11.44; 5. **მასუოკა/მემონი** - +12.49; 6. **ალფანი** (საფ)/**პიკარი** (საფ, "მიცუბიში") - +16.10.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპ, KTM) - 4:27.54; 2. **ესტევი** (ესპ, KTM) - +12.16; 3. **დესპრე** (საფ, KTM) - +18.56; 4. **კასტო** (საფ, KTM) - +23.43; 5. **ულევალსეტერი** (ნორ, KTM) - +26.34; 6. **ბლეისი** (აშშ, KTM) - +26:53.

**საერთო ჩათვლა**: 1. **კომა** - 10:10.32; 2. **ესტევი** - +11.50; 3. **კასტო** - +24.20; 4. **ბლეისი** - +35.04; 5. **ულევალსეტერი** - +43.47; 6. **დესპრე** - +44.25.

რალი რეიდ "დაკარის 2007"-ის მეოთხე ეტაპზე პირველი ტრაგიკული შემთხვევა დაფიქსირდა. ავარიაში მოყვა სამხრეთაფრიკელი მოტომრბოლი **ელმერ საიმონსი**. ვერტმფრენი კატასტროფის ადგილას 10 წუთის შემდეგ მივიდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ექიმებს ისღა დარჩენოდათ, რომ საიმონსის სიკვდილის ფაქტი დაეფიქსირებინათ. 29 წლის სპორტსმენი მარათონული რალი-რეიდის დებიუტანტი გახლდათ.

**ჩოგბურთი**

### დავიდენკო ავსტრალიას გამოტოვებს?

გუშინ, რუსმა ჩოგბურთელმა **ნიკოლაი დავიდენკომ** ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისი მონაწილეობა ავსტრალიის ღია პირველობაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს ეჭვი აქვს, რომ მას ტერფის ძვალი აქვს მოტეხილი. ექიმებმა დავიდენკო გამოკვლევაზე გაგზავნეს. თუ სპორტსმენის ვარაუდი გამართლდა, მაშინ რუსს დაახლოებით ექვსი გაუცდება.

ამ კვირას დავიდენკო სიდნეის ტურნირზე თამაშობდა, მაგრამ გუშინ, ფრანგ პოლ-ანრი მატიოსთან მატჩში პირველი სეტის ნაგების შემდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა.

### როდიკი უმწვრთნელოდ დარჩა

მოახლოებული ავსტრალიის ღია პირველობის წინ, შესაძლოა მწვრთნელის გარეშე დარჩეს ამერიკელი **ენდი როდიკი**. ბოლო რამდენიმე თვეა, როდიკს ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდა **ჯიმი კონორსი** ავარჯიშებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ახლა ავსტრალიაში არ იმყოფება, ვინაიდან დედა გარდაეცვალა.

მიუხედავად ამისა, როდიკმა განაცხადა, რომ პირადი მწვრთნელის გარეშეც შეძლებს მელბურნის კორტებზე წარმატებით გამოსვლას: *"რაც არ უნდა მოხდეს, ჯიმი ჩემს თამაშებს თვალს მიადევნებს და ტელეფონით ვისაუბრებთ ხოლმე. რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა ის ჩემს გვერდით ყოფილიყო, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია. ჩემი მხრიდან კონორსისთვის რაიმეს დაძალება უგულო საქციელი იქნებოდა"*.

### უაილდ-ბარდები დარიგებულია

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ტურნირის ძირითად ბადეში უაილდ-ქარდით მოხვედრილი ყველა ჩოგბურთელის ვინაობა გაგვაცნეს.

წლის პირველი სალემო ტურნირის პრესსამსახურის ინფორმაციით, მამაკაცთა შორის ავსტრალიის ღიაზე სათამაშოდ მიწვეულნი არიან: **რობერტ სმიტსი, ალან ჯონსი, კრის გუჩიონე, უეინ არტურსი, პეტერ ლუჟაკი** (ყველა ავსტრალია), **სეკ კერი** (აშშ), **გო სოედა** (იაპონია) და **ჟო-ვილფრიდ ცონგა** (საფრანგეთი).

ქალთა შორის, მსგავსი პატივი ერგოთ **ალისია მოლიკს, კეისი დელაკუას, სოფი ფერგიუსონს, მონიკ ადამჟაკს, ჯესიკა მურს** (ყველა ავსტრალია), **მედისონ ბრენგლს** (აშშ), **იროდა ტულიაგანოვასა** (უზბეკეთი) და **იულია ფედოსოვას** (საფრანგეთი).

### სკოტი WTA-ს შეფად დარჩა

უახლოესი 5 წლის განმავლობაში, ქალთა საჩოგბურთო ტურის (WTA) თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი კვლავაც **ლარი სკოტი** იქნება. გუშინ, ამერიკელ ჩინოვნიკთან ახალი კონტრაქტი გაფორმდა.

სკოტი WTA-ს 2003 წლის შემდეგ ხელმძღვანელობს. როგორც "როიტერი" იტყობინება, ორგანიზაციის მიერ სპეციალურად გავრცელებულ პრესრელიზში წერია, რომ *"სკოტმა ბრწყინვალე სამუშაო გასწია და ქალთა ჩოგბურთი სარეკორდო დონეზე აიყვანა. სწორედ ამ მიზეზის გამო გახანგრძლივდა მასთან კონტრაქტი"*.

## ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

# ფედერერი და მორესმო კალენდარს აკრიტიკებენ

როგორც ყოველთვის, ახალი სეზონის დაწყებისთანავე, იზრდება კრიტიკის ნაკადი ავსტრალიის ღია პირველობის თარიღთან დაკავშირებით. ამჯერად, მას შემდეგ, რაც სეზონის პირველ სადიდსლემო ტურნირს ტრავმის გამო რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი გამოაკლდა, ამ საკითხმა კვლავ შეიძინა აქტუალობა.

*"კარგი იქნება, თუ ავსტრალიის ღია პირველობას ცოტა გვიან ჩაატარებენ, თორემ ხომ ხედავთ, ჩოგბურთელები დასვენებას ვერ ასწრებენ და ახალი სეზონისთვის მზადება უწევთ, რის გამოც ტრავმიანობა იზრდება. ტურნირი ცოტა გვიან რომ ტარდებოდეს, ჩვენ დასვენებისთვის მეტი დრო დაგვრჩებოდა, ტრავმები კი იკლებდა"*, - ამბობს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

ის დასძენს, რომ ჩოგბურთელები იძულებულნი არიან, წინასასეზონო მზადების შემდეგ, სეზონის პირველი ორი კვირა ტურნირებზე გამოსვლისთვის გამოიყენონ, რათა სათამაშო პრაქტიკა დაუგროვდეთ, რაც მელბურნში თამაშისას ძალიან გამოადგებათ. ისინი დიდ დატვირთვებს არ ერიდებიან, რაც ტრავმების სიხშირეს ზრდის. შედეგად, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი აკლდება.

მაგალითად, სიდნეის საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლისას, ბარძაყის ტრავმა მიიღო მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. ანალოგიური მიზეზით, ტურნირებზე გამოსვლა შეწყვიტეს რუსებმა - **სვეტლანა კუზნეცოვამ** და **ნადეჟდა პეტროვამ**, ასევე ტაილანდელმა **პარადორნ შრიჩაპჰანმა**. ტრავმები აქვთ ამერიკელ **ვენუს უილიამსს**, ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტსა** და არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანსაც**.

სხვათა შორის, შარშან, ანალოგიური მიზეზის გამო, ტიტულის დასაცავად ვერ ითამაშა რუსმა **მარატ საფინმა**, შარშანვე ვერ ითამაშეს ბელგიელებმა - **კიმ კლაისტერსმა** და **ჟუსტინ ანენ-არდანმა**. ეს უკანასკნელი ვერც ამჯერად ითამაშებს, თუმცა ამის მიზეზი პირადი პრობლემებია.

ტრავმებს რომ თავი დავანებოთ, ამ დროს მელბურნში საშინელი სიცხეები იცის, რის გამოც ჩოგბურთელები ხშირად ვერ ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას. ცნობისთვის, თამაშის დროს ტემპერატურა ხშირად 45 გრადუსს (ცელსიუსით) სცილდება.

*"წლების განმავლობაში, ჩვენ ამ თემაზე ვლაპარაკობთ, შედეგი კი არ არის, რადგან როგორც ჩანს, ტურნირის ორგანიზატორებს ჩვენი პრობლემები ნაკლებად აწუხებთ"*, - ამბობს ფრანგი **ამელი მორესმო**.

უნდა ითქვას, რომ ავსტრალიის საჩოგბურთო ფედერაცია ერთხანს ფიქრობდა ტურნირის დაწყების ერთი კვირით გადატანას, მაგრამ ბევრი მსჯელობის შემდეგ, ცვლილება გადაიფიქრა. თუმცა, ტურნირი ერთი კვირითაც რომ გადაეტანათ, ამით ჩოგბურთელებს მაინც ვერ დააკმაყოფილებდნენ.

საქმე ისაა, რომ ფედერერი და მისი კოლეგები ტურნირის მარტში გადატანას მოითხოვენ, რადგან ამ დროს მელბურნში ზომიერი ამინდებია და ჩოგბურთელებიც უკვე ფორმაში არიან შესულნი. თანაც, ამ შემთხვევაში, მოთამაშეებს ბევრი პრობლემაც მოეხსნებოდათ და მათი წინასასეზონო მზადების პროცესიც ნაკლებად დატვირთული იქნებოდა.

*"თუ ოზი ოუპენს გვიან ჩაატარებენ, მაშინ ბევრი ჩოგბურთელი იანვარში დასვენებას ამჯობინებს. თუმცა, არა მგონია, ოდესმე ეს მოხდეს. ტურის ორგანიზატორებს ასეთი რამ არანაირ შემთხვევაში არ აწყობთ"*, - ამბობს ფედერერი, ვინც მელბურნში დიდი სლემის მეათე ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

სხვათა შორის, ფედერერი წინააღმდეგია სეზონის ვადების შემჭიდროვებისა - ამ შემთხვევაში, ჩოგბურთელებს შედარებით ნაკლებ დროში მეტ ტურნირზე გამოსვლა მოუწევთ, რაც ტრავმების სიხშირეს გაზრდისო.

*"პირადად მე საწუწუნო არაფერი მაქვს. ყოველთვის იმდენს ვთამაშობ, რამდენიც შემიძლია. ასე რომ, ჩემთვის კარგია, რომ სეზონი ცოტა გაწელილია. ეს არჩევანისა და ხანდახან დასვენების საშუალებას მაძლევს. მაგრამ თუ ორგანიზატორებს სურთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე ვარსკვლავების მაქსიმალურმა რაოდენობამ ითამაშოს, მაშინ კარგი იქნება, თუ ტურნირს ცოტა გვიან დაიწყებენ"*, - დასძენს ფედერერი, ვინც შარშან ყველაზე მეტ, 97 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.



როჯერ ფედერერი

რაც შეეხება ნადალის ტრავმას, ის საშიში არაა. ნადალმა თავად განაცხადა, თამაში შემეძლო, მაგრამ ავსტრალიის ღიას წინ ზედმეტ რისკს მოვერიდეო. შეგახსენებთ, რომ შარშან მან ავსტრალიის ღია ტერფის ტრავმის გამო გამოტოვა. ამჯერად კი ირწმუნება, რომ ტრავმა თამაშში ხელს ვერ შეუშლის. ესპანელი ამბობს, რომ ბარძაყის ტრავმას ადრე არასოდეს შეუწუხებია, მაგრამ ჩენაიდან სიდნეიში რომ მიფრინავდა, ტკივილმა სწორედ მაშინ შეაწუხა და წინასწარ იცოდა, რომ პრობლემა კორტზე იჩენდა თავს.

თუ ნადალის ტრავმა არც იმდენად სერიოზულია, იგივეს ვერ ვიტყვით ვენუს უილიამსზე, ვინც უკვე შეატყობინა ავსტრალიის ღიას ორგანიზატორებს, რომ მელბურნში ვერ ითამაშებს. ამის მიზეზი კი მარცხენა მაჯის ტრავმაა. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ტრავმის გამო, მან შარშანდელი სეზონის ბოლო სასლემო ტურნირი - აშშ-ის ღია გამოტოვა.

ალსანიშნავია, რომ რაც 2005 წელს უიმბლდონის ჩემპიონი გახდა, ვენუსს მაჯისა და იდაყვების გამო ბევრი დრო გაუცდა და მისი ყოველი დაბრუნება კვლავ ტრავმით სრულდებოდა. ჰოდა, არაა გამორიცხული, რომ ტრავმებით გაბეზრებულმა ჩოგბურთელმა მთელი თავისი დრო და მონდომება სამოდელო ბიზნესს დაუთმოს. არადა, ჩოგბურთი მისთვის აქამდე გაცილებით მომგებიანი საქმე იყო - კარიერის განმავლობაში ამერიკელ ჩოგბურთელს საპრიზოების სახით 16 მილიონ დოლარზე მეტი აქვს მიღებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## მძლეოსნობა

ევროპის რჩეულები

# კლუფტი და ობიკველუ

მძლეოსნობის ევროპულმა ასოციაციამ ტრადიციული გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგადაც, გასული სეზონის საუკეთესო ევროპელ მძლეოსნებად დაასახელეს: ქალებში შვედი **კაროლინა კლუფტი**, კაცებში კი - პორტუგალიელი **ფრანსის ობიკველუ**.

23 წლის კლუფტი მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონია შვიდჭიდში. გასულ სეზონში მან ის სამივე ასპარეზობა მოიგო, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო. მათგან ყველაზე გამორჩეული კი, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე ტრიუმფია, რომელსაც შვედეთის ქალაქმა გიოტებორგმა უმასპინძლა.

კლუფტისთვის ევროპის საუკეთესო მძლეოსნის ტიტული პირველი არაა. ამ წოდებას ის 2003 წელს ფლობდა, შარშან კი შვედს ოდნავ აჯობა რუსმა ჭოკით მხტომელმა, **ელენა ისინბაევამ**. კლუფტმა ბოლო მარცხი 2002 წელს, ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატზე (ხუთჭიდში) იგემა.

გამოკითხვის შედეგად, მეორე ადგილი გაიყვეს ბელგიელმა სპრინტერმა **ანა გევაერტმა** და ისინბაევამ. პირველმა გეტებორგში ორი ოქროს მედალი მოიპოვა (100 და 200 მეტრზე სპრინტში), მეორესთვის კი გასული სეზონი ერთობ უფერული გამოდგა.

მძლეოსნობის ევროპის ასოციაცია გამოკითხვას სამ განსხვავებულ რესპონდენტებს შორის ატარებს. პირველია ევროპის ქვეყნების მძლეოსნობის ფედერაციები, მეორე - მძლეოსნობაზე მწერალი მასმედია, მესამე კი სპორტის მოყვარულები. გამოკითხვის ჩატარების შემდეგ კი სამივეს შედეგები ჯამდება და სწორედ ამის შემდეგ ვლინდებიან საუკეთესოები.

ასე მაგალითად, კლუფტმა სამიდან ორ გამოკითხვაში დაიკავა პირველი ადგილი, ერთში კი - მეორე. შედეგად, ჯამში მას ყველაზე დაბალი, ოთხი ქულა დაუგროვდა. შედარებისთვის, ისინბაევასა და გევაერტს 7-7 ქულა ერგოთ.

ობიკველუ ათენის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალს დასჯერდა და ფინალურ სპრინტში ევროპის რეკორდიც (9.86 წამი) დაამყარა. შარშან, გეტებორგში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე, მან სპრინტის დუბლი შეასრულა - 100 და 200 მეტრი მოიგო. მსოფლიოს თასზე, სადაც ევროპის სახელით იასპარეზა, მან ამ ორ დისტანციაზე, შესაბამისად, მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავა.

ევროპის უსწრაფესმა ადამიანმა გამოკითხვაში ორი ქულით აჯობა ლიტველ ბადროს მტყორცნელ **ვირგილიუს ალეკნას**, ვინც მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის მოქმედი ჩემპიონია. მესამეზე გავიდა ნორვეგიელი შუბის მტყორცნელი **ანდრეას თორკილდსენი**. ეს უკანასკნელი ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის მოქმედი ჩემპიონია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## სხვადასხვა

### კალათბურთი

### ბარსა ცენტრის გარეშე დარჩა

ესპანურ გაზეთ "მარკას" ცნობით, "ბარსელონის" [illegible] ცენტრი **მარიო კასუნი** მინიმუმ 6 კვირით ჩამოშორდა კალათბურთს. ხორვატმა კალათბურთელმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ფეხი [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მაციაუსკასი თებერვალს ელის

ევროპის ყველაზე ძვირადღირებული კალათბურთელი, "ოლიმპიაკოსის" მცველი **არვიდას მაციაუსკასი** თებერვლის შუა რიცხვებში დაუბრუნდება მოედანს.

როგორც იცით, ბერძნულ კლუბში NBA-დან გადასულმა ლიტველმა ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღო აქილევსის მყესის უმძიმესი ტრავმა. ახალი წინა დღეებში მაციაუსკასს თაბაშირი მოხსნეს და ახლა ის ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

### ჰოკეი

### ჰაველატი ისევ დაშავდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის წლევანდელ რეგულარულში არ უმართლებს "ჩიკაგო ბლექ ჰოქსის" ჩეხ ფორვარდ **მარტინ ჰაველატს**.

სეზონის სტარტზე, ამ ჰოკეისტს საზარდულის ტრავმის გამო, თითქმის ორი თვის გამოტოვება მოუწია. ამჯერად, ჰაველატს ანალოგიური დაზიანება დაუდგინეს და ის კვლავ დაემშვიდობა განუსაზღვრელი ვადით თავის გუნდს.

## TV სპორტი

**11 იანვარი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:43** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-პიტსბურგი.
**10:28** სპორტინფორმი.
**10:33** სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. ბელგია.
**11:20** სპორტინფორმი.
**11:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია (LIVE).
**13:05** ფიტნესი.
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
**15:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:00** ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ჰპკ (ფინეთი)-ჟილინა (სლოვაკეთი) (LIVE).
**18:32** სპორტული ისტორია.
**18:40** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**19:10** სპორტული ისტორია.
**19:15** სპორტინფორმი.
**19:30** ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. აკ ბარსი (რუსეთი)-ფერიესტადი (შვედეთი) (LIVE).
**22:02** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-სენტ ლუისი.
**23:45** სპორტინფორმი.
**23:55** ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1971 წელი. ფინალი. ლივერპული-არსენალი.
**02:06** სპორტინფორმი.
**02:18** კრივი. ნოკაუტების დრო.
**03:08** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
**04:29** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**05:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-აილენდერსი (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** რალი-რეიდი. დაკარი 2007. V ეტაპი.
**11:15** ციგაობა. მსოფლიო თასი. კიონიგსე. გერმანია.
**11:45** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
**13:45** რალი-რეიდი. დაკარი 2007. V ეტაპი.
**14:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
**15:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
**18:30** მსოფლიო უძლიერესი მამაკაცი. გრან-პრი.
**19:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
**21:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ფინალი. ანთალია. თურქეთი (LIVE).
**23:00** დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** რალი-რეიდი. დაკარი 2007. VI ეტაპი (LIVE).
**00:45** დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი.
**01:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:45** რალი-რეიდი. დაკარი 2007. VI ეტაპი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". მე-3 ადგილისთვის. ანთალია. თურქეთი.
**13:00** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. დავოსი. შვეიცარია.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". მე-3 ადგილისთვის. ანთალია. თურქეთი.
**17:00** ფეხბურთი. უეფას თასი.
**18:00** პლაჟის ფეხბურთი. პრო-ტური. ბრაზილია-საფრანგეთი. დურბანი. ს. აფრიკა.
**19:00** სუპერკროსი. ბარსელონა. ესპანეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. გრაცი. ავსტრია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ექსტრემალური სპორტი.
**00:00** ბილიარდი. პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ფინალი. ანთალია. თურქეთი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| უიკომბი-ჩელსი | 1:1 |
| **LDV VANS TROPHY** | |
| ჩესტერფილდი-კრიუ | 2:4 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| სალერნიტანა-კავეზე | 0:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| სამპდორია-კიევო | 1:0 |
| რომა-პარმა | 2:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| მალაგა-სარაგოსა | 0:3 |
| მალიორკა-დეპორტივო | 1:2 |
| ვალეკანო-სევილია | 0:0 |
| ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 2:1 |
| ალავესი-ბარსელონა | 0:2 |
| ხეტაფე-ვალენსია | 1:1 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| აბერდინი-ჰიბერნიანი | 2:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| იანინა-ირაკლისი | 2:0 |
| აპოლონი-პანათინაიკოსი | 1:1, პენ. 2:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| არმინია-პადერბორნი | 0:0 |
| ჰანოვერი-აუე | 5:0 |
| მაინცი-ფიურტი | 0:0 |
| ბეშიქთაში-გალათასარაი | 1:1, პენ. 7:6 |
| იურდინგენი-შალკე | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ეფესი-ტაუგრესი | 78:84 |
| კიოლნი-ბოლონია | 78:90 |
| პო ორტეზი-არისი | 77:62 |
| ბენეტონი-ცსკა | 60:68 |
| ოლიმპია-უნიკახა | 87:59 |

*მანუჩარ მარკოიშვილი (ოლიმპია): 19 წ., 5 ქ., 4 მ., 1 პ. მესამე მეოთხედში მიიღო მე-5 ფოლი.*

| | |
|---|---|
| **ევროპის თასი** | |
| ხირონა-კალევი | 107:82 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| პიუკ-კიეკო | 2:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ოკლენდი** | |
| **ჰრბატი**-ვუნ სუნი | 6:4, 7:5 |
| **კალერი**-დელ პოტრო | 6:1, 6:3 |
| ვავრინკა-**ალმაგრო** | 6:1, 4:6, 1:6 |
| **მონაკო**-კინგ ტურნერი | 6:3, 6:3 |
| ფერერო-**მასუ** | 4:6, 2:6 |
| **ჩელა**-მაუ | 7:6, 6:3 |
| კენდრიკი-**ფიში** | 2:6, 4:6 |
| როსოლი-**ანჩიჩი** | 3:6, 6:7 |
| **ATP. სიდნეი** | |
| **ბალდატისი**-ჰერნიხი | 6:4, 6:7, 6:3 |
| **ბლეიკი**-ჰილი | 6:2, 6:4 |
| **გასკე**-ბეკერი | 6:3, 6:4 |
| დავიდენკო-**მატიო** | 4:6, 0:6 |
| ჯინეპრი-**კოროლიოვი** | 6:0, 4:6, 4:6 |
| **მოია**-ვერდასკო | 4:6, 7:6, 6:3 |
| **ბერდიხი**-მინარი | 6:7, 6:0, 6:4 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| კასტანიო-**ბარდინა** | 6:3, 2:6, 5:7 |
| **მირზა**-მოლიკი | 6:4, 6:1 |
| **ჩაკვეტაძე**-ჟენგი | 4:6, 6:1, 6:1 |
| ს. უილიამსი-**ბამერი** | 6:3, 5:7, 3:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| **კლაისტერსი**-პეერი | 6:2, 6:1 |
| **ნალი**-სრებოტნიკი | 7:5, 6:1 |
| მორესმო-**იანკოვიჩი** | 5:7, 0:6 |
| ივანოვიჩი-**ვაიდიშოვა** | 4:6, 2:6 |

პორტრეტი

# ჯემალის გოგო

## ანა ჩაკვეტაძეს საქართველოსთან მხოლოდ გვარი და ქართული კერძებისადმი სიყვარული აკავშირებს

**რუსეთში ანტიქართული ისტერიკის დღეებში, როცა მთელს მოსკოვში ქართული რესტორნები დაიკეტა, ხოლო რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სკოლებში ცირკულარი გაგზავნა მოთხოვნით - გამოევლინათ "ძეზე" და "შვილზე" დამთავრებული გვარების მქონე ყველა მოსწავლე, მან რუსეთის მთავარი საჩოგბურთო ტურნირი - კრემლის თასი მოიგო. ანა ჩაკვეტაძე რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ ქართული ფესვები აქვს. გასულ წელს, ის რუსებიდან ერთადერთი ახალგაზრდა ჩოგბურთელი გახდა, რომელიც იმედისმომცემ მოთამაშეთა რანგიდან ტოპ-კლასის ჩოგბურთელად ჩამოყალიბდა. 2006 წელს, ანამ ორი ტურნირი მოიგო, დებიუტი ჰქონდა რუსეთის ნაკრებში ფედერაციის თასზე, მსოფლიო რეიტინგში მე-13 ადგილამდე ამაღლდა. ვინ არის ანა ჩაკვეტაძე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გთავაზობთ ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს ეხება.**

### ქართული კვალი

ანა ჩაკვეტაძის ჯერჯერობით ხანმოკლე კარიერის შესახებ, ათასგვარი მითი ვრცელდება. ეს ამბები იმაზე ჩახლართულია, ვიდრე თავად ჩოგბურთელის გრძელი კიკინა, რომლითაც ის კორტზე ჩნდება ხოლმე. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გაუგებრობა ის არის, რომ თითქოს ამ ცისფერთვალება, ქერათმიან გოგონას მყარი კავშირები ჰქონდეს საქართველოსთან. თურმე, კრემლის თასის დროს, ტრიბუნებიდან ანას ქართულად უყვიროდნენ და ამხნევებდნენ.

*"სინამდვილეში, მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა ვიცი, რომელიც ბაბუაჩემმა მასწავლა, - ამბობს ანა. - ბოლოს საქართველოში მაშინ ჩავედით, როცა ძალიან პატარა ვიყავი. დედაჩემი უკრაინიდანაა, მამა აფხაზეთში დაიბადა, მაგრამ იქ ცოტა ხანი ცხოვრობდა".*

ჩაკვეტაძე - სოხუმის გარეუბნებში გავრცელებული გვარია. სამოქალაქო ომის დროს, ეს ადგილები ბევრმა დატოვა. ასე აღმოჩნდა ჩაკვეტაძეების ოჯახი სოჭში და დამწყებმა ჩოგბურთელმა თიხნარის იმ კორტებზე ვარჯიშის საშუალება მიიღო, სადაც თავიანთ კარიერას **ევგენი კაფელნიკოვი** და **მარია შარაპოვა** იწყებდნენ. დღეს, ანას საქართველოსთან მხოლოდ გვარი და ქართული სამზარეულოსადმი მიდრეკილება აკავშირებს.

*"ძალიან მიყვარს ხინკალი და ხაჭაპური,* - აღიარებს ჩაკვეტაძე. - *ალკოჰოლს მხოლოდ საზეიმო დღეებში ვსვამ. ასე რომ, ქართულ ღვინოზე არაფერი მკითხოთ, მაინც ვერაფერს გიპასუხებთ".*

ანას შესახებ საუბრების კიდევ ერთი გავრცელებული თემაა - მის კარიერაზე მკაცრი ოჯახური ტრადიციების გავლენა. ჩოგბურთელის მამა - **ჯემალ ჩაკვეტაძე** კოლორიტული ფიგურაა. 60-იანი წლების ბოლოს ის ფეხბურთს თამაშობდა ვოლგოგრადის "ტრაქტორში", 90-იან წლებში წარმატებული მოსკოველი ბიზნესმენი გახდა, მაგრამ ახლა, ქალიშვილის გამო საქმეებს ჩამოცილდა.

*"დღეისთვის, ჩემი დროის 90 პროცენტს ანაზე ვხარჯავ,* - გვიხსნის ჯემალი. - *ბიზნესთან ამის შეთავსება შეუძლებელი იყო და ამიტომაც, ის არენდით სხვას გადავეცი".*

ჯემალ ჩაკვეტაძემ, ფაქტობრივად, მარტომ დააფინანსა ქალიშვილის სუპერძვირი საჩოგბურთო განათლება. მისი ძალისხმევის მწვერვალი გახდა ქალაქგარეთ, აგარაკის ეზოში საწვრთნელი კორტის აშენება. შესაძლოა, ჩაკვეტაძე ერთადერთი ჩოგბურთელია რუსეთში, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახლის ეზოდან გაუსვლელად ივარჯიშოს.

*"მამა თავიდანვე არ მოხიბლულა ჩემი ჩოგბურთელად ქცევის იდეით,* - იხსენებს ანა. - *როცა დედამ მუსიკალურის ნაცვლად სპორტულ სკოლაში შემიყვანა, ის ამ პროექტს ცივად შეხვდა. მაგრამ ერთხელ ვარჯიშზე მოვიდა და ისე მოეწონა, რომ მაშინვე მხარი აუბა ჩემს საჩოგბურთო მისწრაფებებს".*

უცხო თვალისთვის, ჩაკვეტაძის კარიერა მშობლის მორიგ ავტორიტარულ პროექტად მოჩანს. ჯემალი ანასთვის მწვრთნელიცაა, სპონსორიც, მენეჯერიც და სერვისმენიც. ყველა ტურნირზე ანა მკაცრი მამის, ან დედისა და უმცროსი ძმის თანხლებით მიემგზავრება ხოლმე.

*"საქმე ის არ არის, რომ ანას არ ვენდობით. უბრალოდ, ჩვენს ოჯახში ასეა მიღებული - ყველა ყველაფერში ერთმანეთს ვეხმარებით",* - ხსნის ამგვარ სიტუაციას ჩოგბურთელის დედა - **ნატალია ჩაკვეტაძე**.

თავად ჩოგბურთელი კატეგორიულად არ ცდილობს ითამაშოს დამჯერი ბავშვის როლი. დამატებით სილაღეს მას ოჯახის მყარი ფინანსური შესაძლებლობები აძლევს, რომელიც არ აიძულებს ანას კარიერაში სწრაფ შედეგებზე იფიქროს. 19 წლის ასაკში, ბევრს არ აქვს აქტივში ისეთ სერიოზულ ტურნირში გამარჯვება, როგორიც კრემლის თასია. მაგრამ, ამავდროულად, ქალთა ჩოგბურთში ჩვეულებრივ ადრეულ ასაკში ხდებიან ვარსკვლავები, 20 წლისანი კი, უკვე გამოფიტვას ასწრებენ. ანას ასაკში მშვიდი, მაგრამ მუდამ მზარდი პროგრესი - ეს ძალიან კარგად არჩეულ სტრატეგიაზე მეტყველებს.

*"მშობლების დიდი მადლობელი ვარ იმისთვის, რაც მათ ჩემთვის გააკეთეს. მაგრამ ჩოგბურთს არა მათთვის, არამედ საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ვთამაშობ. ჩემს კარიერასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მთელი ოჯახი ერთად იღებს. მაგრამ, ბოლო სიტყვა ყოველთვის მე მეკუთვნის".*

### კიკინა წელამდე

მიუხედავად თავისი მომხიბვლელობისა, ჩაკვეტაძე კარგა ხანი რჩებოდა სხვა რუსი ჩოგბურთელების ჩრდილში. მისი ასაკის **მარია კირილენკოსა** და წყვილებში პარტნიორ **ელენა ვესნინას** ფოტოები უფრო ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა ჟურნალების გარეკანებზე. აღარაფერს ვამბობთ შარაპოვასა და **დემენტიევაზე**. შესაძლოა, საქმე ის იყოს, რომ ანას გარკვეულ მიღებულ ჩარჩოებში მოქცევა ცოტა რთული საქმეა. კორტზე ის პატარა ბავშვს ჰგავს, რომელიც ბურთის ყოველი დარტყმის შემდეგ, წარბებს ზემოთ სწევს. ჟურნალებში სტილისტებმა ის ქერათმიან ლამაზმანად გამოიყვანეს - აღმოჩნდა, რომ ანას ეს როლი უხდება. ჟურნალისტებთან საუბარში ის ბიჭურ მიდრეკილებებსა და გემოვნებას ავლენს. ასე მაგალითად, ჩაკვეტაძე ამტკიცებს, რომ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, კერძოდ კი, "მილანი" უყვარს. თუმცა, ამავდროულად, ცოცხლად თამაში მხოლოდ ერთხელ, იტალიაში აქვს ნანახი.

*"ფეხბურთს ძირითადად მამასთან და ძმასთან ერთად ტელევიზორში ვუყურებ. ხშირად დაგვიპირებია მოსკოვში ფეხბურთზე წასვლა, მაგრამ ჯერჯერობით ეს სურვილი ვერ ავისრულე, ყოველთვის რაღაც მიშლის ხელს".*

კორტზე ანას იმიჯის ყველაზე ორიგინალური ელემენტი - გრძელი კიკინაა, რომელიც წელამდე წვდებოდა და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ ოდნავ დამოკლდა. ასეთ ვარცხნილობასთან დაკავშირებულ უხერხულობას ჩაკვეტაძე შეეჩვია და თავის გარეგნობასთან მიმართებაში ექსპერიმენტებს ჯერ არ აპირებს. ერთადერთი გამონაკლისი ფოტოსესიებია.

*"საჩოგბურთო მოდას თვალს ვადევნებ და ვცდილობ, საინტერესოდ გამოვიყურებოდე, მაგრამ ამას ზომიერად ვაკეთებ,* - ამბობს ჩაკვეტაძე. - *კორტზე სალამოს ვარცხნილობითა და კაბით გასვლა, როგორც ამას ზოგიერთი ჩოგბურთელი აკეთებს, ჩემი სტილი არ არის. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ სპორტით ვართ დაკავებულნი".*

### მწვრთნელი არ სჭირდება

ჩაკვეტაძემ ჩოგბურთის სპეციალისტებისგან ავადმყოფურად ამბიციური მოთამაშის რეპუტაცია მიიღო. სწორედ ამას უკავშირებენ იმ ორიგინალური მომზადების სტილს, რომელიც ჯემალის შერჩეულია. ჩოგბურთში 11-წლიანი მეცადინეობის დროს, ანამ უამრავი მწვრთნელი და



ანა ჩაკვეტაძე

სპორტსკოლა გამოიცვალა. თანაც, ყოველი სპეციალისტი მისი თამაშის სხვადასხვა კომპონენტზე მუშაობდა.

*"თავად ჩოგბურთს არ ვთამაშობ, მაგრამ მთელი ეს სამზარეულო კარგად შევისწავლე,* - ამბობს ჯემალ ჩაკვეტაძე. - *ვხვდებოდი ჩოგბურთელებს, რომელთა თამაშიც მომწონდა, ვარკვევდი თუ ვისთან სწავლობდნენ და შემდეგ, ქალიშვილთან ერთად ამ სპეციალისტთან მივდიოდი. ამან შედეგი მოიტანა".*

ანას ანკეტაში, მწვრთნელის გრაფა უკვე ერთი წელია ცარიელია. ამიტომაც, როცა ინტერვიუებში მწვრთნელის შესახებ ეკითხებიან, ჩაკვეტაძეს ხმაში გაღიზიანება ეტყობა:

*"არ მესმის, რატომ გადამეკიდნენ მწვრთნელის თემაზე? ქალთა ტურში ნახევარზე მეტი ასე თამაშს ამჯობინებს. იგივე დემენტიევა ან შარაპოვა... ამჟამად ჩემს სპარინგ-პარტნიორ სერგეი პოზდნევთან ერთად ვვარჯიშობ და თავს საკმაოდ კომფორტულადაც ვგრძნობ".*

ანა ამბობს, რომ მატჩის დროს მწვრთნელის კარნახი და მისი მორალური მხარდაჭერა არ სჭირდება. ის ცდილობს ტრიბუნაზე მსხდომ მშობლებსაც კი არ მიაქციოს ყურადღება, რათა კონცენტრაცია არ დაკარგოს. ყოველთვის არ გამოსდის. ისე კი, ქალთა ტურში ცოტა ვინმეს თუ შეუძლია კორტზე ისეთი გიჟური განწყობით გავიდეს, როგორც ამას ჩაკი აკეთებს.

*"ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაზღვრული სტილი მაქვს,* - ფიქრობს ჩაკვეტაძე. - *ჩემი ფიზიკური მონაცემები საშუალებას არ მაძლევს ათლეტური, ძალისმიერი ჩოგბურთი ვითამაშო, როგორც ამას დები უილიამსები აკეთებენ. ვცდილობ, მხოლოდ ვითამაშო და საერთოდაც, კარიერა სიტუაციების მიხედვით ავაწყო".*

საერთოდ, ანა თავის მომავალზე მისი ტემპერამენტისთვის შეუფერებლად მშვიდად და აუღელვებლად საუბრობს. ლაპარაკობს არა როგორც ჩოგბურთელი, რომელმაც იუნიორთა ასაკში დიდ წარმატებებს მიაღწია (უიმბლდონის ფინალი და ITF-ის ექვსი ტიტული), არამედ უფრო როგორც მომავალი ფსიქოლოგი (სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, ჩაკვეტაძემ პედაგოგიური უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა):

*"სინამდვილეში, წინააღმდეგი არ ვარ რეიტინგის პირველ ხუთეულში სამ წელს ან უფრო მეტ ხანს დავრჩე. მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, უახლოეს წლებში კარიერის დასრულებას მაინც არ ვაპირებ. ბევრია დამოკიდებული კონკრეტულ სიტუაციებსა და შესაძლო ტრავმებზე, მაგრამ, საერთო ჯამში, მზად ვარ იმ სირთულეების გადასალახად, რომელიც გზად შემხვდება".*

---

მძლეოსნობა

### ავსტრალიელებმა კარგად დაიწყეს

ბრწყინვალე შედეგებით დაიწყეს ახალი სეზონი მამაკაცთა ჭოკით ხტომაში პირველმა და მეორე ნომრებმა - ავსტრალიელებმა **სტივ ჰუკერმა** და **პორლ ბერჯესმა**.

როგორც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, Drug Free Track&Field Classic-ის ტურნირზე ორივე სპორტსმენმა 5.91 მეტრი სიმაღლის დაძლევა მოახერხა. გასულ წელს, ამ შედეგის ჩვენება ამ ორი ავსტრალიელის გარდა, მხოლოდ ერთმა მძლეოსანმა შეძლო.

ტურნირზე მესამე ადგილი იტალიელმა **ჯუზეპე ჯიბილისკომ** დაიკავა, რომელიც გამარჯვებულებს მთელი 40 სანტიმეტრით ჩამორჩა.

შეჯიბრების ბოლოს, ავსტრალიელებმა 6.06 მეტრი სიმაღლე შეუკვეთეს - ეს ზღვარი ისტორიაში მხოლოდ ლეგენდარულ **სერგეი ბუბკას** აქვს გადალახული, თუმცა, ვერც ჰუკერმა და ვერც ბერჯესმა ამ სიმაღლის დაძლევა ვერ შეძლეს.

ჭადრაკი

### ლეკომ მსოფლიო თასი მოიგო

უკრაინის ქალაქ ოდესაში, სწრაფ ჭადრაკში პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის პირველი მსოფლიო თასი გაიმართა. აქ მთავარი პრიზისთვის 16 დიდოსტატი იბრძოდა, გათამაშების სისტემა კი, ოლიმპიური გახლდათ.

ფინალში ერთმანეთს მასპინძელი **ვასილ ივანჩუკი** და უნგრელი **პეტერ ლეკო** შეხვდნენ. ოთხი პარტიისგან შემდგარი დუელი ლეკოს გამარჯვებით დასრულდა - 2.5:1.5.

ველოსპორტი

### მილრამმა მსოფლიო ჩემპიონი დაიმატა

იტალო-გერმანულმა ველოსაჯინიბო "მილრამმა", რომლის რიგებშიც მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერები - გერმანელი **ერიკ ცაბელი** და იტალიელი **ალესანდრო პეტაკი** გამოდიან, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ჯგუფურ რბოლაში 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონთან, ესპანელ **იგორ ასტარლოასთან**.

### ულრიხს ეშველა?

ცნობილმა გერმანელმა ველომრბოლმა **იან ულირხმა** შესაძლოა 2007 წლის სეზონი იტალიის გუნდ "აკვა ე საპონეში" გაატაროს. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები "ტურ დე ფრანსის" ყოფილ ჩემპიონსა და საჯინიბოს მენეჯერ **პალმირო მაშიარელის** შორის.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ჭათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლანცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ჭაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჟამი

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა კაიშოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გიგი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიქურიძე (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახარაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
აბაშელის 10ᵃ, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sports@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა